

ბ. ჯანელიძე, ვ. გორგოშიძე
В. ДЖАНЕЛИДЗЕ, В. ГОРГОШИДЗЕ

სიჭინლის რაკაიონებური ჯიშები
და ჰიბრიდები საქართველოს სს
რესპუბლიკისათვის
РАЙОНИРОВАННЫЕ СОРТА И ГИБРИДЫ
КУКУРУЗЫ ДЛЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

წინამდებარე წიგნში გაშუქებულია სასოფლო-სამეურნეო კულტურების სახელმწიფო ჯიშთაგამოცდის ნაკვეთებზე და კოლმეურნეობეიისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო პირობებში სიმინდის ჯიშების და ჰიბრიდების მრავალწლიური (1938—1961 წწ.) გამოცდის შედეგები; საქართველოსათვის დარაიონებული სიმინდის ჯიშების და ჰიბრიდების დეტალური დახასიათება, ნაწვერაღზე და აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიან ზონაში დასათესად და შავი ზღვის სანაპირო ზოლში ერთ და იმავე ნაკვეთზე სიმინდის ორი მოსავლის მისაღებად ჯიშების და ჰიბრიდების შერჩევისათვის წარმოებული ცდების მონაცემები და სათანადო დასკვნები.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის მიერ საყოველთაო-სახალხო ამოცანადაა აღიარებული. ამ პასუხსაგები ამოცანის გადაჭრაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მარცვლეული მეურნეობის, როგორც მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძვლის, შემდგომ მკვეთრ განვითარებას. მარცვლეული კულტურების სწრაფად განვითარების გარეშე წარმოუდგენელია მეცხოველეობის პრობლემის გადაჭრა. მარცვლეული მეურნეობის წარმატებაზეა დამოკიდებული ყველა სხვა დარგის შემდგომი აღმავლობა.

მარცვლეული კულტურებიდან ყველაზე უხვმოსავლიანია ძვირფასი კულტურაა სიმინდი, რომელსაც მრავალმხრივი გამოყენება აქვს. ჯერ კიდევ ფრიდრიხ ენგელსი მიუთითებდა, სიმინდი საუკეთესოა პურეულის ყველა კულტურას შორისო.

ამერიკის შეერთებულ შტატებში სიმინდს მეტად მაღალ შეფასებას აძლევენ. ზოგიერთი ტომი სიმინდს ნაყოფიერების, წვიმის და მკის ღმერთად თვლიდა. აქ ინდიელებისათვის სიმინდის მნიშვნელობა ნათლადაა გამოსახული მათ თქმულებებში, რომლებიც შეკრიბა და დაამუშავა ამერიკელმა პოეტმა ლონგფელომ, მას პოემაში „ჰაივატის შესახებ“ აღნიშნული აქვს, რომ მისმა გმირმა დიდი თავდადება გამოიჩინა ხალხისათვის: მინდვრის კურთხევა — სიმინდი გაზარდა. უილიამ ფოსტერი თავის „ამერიკის პოლიტიკური ისტორიის მიმოხილვაში“ ახასიათებს იმ ნამდვილად გიგანტურ როლს, რომელიც სიმინდმა შეასრულა ამერიკის ცივილიზაციის განვითარებაში ის

წერს: თუ უძველესი აზიის ცივილიზაცია დამყარებული იყო ბრინჯზე, ხოლო ევროპისა — ხორბალზე, ამერიკის ძირითადი მოსახლეობის ცივილიზაციის საფუძველი იყო სიმინდი. იქ, სადაც წყდებოდა სიმინდის მოყვანა, წყდებოდა ცივილიზაციაც.

1921 წლის 14 ოქტომბერს გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნებული სტატიის („შიმშილობა და სიმინდი“) შესახებ ვ. ი. ლენინი ვ. მ. კრუიჩანოვსკის წერდა (ასლი გაუგზავნა მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილეს ვ. ვ. ოსინსკის და ამხ. ავანესოვს): „ამ სტატიასთან დაკავშირებით მე უეჭველად მიმაჩნია, რომ სიმინდის საკითხზე სახელმწიფო-საგეგმო კომისიის სასოფლო-სამეურნეო სექციის დასკვნა (13.IX.1921 წ. ამხ. სერედას ხელმოწერით) სავარისი არ არის.

სიმინდის (და ლობიოს) უპირატესობანი, როგორც ჩანს, მრავალმხრივ არის დამტკიცებული. რადგან ეს ასეა, საჭიროა მივიღოთ უფრო სწრაფი და უფრო ენერგიული ღონისძიებანი. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ თესლი ჩვეულებრივზე 10—15-ჯერ ნაკლებია საჭირო.

ეს თითქმის გადამწყვეტი მოსაზრებაა.

საჭიროა ახლავე დადგინდეს, რომ მთელ ვოლგისპირეთში მთელი საგაზაფხულო ფართობის სრულად დათესვისათვის საჭირო სიმინდის მთელი რაოდენობა დროულად იქნას შესყიდული 1922 წლის გაზაფხულზე დასათესად.

ამ მიზნის მისაღწევად ამასთან ერთად საჭიროა:

1) შემუშავდეს მთელი რიგი ძალიან ზუსტი და ძალიან გულდასმით მოფიქრებული ღონისძიებანი სიმინდის პროპაგანდისათვის და გლეხების მიერ სიმინდის კულტურის შესწავლისათვის არსებული ახლანდელი მცირე საშუალებების პირობებში.

2) სასწრაფოდ იქნას განხილული, შეიძლება თუ არა პრაქტიკული საშუალებებისა და გზების გამონახვა იმისათვის, რომ გლეხური მეურნეობის ყოფა-ცხოვრებისა და ჩვეულებების არსებულ პირობებში გამოყენებულ იქნას სიმინდი ადამიანთა საჭმელად (შეად. სახელმწიფო-საგეგმო კომისიის ბარათის 35 გვ.).

გთხოვთ ეს საკითხები დაუყოვნებლივ განიხილოთ სას.-სამ. სექციაში და პრეზიდიუმში სიმინდის შესახებ აზრთა ყველა შეხედულების მოტანით.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს მოახსენეთ 21.X.1921 წ.“.

ვ. ი. ლენინის ეს ბრძნული მითითება საფუძვლად დაედო სიმინდის ფართოდ გავრცელებას საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკასა და ოლქში. სიმინდის ნათესი ფართობი განსაკუთრებით გაიზარდა უკანასკნელ წლებში. დაწყებული 1954 წლიდან.

საბჭოთა კავშირში 1961 წელს სიმინდი დათესილი იყო სულ 25,7 მილიონ ჰექტარზე; აქედან სამარცვლედ — 7,2 მილ. ჰექტარზე, ხოლო სასილოსედ და მწვანე საკვებად — 18,5 მილ. ჰექტარზე. 1962 წელს კი სულ დაითესა 37,0 მილ. ჰექტარი, მათ შორის სამარცვლედ — 9,7 მილ. ჰექტარი და სასილოსედ და მწვანე საკვებად — 27,3 მილ. ჰექტარი, მაშინ როდესაც 1938—1939 წწ. მთელ კავშირში სიმინდის ფართობი მხოლოდ 2,6 მილ. ჰექტარს, ხოლო 1953 წელს 3,5 მილ. ჰექტარს უდრიდა.

საქართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სიმინდის ფართობი 1953 წლიდან 1961 წლამდე 257.900—287.000 ჰექტარს შეადგენდა. ის არათანაბრადაა განაწილებული საქართველოს აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებს შორის. რესპუბლიკაში 1961 წელს გაზაფხულზე მთელი ნათესი (სამარცვლედ და სასილოსედ) ფართობის 45,5 პროცენტი მოდიოდა აღმოსავლეთ საქართველოზე, მაშინ, როდესაც ის 1954 წელს 30,0 პროცენტს არ აღემატებოდა. ასევე გაიზარდა სიმინდის კუთრი წონა მარცვლეული კულტურების საერთო ნათეს ფართობში. 1954 წელს აღმოსავლეთ საქართველოში ნათესი მარცვლეული კულტურების საერთო ფართობიდან სიმინდზე მხოლოდ 16,9 პროცენტი მოდიოდა, დასავლეთ საქართველოში — 93,1 პროცენტი, 1960 წელს — აღმოსავლეთ საქართველოში მან მიაღწია 35,0 და დასავლეთ საქართველოში—96,2%. შემდგომში სათოხნი თესლბრუნვების შემოღების გამო, დაბალმოსავლიანი კულტურების შემცირების ანგარიშზე, სიმინდის ნათესი ფართობი კიდევ უფრო უნდა გადიდდეს, უმეტესად აღმოსავლეთ საქართველოში.

სიმინდი ამერიკული წარმოშობის მცენარეა და საქართველოში მისი შემოტანის გარკვეული თარიღი ჯერჯერობით არ არის დადგენილი. მკვლევართა უმრავლესობა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სიმინდი საქართველოში პირველად შემოტანილი იყო შავი ზღვის სანაპირო ზოლში XVII საუკუნის დასაწყისში. აკად. ი. ჯავახიშვილი დაასკვნის, რომ „სიმინდის კულტურა სამეგრელოში XVII საუკუნის დამდეგში უნდა იყოს შემოსული. ამ საუკუნის პირველი ნახევრისათვის სიმინდს სოფლის მეურნეობაში იქაც კი მცირე მნიშვნელობა ჰქონია და მხოლოდ მეორე ნახევრიდან თანდათან დასავლეთ საქართველოში ამ მცენარეს ფართო ასპარეზი დაუპყრია“. სიმინდი იტალიიდან გავრცელებულა შავი ზღვის სანაპიროზე — ლაზების ქვეყანაში — ქანეთში (გონიოდან ტრაპეზუნდამდე — ვახუშტის მიხედვით); არა უგვიანეს XVI საუკუნის მეორე ნახევრისა და აქედან კი საქართველოში — სამეგრელოსა და სხვა პროვინციებში (ს. ჯიქია, ლ. დეკაბრელები).

პირველად შემოტანილი იყო სიმინდის კაჟა (თავგადალესილი) ტიპის ჯიშები, რომლებმაც სხვადასხვა აგროკლიმატურ ზონაში გავრცელებისას გარემო პირობებისა და ადამიანთა ზემოქმედების შედეგად მნიშვნელოვნად შეიცვალეს თავისი პირვანდელი სახე, შეეგუენ ადგილობრივ პირობებს, რის შედეგადაც წარმოიშვა ცალკე აგროეკოტიპები. შემდგომში ახალი ჯიშების წარმოქმნას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ საქართველოში გრძელდებოდა სხვადასხვა ჯიშების შემოტანა, რომელთა ბუნებრივ შეჯვარებას ადგილობრივ, წინათ შემოტანილ ჯიშებთან არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა ადგილობრივი ძველი ჯიშებისაგან ფანსხვავებული ფორმების წარმოშობაზე. დაბლობ ზონაში სიმინდის თანდათანობით, მაგრამ საკმაოდ სწრაფი ტემპით გავრცელებამ შეამცირა წინათ იქ გავრცელებული ღომის, ფეტვისა და ხორბლის ნათესები, რომლებიც შემდგომში თითქმის მთლიანად განიღვენა. დაბლობი ზონიდან სიმინდმა თანდათანობით მთისპირა და მაღლობ ზონაშიც დაიწყო გავრცელება და აქაც გამოიშვა ამ ზონებისათვის შესაფერისი საშუალო, საშუალოსაადრეო და საადრეო ჯიშები. XIX საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისიდან საქართველოში შემოტანილი იყო სიმინდის

კბილა, საგვიანო ჯიშები, რომლებიც უხვმოსავლიანი აღმოჩნდნენ დაბლობ ზონაში.

წინათ შემოტანილ თავგადაღული ჯიშებთან კბილა ტიპის ჯიშების შეჯვარებით წარმოიშვა მეტად მრავალფეროვანი ჰიბრიდული პოპულაციები. ძირითადად ნახევრადკბილა ტიპისა, რომლებიც შემდგომში ცნობილი გახდნენ ერთი საერთო—ქუთაისის ჰიბრიდის სახელით (ს. ნ. ტომოფევი, ლ. ლ. დეკაპრელევიჩი, ი. გ. ბახტაძე). პროფესორი ლ. ლ. დეკაპრელევიჩი, რომელმაც პირველად აღწერა ეს პოპულაციები, დაასკვნის, რომ იმდროინდელი „ქუთაისის ჰიბრიდი“ შედგებოდა კბილა და კაჟა ტიპის ყოველგვარი გარდამავალი ფორმებისაგან როგორც მარცვლის ფორმის (წაგრძელებული ფორმიდან ბრტყელ ფორმამდე), ისე მარცვლის თავზე დანაოჭებისა და შეფერვის მიხედვით.

აღმოსავლეთ საქართველოში სიმინდის კაჟა ტიპის ჯიშები პირველად გავრცელდა დასავლეთ საქართველოდან, როგორც პროფ. ლ. დეკაპრელევიჩი აღნიშნავს, XVIII საუკუნის შუა წლებიდან და XIX საუკუნის დასაწყისში. პროფ. ი. ლომოურის აზრით ქართლ-კახელმა სოფლის მეურნემ სიმინდს ხელი მოჰკიდა მხოლოდ XIX საუკუნის დამდეგიდან.

ალაზანსგაღმა კახეთსა და ქვემო ქართლის სარწყავ პირობებში ნახევრადკბილა და კბილა ტიპის სიმინდის ჯიშების გავრცელების პერიოდად ცნობილია XX საუკუნის დასაწყისი. აქაც ჩამოყალიბდა ადგილობრივი ნახევრადკბილა ტიპის ჯიშები. პროფ. დეკაპრელევიჩი სავესებით სამართლიანად სვამს საკითხს იმის შესახებ, რომ ადგილობრივ ნახევრადკბილა ტიპის ჯიშებს შემდგომში „ქუთაისის ჰიბრიდის“ ნაცვლად ეწოდოს „საქართველოს ნახევრადკბილა“, ხოლო მთის ზონაში გავრცელებულ ადგილობრივ ეკოტიპებს კი, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ზოგიერთი ნიშნებით და თვისებებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან — „ქართული მთის სიმინდი“.

თუ წინათ ადგილობრივ ჯიშებს, ან ჯიშების ჯგუფს სხვადასხვა ხალხური სახელწოდება ჰქონდათ: ჩვენებური, საადრეო, საგვიანო. სუხუმკა, გრანიცულა, თეთრი სიმინდი, ჩოქელა, ადესურა, შვიდკვირა, ქორებუდა, მთის სიმინდი და სხვ. (ი. ბახტაძე), ამჟამად სიმინ-

დის ადგილობრივი ნახევრადკბილა ჯიშების ჯგუფიდან, ძირითადად. ცნობილია ადგილობრივი თეთრი და ყვითელი ნახევრადკბილა აბაშური თეთრი, მეგრული ყვითელი და სხვ., აგრეთვე გაუმჯობესებულ ჯიშები — აბაშური ყვითელი, აჯამეთის თეთრი და გეგუთური ყვითელი.

კაქა ტიპის სიმინდის ეკოტიპებშიც საკმაოდ დიდი განსხვავებაა მათი სავეგეტაციო პერიოდის, მარცვლის, ნაქუჩის ფერის და სხვა ნიშან-თვისებების მიხედვით. ისინი ამჟამად, ძირითადად, ცნობილი არიან ადგილობრივი თეთრი და ყვითელი კაქოვანას სახელით, სელექციური ჯიშებიდან კი ძლიერ საგვიანო — იმერული ჰიბრიდი.

ი. ბანტაძეს ეს ჯიშები მათი ეკოლოგიური და ბიოლოგიური თვისებების მიხედვით განაწილებული აქვს 4 ზონაში: დასავლეთ საქართველოში — დაბლობი ზონა — ზღვის დონიდან 400—500 მეტრამდე ძლიერ საგვიანო, ჭარბი ტენისადმი შეგუებული კბილა და ნახევრადკბილა ტიპის ჯიშების; ზღვის დონიდან 400—500 მეტრიდან 900 მეტრამდე ზომიერი ჰავით — ქუთაისის ჰიბრიდის საგვიანო ფორმების და თავგადაღესილი სიმინდის საშუალოსაგვიანო ჯიშების; მთიანი — ზღვის დონიდან 900-დან 1200 მეტრამდე საადრეო ჯიშების, სადაც აგრეთვე გვხვდება საშუალო ვეგეტაციის სიმინდი და მთიანი ზონა ზღვის დონიდან 1200—1500 მეტრამდე — მხოლოდ საადრეო ფორმების.

ამგვარად, მთიან ზონაში ზღვის დონიდან 900 მეტრზე ზევით სიმინდის მხოლოდ თავგადაღესილი ფორმებია გავრცელებული.

აღმოსავლეთ საქართველოში: დაბლობი ზონა — ზღვის დონიდან 600 მეტრამდე ბამბის ჰავით, თბილი და ზომიერად თბილი, გვალვიანი, არასაკმარისად ტენიანი, ან ზომიერ-ტენიანი ჰავით, ძლიერ საგვიანო, ძირითადად, თავგადაღესილი ტიპის ჯიშების. ლაგოდესსა და ყვარელში გვხვდება ნახევრადკბილა; მთისპირა ზონა — ზღვის დონიდან 600-დან 900 მეტრამდე — საგვიანო და საშუალოსაგვიანო თავგადაღესილი ჯიშების, ზომიერად თბილი და არასაკმარისად ტენიანი; მთის ზონა — ზღვის დონიდან 900-დან 1200 მეტრამდე — საშუალოსაგვიანო (სარწყავ და დატულ ადგილებში) და საადრეო თავგადაღესილი ჯიშების, ხოლო მაღალმთიანი — ზღვის

დონიდან 1200-დან 1500 მეტრამდე, მხოლოდ საადრეო თავგადაღლე-სილი ჯიშების.

აღმოსავლეთ საქართველოს სიმინდის გავრცელების როგორც დაბლობ, ისე მაღლობ და მთიან ზონაში, თუ ძირითადად, კაჟა ტიპის სიმინდის ჯგუფები იყო გავრცელებული (ი. ბახტაძე), ამჟამად იქ უმეტესად ნახევრადკბილა და კბილა ტიპის სიმინდის ჯიშებია გავრცელებული. აქ 1961 წელს თავგადაღლესილ იმერულ ჰიბრიდს, რომელიც, როგორც ძლიერ საგვიანო ჯიში, დაბლობ ზონაში ითესება, უმნიშვნელო ფართობი — 1333 ჰექტარი ეკავა; ხოლო ადგილობრივ თეთრ და ყვითელ კაჟოვანას, რომლებიც, ძირითადად, მთისპირა და მაღალმთიან ზონებში ითესება, დაკავებული ჰქონდა 17.420 ჰექტარი. ამგვარად აღმოსავლეთ საქართველოში სულ კაჟა ტიპის ჯიშებს 18753 ჰექტარი ეკავა, მაშინ, როდესაც სელექციური კბილა, ადგილობრივი ნახევრადკბილა ტიპის ჯიშები და ჰიბრიდები 82700 ჰექტარზე იყო დათესილი; ე. ი. კაჟა ტიპის სიმინდის ჯიშებსა და ჰიბრიდებს აღმოსავლეთ საქართველოში სიმინდის მთელი ნათესი ფართობის მხოლოდ 18,5 პროცენტი ეკავა.

დასავლეთ საქართველოს დაბლობ ზონაში ზღვის დონიდან 400—500 მეტრამდე ნახევრადკბილა და კბილა ტიპის ჯიშებია გავრცელებული, ხოლო მთიან და მაღალმთიან ზონებში კი მხოლოდ კაჟა ტიპის ადგილობრივი ჯიშები — თეთრი და ყვითელი კაჟოვანა.

პროფ. ლ. დეკაბრელევიჩის დასაშვებად მიაჩნია დასავლეთ საქართველოს სიმინდის კაჟა ტიპის ჯიშები გაიყოს სამ ეკოლოგიურ-გეოგრაფიულ ჯგუფად: 1. აჭარული ჯიშები — ძირითადად, ყვითელმარცვლიანი, თეთრნაქუჩიანი, 2. რაჭა-ლეჩხუმის და სვანეთის ჯიშები მაღალმთიან ზონაში ზღვის დონიდან 1200 მეტრზე უფრო მაღლა — ძირითადად, ყვითელმარცვლიანი ძლიერ საადრეო; მთიან ზონაში კი როგორც ყვითელი, ისე თეთრმარცვლიანი საადრეო და შედარებით უფრო საგვიანო და 3. ზემო იმერეთის ჯიშები — ძირითადად, თეთრმარცვლიანი — თეთრნაქუჩიანი.

ყველა აღნიშნული კაჟა ტიპის ჯიში გამოირჩევა მოკლე სავეგეტაციო პერიოდით, მოკლე კონუსისებრი ფორმის ტაროებით, დაბალი ღეროთი; ისინი კარგად არიან შეგუებული მთიანი ზონის დღისა

და ღამის ტემპერატურის მკვეთრ რყევადობას. დასავლეთ საქართველოს დაბლობ ზონაში ჭერჭერობით შეუცვლელად ითვლება ნახევრადკბილა ტიპის, ხოლო მთიან და მაღალმთიან ზონებში — ადგილობრივი კაჟა ტიპის ჭიშები. აღმოსავლეთ საქართველოში ზღვის დონიდან 400—500 მეტრამდე სარწყავ და ტენით უზრუნველყოფილ რაიონებში კაჟა ტიპის სიმინდის ჭიშებმა უმეტეს ფართობზე ადგილი დაუთმეს კბილა და ნახევრადკბილა ტიპის ჭიშებს. 1954—1955 წლიდან გავრცელება ჰპოვეს სიმინდის ჰიბრიდებმა დაბლობ ზონაში — კრასნოდარულმა 5, ხოლო მთისპირა და მთიან ზონებში — კოლექტიურმა და ვირ 42-მა.

სიმინდის ჰიბრიდების ფართობი საქართველოში, დღიდან მათი გავრცელებისა, შემდეგ სურათს იძლევა:

წლები ჰიბრიდების დასახელება	1953	1954	1955	1956	1957	1958	1959	1960	1961
	ჰიბრიდი ვირ 2	38	319	122	558	3892	9712	19679	27096
„ კოლექტიური	31	10	154	954	2757	3014	3094	2803	318
„ კრასნოდარული 5	—	81	4	98	803	1178	3604	8210	10676
„ კრასნოდარული 4	5	46	53	146	232	2256	3498	3150	2019
„ ადგილობრივი	199	308	1801	7060	2125	2180	2335	822	992
ს უ ლ	273	763	2134	8816	9809	18340	32210	42051	43261

1961 წელს ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სიმინდის ჰიბრიდულმა ნათესმა მთელი ჭიშინი ნათესი ფართობის 15,8 პროცენტს მიაღწია. სიმინდის ამჟამად დარაიონებულ ჰიბრიდებს მათთვის განკუთვნილ ზონებში შეუძლიათ დაიკავონ დაახლოებით 60.000 ჰექტარი, რომლის ათვისება, ძირითადად, დამოკიდებულია ჰიბრიდული თესლის მომზადებასა და მის

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დროულად განაწილებაზე. მომავალში, როდესაც სიმინდის მთესველ სხვა ზონებისათვის გამოვლინებული და დარაიონებული იქნება ახალი უხეშოსავლიანი ჰიბრიდები, ცხადია, ჰიბრიდული თესლით ნათესი ფართობები დიდად გაიზრდება. სელექციონერებს მთავარ საზრუნავად აღიარებულია ისეთი ხაზთაშორისი ჰიბრიდების გამოყვანა, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის სიმინდის მთესველ ძირითად რაიონებში გავრცელებულ ჯიშებზე უფრო უსვმოსავლიანი აღმოჩნდებიან და ამავდროს ექნებათ მაღალი სასურსათო ღირებულება მარცვლი, ყოველ შემთხვევაში არანაკლები ღირებვისა, ვიდრე ეს ახასიათებთ საქართველოს ადგილობრივ და გაუმჯობესებულ ჯიშებს, როგორცაა აბაშური ყვითელი, აჯამეთის თეთრი, გეგუთური ყვითელი და სხვა.

* * *

ჩვენ აქ არ შევეუდგებით სიმინდის ყველა იმ დანებობით თვისებების დეტალურად განხილვას, რაც მას უპირატესობას აძლევს სხვა კულტურებთან შედარებით, არ მოგვყავს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების მაგალითები სიმინდის როგორც მარცვლის, ისე საბილთსე მასის უხვი მოსავლის მიღების საქმეში, არ ჩამოვთვლით იმ უამრავ სასურსათო, საკვებ და სამრეწველო პროდუქციას, რომელთა მიღება წარმოებს სიმინდის მარცვლის, ღეროფოთლებისა და ნაქუჩისაგან, მხოლოდ უნდა აღინიშნოს საენებით სამართლიანად გავრცელებული ის დებულება, რომ არც ერთ სასოფლო-სამეურნეო კულტურას არ აქვს ისეთი მრავალმხრივი და ფართო გამოყენება, როგორც სიმინდს.

აქ ჩვენ შევეუდგებით სასოფლო-სამეურნეო კულტურების სახელმწიფო ჯიშთაგამოცდის მრავალი წლის მონაცემების საფუძველზე დაეხასიათოთ საქართველოსათვის ამჟამად დარაიონებული სიმინდის ჯიშები და ჰიბრიდები.

სიმიინდის ჯიშთაგამოცდა

საქართველოში სიმიინდის შემოტანას პირველ ხანებში არაორგანიზებული ხასიათი ჰქონდა. შემოტანილი იყო კაჟა ტიპის ჯიშები, რომლებმაც ადგილობრივი პირობებისა და ხალხური სელექციის გავლენით სახე იცვალეს; წარმოიშვა ადგილობრივი ეკოტიპები. ახალი, ძირითადად, კბილა ტიპის ჯიშების შემოტანა დაიწყო XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან. გარდა კერძო პირებისა, სიმიინდის კბილა ტიპის ჯიშები! შემოტანა პირველად დაიწყო 1860 წელს დაარსებულმა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ, ხოლო ამავე საუკუნის დასასრულს ასეთი შემოქონდათ ახალმოწყობილ საცდელ სადგურებსა და მინდვრებს: ყარაიას საცდელ მინდორს, სოხუმის საცდელ სადგურს, ქუთაისის საცდელ მინდორს და ყოფილ ოზურგეთის ჩაის პლანტაციას. ეს დაწესებულებანი აგროტექნიკურ ცდებთან ერთად როგორც სხვა კულტურების, ასევე სიმიინდის ახალშემოტანილ ჯიშებსაც ცდიდნენ. მაგრამ ამას ორგანიზებული ხასიათი არ ჰქონდა. სიმიინდის და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშების შესწავლა და გამოცდა საქართველოში დაიწყო 1926 წ., როდესაც მემცენარეობის საკავშირო ინსტიტუტმა მოაწყო ჯიშთაგამოცდის ნაკვეთები: დასავლეთ საქართველოში — აჯამეთის და აფხაზეთის საცდელ სადგურებთან და აღმოსავლეთ საქართველოში — ყარაიას საცდელ სადგურსა და ახალქალაქის საცდელ მინდორთან. 1930 წელს საქართველოს ცენტრალურმა სასელექციო სადგურმა დამატებით მოაწყო ჯიშთაგამოცდის 10 ნაკვეთი, ხოლო 1933 წელს რესპუბლიკის სხვადასხვა აგროკლიმატურ ზონებში მუშაობდა ჯიშთაგამოცდის 13 ნაკვეთი.

შემდგომში ჯიშთაგამოცდის ნაკვეთების ქსელი კიდევ უფრო ვაფართოვდა და 1937 წლის ბოლოდან ამ საქმეს მიერკავკასიაში. ჩერქოვ. საქართველოში, ხელმძღვანელობდა მემცენარეობის საკავ-

შირო ინსტიტუტის ამიერკავკასიის ფილიალი. ზემდგომი ორგანოს დადგენილების — მარცვლელ კულტურათა თესლის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ — საფუძველზე მარცვლელი კულტურების, მათ შორის სიმინდის, ჯიშთაგამოცდის საქმე დაეკისრა სსრკ მიწათმოქმედების კომისარიატთან მოწყობილ ჯიშთაგამოცდის სახელმწიფო კომისიას, რომელმაც რესპუბლიკებსა და ოლქებში მოაწყო სახელმწიფო ჯიშთაგამოცდის ნაკვეთები. მარცვლელი კულტურების სახელმწიფო ჯიშთაგამოცდის კომისიას და მის ქსელს ზემდგომში დაეგალა ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის (ერთწლიანისა და მრავალწლიანის). აგრეთვე აბრეშუმის ქიის ჯიშთაგამოცდა და დაერქვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშთაგამოცდის სახელმწიფო კომისია, ხოლო ადგილებზე მოწყობილ ნაკვეთებს — სასოფლო-სამეურნეო კულტურების სახელმწიფო ჯიშთაგამოცდის ნაკვეთი. საქართველოში 1937 წელს მოეწყო სახელმწიფო ჯიშთაგამოცდის 16 ნაკვეთი, რომელთაგან გარდა ახალქალაქის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთისა, სიმინდის ჯიშების გამოცდას 1938 წლიდან აწარმოებდა დანარჩენი 15 ნაკვეთი: ზუგდიდის, აბაშის, წყალტუბოს (ყოფ. ქუთაისის), ამბროლაურის, საჩხერის (ყოფ. ჭიათურის), ახალციხის, ცხინვალის (ყოფ. სამხრეთ ოსეთის, შემდგომ სტალინირის), გორის, თეთრი წყაროს (ყოფ. აღბუღალის), მარნეულის (ყოფ. ბორჩალოს), თიანეთის, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს და სიღნაღის. შემდეგში სახელმწიფო ჯიშთაგამოცდის ნაკვეთების ქსელი გაფართოვდა და სიმინდის ჯიშების გამოცდა 1962 წლისათვის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ხობის, გულრიფშისა და ცხინვალის სარწყავ ჯიშთაგამოცდის ნაკვეთებს, სადაც სიმინდის ჯიშთაგამოცდა წარმოებდა მხოლოდ 3—4 წლის განმავლობაში, ჩატარებულია 23 ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების საქართველოს სახელმწიფო ჯიშთაგამოცდის ქსელში 1938—1961 წწ. სულ გამოცდილია სიმინდის 272 ჯიში და ჰიბრიდი. გამოცდაში მონაწილეობდა სიმინდის როგორც ადვილობრივი გავრცელებული ჯიშები, ისე საბჭოთა და უცხოური სელექციის ჯიშები და ჰიბრიდები მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ისინი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშთაგამოცდის სახელმწიფო კომისიის მიერ შეტანილი იქნებოდა სახელმწიფო გამოცდაში. ჯიშები და ჰიბრიდები იცდებოდა უმეტესად იმ ზონებში, რომელთათვისაც ისინი იყენებდნენ გამოყვანილი, რაზედაც ჯიშთა ავტო-

რები მიუთითებდნენ სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობისა და სხვა თვისებათა გათვალისწინებით. თითოეულ ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე გამოცდილი ჯიშების და ჰიბრიდების რაოდენობა წარმოდგენილია ქვემოთ მოტანილ ცხრილში. სადაც ცალკეა გამოყოფილი 1941 და 1956 წლებში შემოხიდილი 113 ჰიბრიდი. მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატებიდან—103, კანადიდან—10 და 4 ჯიში იტალიიდან. გარდა ამისა. გამოცდაში მონაწილეობდა სხვადასხვა დროს შემოტანილი უცხოური ჯიშები, რომელთა ელიტური თესლს გამოყვანას და გაუმჯობესებას აწარმოებენ საბჭოთა კავშირის სასელექციო სადგურები და სხვა სამეცნიერო-საკვლევით დაწესებულებები (მინეზოტა 13 ექსტრა. ჩრდილოდაკოტური, სტერლინგი, კრუგი, პრაიდოფ-სალინი და სხვ.).

სასოფლო-სამეურნეო კულტურების სახელმწიფო ჯიშთაგამოცდის ნაკვეთებზე 1938—1961 წწ. გამოცდილია სიმინდის ჯიშების და ჰიბრიდების შემდეგი რაოდენობა

ჯიშთაგამოცდის ნაკვეთების დასახელება	სულ გამოცდილი ჯიშების და ჰიბრიდების რაოდენობა	მათ შორის 1941 და 1956 წლებში შემოხიდილის		
		ამერიკული	კანადური	იტალიური
ზუგდიდის	58	18	—	4
აბაშის	79	38	—	—
წყალტუბოს	60	29	1	—
ამბროლაურის დაბლობი	41	9	3	—
ამბროლაურის მაღლობი	13	—	—	—
საჩხერის	47	1	2	2
ახალციხის	57	10	2	—
ახალქალაქის	7	—	—	—
ცხინვალის	62	8	4	1
გორის	96	41	—	—
ქასპის	30	15	—	—
ქარელის	47	16	2	—
მარნეულის	76	23	1	—
ახურეთის	66	16	2	—
თეთრი წყაროს	51	8	3	1
თიანეთის	39	1	3	—
საგარეჯოს	73	30	1	—
წითელწყაროს	73	29	4	—
კაჭრეთის	49	15	2	—
სიღნაღის	53	16	1	—
ლაგოდეხის	62	18	1	4
თელავის	53	11	2	2
წაღვის	5	—	—	—

ყველა გამოცდილი ჯიშებისა და ჰიბრიდების მოსავალი წარმოდგენილია ცხრილებში, სადაც ცალკეა გამოყოფილი იმპორტული ჰიბრიდებისა და ჯიშების მარცვლის მოსავალი.

გულრიფშის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთი დაიხურა 1953 წელს, ხობისა—1954 წელს, ამბროლაურის მალლობი ზონის—1953 წელს, ხოლო კაჭრეთისა — 1962 წელს. სიმინდის ჯიშთაგამოცდა ახალქალაქის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე შეწყვეტილ იქნა 1961 წელს, რადგანაც აქ სიმინდის არსებული ჯიშებიდან და ჰიბრიდებიდან ვერც ერთმა ვერ უზრუნველყო არა თუ სრული სიმწიფის მარცვლის, არამედ მწვანე მასის დასაშვები მინიმალური მოსავლის მიღებაც კი, რის შესახებ მოთხოვნილია ამ ნაშრომის ცალკე თავში.

სიმინდის ჯიშთაგამოცდის აგრობიოქიმიკისა და მეთოდების შესახებ

სასოფლო-სამეურნეო კულტურების სახელმწიფო ჯიშთაგამოცდის ყველა ნაკვეთზე. გარდა ზუგდიდის, აბაშის, ხობის და გულრიფშისა, სიმინდის ჯიშების გამოცდა 1961 წლამდე წარმოებდა ბალახმინდვროვანი თესლბრუნვების სათანადო მიდევრებზე, სადაც წინამორბედად აღებული იყო თავთავიანი მარცვლეული კულტურები, როგორც ამას ძირითადად ადგილი ჰქონდა წარმოებაში. სუბტროპიკული ზონის ზემოხსენებულ ჯიშთაგამოცდის ნაკვეთებზე კი სიმინდის ჯიშები უმეტესად იცდებოდა ნასიმინდარზე. ცალკე თითოეული ჯიშთაგამოცდის ნაკვეთის მიხედვით შემოღებული თესლბრუნვები წარმოდგენილია შრომაში — „საშემოდგომო ხორბლის დარაიონებული ჯიშები საქართველოსათვის“ (ბ. ჯანელიძე და ვ. გორგოშიძე. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1960 წელი). თესლბრუნვებში. როგორც წესი, სიმინდი ითესებოდა მზრალზე, ხოლო დანარჩენ ნაკვეთებზე ზამთრის ბოლოს და ადრე გაზაფხულის პერიოდში მოხნულზე. თითოეული ჯიშთაგამოცდის ნაკვეთისათვის დამუშავებული და მიღებული იყო აგროღონისძიებათა კომპლექსი, რაც გათვალისწინებული იყო საქართველოს სსრ სოფლას მეურნეობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული აგროწესებით. ჯიშთაგამოცდის ნაკვეთები, ძირითადად, უზრუნველყოფილი იყო სამუშაოთა დროულად და მაღალხარისხოვნად შესასრულებელი მანქანა-იარაღებით, აგრეთვე მინერალური სასუქების საჭირო რაოდენობით. რასაც კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სიმინდისათვის ხშირად ვერ ღებულობდნენ.

მორწყვის პირობებში სიმინდის ჯიშთაგამოცდა ტარდებოდა: მარნეულის, გორის და წყალტუბოს (ყოფ. ქუთაისის) ჯიშთაგამოცდის ნაკვეთებზე 1938 წლიდან, სიღნაღის (ალაზნის ველზე) — 1940 წლიდან, კასპის — 1951 წლიდან, საგარეჯოს — 1954 წლიდან, ხოლო ტაშისკარის სარწყავი სისტემის დამთავრებასთან დაკავშირებით ქარელის სახელმწიფო ჯიშთაგამოცდის ნაკვეთი (სოფ. არაღეთში) 1960 წლიდან. ყველა ამ ნაკვეთზე მოწყობილია საინჟინრო სარწყავი ქსელი და აღირიცხება გამოყენებული წყალი. ცხინვალის რაიონის სოფელ არგვიცში 1954 წელს მოეწყო ჯიშთაგამოცდის ნაკვეთი, მაგრამ, რადგანაც რელიეფის მიხედვით სარწყავი ქსელის მოწყობა თვითღინებით მორწყვისათვის შეუძლებელი გახდა, ხოლო დაწვიმებითი მორწყვისათვის ნაკვეთის მოწყობა მეტად დიდ დანახარჯებს მოითხოვდა და აგრეთვე, გათვალისწინებულ ღქნა ისიც, რომ ზონის სარწყავ ფართობებზე მარცვლეული კულტურები ადგილს უთმობენ სხვა უფრო ძვირფას კულტურებს, ის დაიხურა 1958 წელს. ამის გამო, ცხინვალის ე. წ. სარწყავ ჯიშთაგამოცდის ნაკვეთის მონაცემები ამ შრომაში არ არის წარმოდგენილი.

ყველა ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე, მათი მოწყობისთანავე, დეტალურად შესწავლილ იქნა ნიადაგი, ჩატარდა მიწათმოწყობა, ხოლო სარწყავ ნაკვეთებზე სარწყავი ქსელის მოწყობასთან ერთად მოხდა ნიადაგის ზედაპირის მოშანდაკება.

სიმინდის ჯიშები ყველა ნაკვეთზე იცდებოდა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშთაგამოცდის სახელმწიფო კომისიის მიერ დამტკიცებული მეთოდის თანახმად. საკონკურსო გამოცდა ხდებოდა მცირე დანაყოფებზე — თითოეულის 100—150 კვ მეტრი ფართობით 4—6 განმეორებაში, ხოლო ცდაში გამოვლინებული პერსპექტიული ჯიშები და ჰიბრიდები მცირე დანაყოფებზე გამოცდასთან ერთდროულად იცდებოდა დიდ დანაყოფებზე 1—2 ჰექტარი ფართობით 2 განმეორებაში ჯიშთაგამოცდის ნაკვეთის იმავე მინდორზე და იმავე პირობებში, როგორც მცირე დანაყოფებზე, იმ განსხვავებით, რომ დიდ დანაყოფებზე სამუშაოები მაქსიმალურად იყო მექანიზებული, გარდა ამისა, პერსპექტიული ჯიშები იცდი-

ბოდა ჯიშთაგამოცდის ნაკვეთების მომსახურების ზონის კოლქეურ-
ნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფართობებზე — საწარმოო
პირობებში. უკანასკნელ წლებში პერსპექტიული ჯიშების და ჰიბრი-
დების დიდ დანაყოფებზე გამოცდა ჯიშთაგამოცდის ნაკვეთებზე შე-
წყვეტილ იქნა და მათი გამოცდა გრძელდებოდა 4—6 განმეორება-
ში მცირე დანაყოფებზე, ხოლო საწარმოო პირობებში — 1—2.
ჰექტარიან ფართობებზე განმეორების გარეშე.

სიმინდის ჯიშები იცდებოდა როგორც მარცვლის მოსავლის მი-
საღებად სრული სიმწიფის ფაზაში, აგრეთვე სასილოსედ — ჭყინტი-
ტაროს (მარცვლის რჩისებრ-ცვილისებრი სიმწიფის) ფაზაში. უკა-
ნასკნელ წლებში კი სასილოსედ მოსავლის აღება მთავრდება ცვილი-
სებრი სიმწიფის ფაზაში.

1954 წლამდე სიმინდის თესვა ჯიშთაგამოცდის ყველა ნაკვეთ-
ზე წარმოებდა მწყრივად სათესი მანქანებით და მცენარეებს ექლე-
ოდა კვების არე ისე, როგორც ეს მიღებული იყო ჯიშთაგამოცდის
ნაკვეთის მომსახურების ზონაში გავრცელებული ჯიშისათვის, ხოლო
დაწყებული 1954 წლიდან ყველა ნაკვეთზე სიმინდი ითესება კვად-
რატულ-ბუდობრივი წესით — 70×70 სმ, ბუდნაში ორ-ორი მცენა-
რის დატოვებით, მიუხედავად იმისა, მოსავლის აღება გათვალისწი-
ნებულია მარცვლად, თუ სასილოსედ.

სიმინდის მცენარეთა ვეგეტაციის პერიოდში წარმოებს დაკ-
ვირვებები და აღრიცხვები, რის შედეგად უნდა დადგინდეს
გამოცდაში მონაწილე ჯიშების და ჰიბრიდების ბიოლოგიური და სა-
მეურნეო თვისებები. თითოეული ჯიშისა და ჰიბრიდისათვის მარცვ-
ლის მოსავლის დადგენა ჰექტარზე გადაანგარიშებით წარმოებს 14%
ტენიანობაზე მიყვანილი მარცვლით (მშრალი მარცვლის მოსავალი).
როდესაც მოსავლის აღება ხდება სასილოსედ, ცალკე აღრიცხება
ფუჩიჩიანი ტაროს და ცალკე ღერო-ფოთლის მოსავალი, მოსავლის
აღებისა და აწონვისთანავე წარმოებს ტენიანობის დადგენა ტაროე-
ბის (ფუჩიჩიან-ნაქუჩიანად), ღერო-ფოთლის და მარცვლისა (სრუ-
ლი, ცვლისებრი და ჭყინტი ტაროს ფაზამდე მისულ ტაროებიდან),
რის საფუძველზე გამოიანგარიშება აბსოლუტურად მშრალი მასის
მოსავალი. როდესაც დადგინდება თითოეული ჯიშისა და ჰიბრიდის
მშრალი მასის მოსავალი, წარმოებს საკვები ერთეულების მოსავლის

გაშთანგარიშება სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშთაგამოცდის სახელმწიფო კომისიის მიერ მიღებული კოეფიციენტების მიხედვით. ამგვარად, სასილოსედ სიმინდის ჯიშების შეფასების ღრის ვადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მშრალი მასის და საკვები ერთეულების მოსავლის სიღრმეს. სიმინდის პერსპექტიული ჯიშებისა და ჰიბრიდების სრული შესწავლისათვის ჯიშთაგამოცდის სახელმწიფო კომისიის ცენტრალურ და აგრეთვე საქართველოს ინსპექტურასთან მოწყობილ ქიმიურ ლაბორატორიაში ტარდება მარცვლის სრული სიმწიფის ფაზაში აღებული და აგრეთვე სასილოსე მასის ქიმიური ანალიზი ცილების, უჯრედანას, ნაცრის და უაზოტო ექსტრაქტულ ნივთიერებათა შემცველობის დასადგენად. სასილოსე მასაში ასეთი ანალიზები ცალკე უკეთდება ტარობსა (ფუჩიჩიან-ნაქუჩიანად) და ცალკე ღერო-ფოთლებს. ცხობითი უნარიანობა და გემო კი მოწმდება ადგილებზე საწარმოო პირობებში. როგორც მინდვრებზე, ისე ლაბორატორიებში შემოწმებისას გამოსადეგი ჯიშების და ჰიბრიდების შედარება წარმოებს სტანდარტად აღებულ ჯიშთაგამოცდის ნაკვეთის მომსახურების ზონისათვის დარაიონებულ სელექციურ ან ადგილობრივ გავრცელებულ ყველაზე უფრო უხვმოსავლიან ჯიშთან (ჰიბრიდთან), როდესაც რომელიმე ჯიში ან ჰიბრიდი ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე 3—4 წლის და საწარმოო პირობებში 1—2 წლის განმავლობაში ყოველმხრივი შეფასების შედეგად აღმოჩნდება გამოცდაში მონაწილე ყველა სხვა ჯიშზე და ჰიბრიდზე უფრო უხვმოსავლიანი და მისი მოსავალი იქნება მყარი და მაღალხარისხოვანი, ის დარაიონებული იქნება ჯიშთაგამოცდის ნაკვეთის მომსახურების ზონისათვის. ჯიშთაგამოცდის ნაკვეთის წინადადებანი დარაიონების შესახებ წინასწარ განიხილება ნაკვეთის მომსახურების ზონაში აგრონომიულ თათბირზე სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მუშაკთა მონაწილეობით, რესპუბლიკურ აგრონომიულ თათბირზე. სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშთაგამოცდის სახელმწიფო კომისიაში, ჯიშთა დარაიონების რესპუბლიკურ კომისიაში და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში. მინისტრთა საბჭოს დადგენილება ჯიშების და ჰიბრიდების დარაიონების შესახებ სახელმძღვანელოდ ეგზავნება სათანადო ორგანიზაციებს, კოლმეურნეობებს. საბჭოთა მეურნეობებს და ქვეყნდება პრესაში.

საქართველოს სსრ მინდვრის კულტურების ჯიშთა დარაიონებისათვის გამოყოფილი ზონები

ცნობილია, რომ ჯიშები თავიანთი ბიოლოგიური და სამეურნეო თვისებებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და უხვმოსავალს მხოლოდ მაშინ იძლევიან, როდესაც მათი მოთხოვნილება გარემო პირობებისადმი მაქსიმალურად იქნება დაკმაყოფილებული. საქართველოს მრავალფეროვან ბუნებრივ პირობებში აუცილებელია ჯიშები შერჩეული იქნეს ცალკე აგროკლიმატური ზონებისათვის. ამისათვის კი საჭიროა წინასწარ იქნას გამოყოფილი აგროკლიმატური ზონები და თითოეულ ზონაში მოეწყოს ჯიშთაგამოცდის ნაკვეთი. 1937 წელს, როდესაც მარცვლეული კულტურების ჯიშთაგამოცდა დაევალა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან დაარსებულ ჯიშთაგამოცდის სახელმწიფო კომისიას და რესპუბლიკებში ჯიშთაგამოცდის ნაკვეთების ქსელს, საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშთაგამოცდისა და დარაიონებისათვის წინასწარ იყო გამოყოფილი 16 აგროკლიმატური ზონა, რაც შემდეგში დაზუსტდა და ამჟამად გამოყოფილია 22¹. ეს ზონები და მათში აღმინიშნული რაიონების განაწილება დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ შემდეგი სახით:

I. **ზღვისპირა სუბტროპიკული ტენიანი და ქარბტენიანი** — ზუგდიდის, ლანჩხუთის, მახარაძის, გალის, გუდაუთის, ოჩამჩირის და ჩაქვის რაიონების დაბლობი ნაწილი.

II. **სუბტროპიკული ტენიანი** — გეგეჭკორის, ლანჩხუთის (ზღვისპირა ნაწილის გარდა), სამტრედიის და ცხაკაიას რაიონების დაბლობი ნაწილი;

¹ დანარჩენი კულტურების: სუბტროპიკული, ვენახისა და ხეხილის, თუთის და აგრეთვე აბრეშუმის ჭინის ჯიშთაგამოცდისა და დარაიონებისათვის ცალკე ზონები გამოყოფილი.

III. ქვემო იმერეთის — ზესტაფონის, მაიაკოვსკისა და წყალტუბოს რაიონების დაბლობი ნაწილი;

IV. რაჭა-ლეჩხუმის დაბლობი — ამბროლაურის და ცაგერის რაიონების დაბლობი ნაწილი;

V. ზემო იმერეთის და რაჭა-ლეჩხუმის — ამბროლაურის, ზესტაფონის, საჩხერის, ცაგერისა და წყალტუბოს რაიონების მთაგორიანი ნაწილი;

VI. მესხეთის მთაგორიანი — ახალციხის რაიონის დაბლობი ნაწილი;

VII. ჭავჭავთის მთაგორიანი — მთიანი ზეგანი ახალქალაქის რაიონის და მისი მოსაზღვრე მთაგორიანი ნაწილი ახალციხის რაიონისა.

VIII. სამხრეთ ოსეთის და ქართლის ურწყავი — ზნაურის და ლენინგორის რაიონების ურწყავი ნაწილი და მათი მოსაზღვრე მთისპირა ურწყავი ნაწილი გორის და ხაშურის რაიონებისა;

IX. ქართლის სარწყავი — გორა, ხაშურისა და მცხეთის რაიონების სარწყავი ნაწილი, ზნაურის და ლენინგორის რაიონების დაბლობი სარწყავი ნაწილი;

X. ქვემო ქართლის სარწყავი — ბოლნისის და გარდაბნის (გარდაბნის სარწყავი სისტემის ფარგლებში) რაიონების სარწყავი ნაწილი;

XI. თრიალეთის მთისპირა ურწყავი — ბოლნისის რაიონის მთისპირა და თეთრი წყაროს რაიონის დაბლობი ურწყავი ნაწილი;

XII. თრიალეთის მთა-ტყიანი — ბოლნისის და თეთრი წყაროს რაიონების მთაგორიანი ნაწილი;

XIII. დიდი კავკასიონის მთა-ტყიანი — დუშეთისა და თიანეთის რაიონების მთაგორიანი ნაწილი;

XIV. სამგორის სარწყავი — გარდაბნის რაიონის სარწყავი, ნაწილი, (სამგორის სარწყავი სისტემის ფარგლებში);

XV. შირაქ-კახეთის ველის ურწყავი — სიღნაღის რაიონის შირაქის ველი და უკანამხარე და გურჯაანის რაიონის უკანამხარე და მისი მოსაზღვრე დაბლობი ურწყავი ნაწილი;

XVI. ალაზნის სარწყავი — ალაზნის ველის სარწყავი, ნაწილი სიღნაღის, გურჯაანისა და თელავის რაიონების ფარგლებში;

XVII. ალაზნისმიდმა ტენიანი — თელავის რაიონის მდ. ალაზნის მარცხენა ნაპირის და ყვარლის რაიონის დაბლობი ნაწილი;

XVIII. მდინარე ალაზნის მარჯვენა ნაპირის ურწყავი ნაწილი—
თელავის რაიონის და გურჯაანის რაიონის წინამხრის დაბ-
ლობი ურწყავი ნაწილი;

XIX. წალკის მთაგორიანი — თეთრი წყაროს რაიონის მაღალ-
მთიანი ნაწილი;

XX. სამხრეთ ოსეთის მთაგორიანი — ჯავის, ზნაურისა და ლე-
ნინგორის რაიონების მთაგორიანი ნაწილი;

XXI. რაჭა-ლეჩხუმის, სვანეთისა და აფხაზეთის მთაგორიანი—
ამბროლაურის, ცაგერის, ლენტეხის, მესტიის, გუდაუთისა და ოჩამ-
ჩირის რაიონების მთაგორიანი ნაწილი;

XXII. აქარა-გურიის მთაგორიანი — ქედის, ხულოს და მახა-
რაძის რაიონების მთაგორიანი ნაწილი.

თითოეული ზონის აგროკლიმატური დახასიათება მოკლედ მო-
ცეპულია ნაშრომში — „საშემოდგომო ზორბლის დარაიონებულ
ქიშები საქართველოსათვის“¹, რის განხილვას აქ არ შევუდგებით.

სიმინდის ჯიშებისა და ჰიბრიდების დარაიონება, დამამკვიცხავლი 1968 წელს

ზონა I. საგვიანო-აბაშური ყვითელი, აჯამეთის თეთრი, ადგი-
ლობრივი თეთრი და ყვითელი ნახევრადკბილა;

ზონა II. საგვიანო -აბაშური ყვითელი, აბაშური ადგილობრივი
თეთრი ნახევრადკბილა, აჯამეთის თეთრი;

ზონა III. საგვიანო-აჯამეთის თეთრი, გეგუთური ყვითელი
(აბაშური ყვითელის შისაცვლელად), აბაშური ყვითელი, ქუთათუ-
რი ადგილობრივი თეთრი ნახევრადკბილა;

ზონა IV. საგვიანო—ჰიბრიდი კრასნოდარული 5, აჯამეთის თეთ-
რი, ქართული კრუგი, ადგილობრივი ყვითელი და თეთრი ნახევრად-
კბილა;

ზონა V. საადრეო—ადგილობრივი თეთრი და ყვითელი კაჟა;

ზონა VI. საშუალო სავეგეტაციო პერიოდის — ჰიბრიდები
ვირ 42 და ვირ 42 მ, ადგილობრივი თეთრი და ყვითელი კაჟა;

ზონა VII. საშუალო სავეგეტაციო პერიოდის ჰიბრიდები ვირ
42 და ვირ 42 მ, ადგილობრივი თეთრი და ყვითელი კაჟა;

ზონა IX. საგვიანო—ჰიბრიდი კრასნოდარული 5, საშუალოსავე-
ვიანო სტერლინგი (ქართული კრუგის შესაცვლელად), დაშვებულ
იქნას დასათესად საგვიანო ქართული კრუგი და იმერული ჰიბრიდი;

¹ ბ. ჯანელიძე და ვ. გორგოშიძე. „საშემოდგომო ზორბლის დარაიონებულ
ქიშები საქართველოსათვის“, გამოცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1960.

ზონა X. საგვიანო — ქართული კრუგი, ქართული : და იშვიათი ჰიბრიდი;

ზონა XI. საშუალო სავეგეტაციო პერიოდის — ჰიბრიდები ვირ 42 და ვირ 42 მ, საადრეო—ჩრდილოდაკოტური, ადგილობრივი ყვითელი კაჟი;

ზონა XII. საშუალო სავეგეტაციო პერიოდის — ჰიბრიდები კოლექტიური ვირ 42 და ვირ 42 მ, ჯიშები ადგილობრივი თეთრი კაჟოვანა და როვორც საშემოდგომო ხორბლის წინამორბედი საადრეო — ჩრდილოდაკოტური.

ზონა XIII. საშუალო სავეგეტაციო პერიოდის — მინეზოტა 13 ექსტრა, ჰიბრიდი კოლექტიური; საადრეო—ჩრდილოდაკოტური (ადგილობრივი თეთრი კაჟოვანას შესაცვლელად), ადგილობრივი თეთრი კაჟოვანა;

ზონა XIV. საგვიანო—იმერული ჰიბრიდი, ჰიბრიდი კრასნოდარული 5, ურწყავი პირობებისათვის—საადრეო—ჩრდილოდაკოტური, საშუალო სავეგეტაციო პერიოდის — მინეზოტა 13 ექსტრა, გარდა ამისა, უფრო მაღლობი ნაწილისათვის — ადგილობრივი თეთრი და ყვითელი კაჟოვანა (ჩოქელა);

ზონა XV. საშუალო სავეგეტაციო პერიოდის — ჰიბრიდები ვირ 42 და ვირ 42 მ, მეთესლეობის ქსელში დაუთესავად — მინეზოტა 13 ექსტრა;

ზონა XVI. საგვიანო—ჰიბრიდი კრასნოდარული 5;

ზონა XVII. საგვიანო—აჯამეთის თეთრი, ქართული კრუგი, ადგილობრივი თეთრი ნახევრადკბილა, ჰიბრიდი კრასნოდარული 5 (ზონის ნაკლებტენიანი ნაწილისათვის);

ზონა XVIII. საგვიანო—ქართული კრუგი, ჰიბრიდი კრასნოდარული 5 (ზონის ნაკლებტენიანი ნაწილისათვის), იმერული ჰიბრიდი.

რესპუბლიკის დანარჩენი ნაწილისათვის დამეცებულია წარმოებაში არსებული ჯიშები.

კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს უფლება აქვთ დარაიონებული ჯიშებიდან და ჰიბრიდებიდან დასათესად აირჩიონ ყველაზე უფრო უხვმოსავლიანი ჯიშები მიკროზონის თავისებურებათა, სიმინდის მოსავლის დანიშნულებისა და სხვა პირობათა გათვალისწინებით. მაგალითად, ლაგოდეხის და თელავის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთების მომსახურების ზონებში (ზონა XVII და XVIII), იმ ადგილებში, სადაც მორწყვის საშუალება არ არის და ნიადაგი თავისი შემადგენლობის გამო ზაფხულში შედარებით ადვილად კარ-

გავს სინესტეს, მარცვლის მოსავლის მისაღებად უნდა დაითესოს ჰიბრიდი კრასნოდარული 5, ხოლო ტენით უზრუნველყოფილ პირობებში კი — აჯამეთის თეთრი და ადგილობრივი თეთრი ნახევრადებილა, რომლებიც უფრო საგვიანონი არიან, ვიდრე ჰიბრიდი კრასნოდარული 5. აღნიშნული ჯიშები ასეთ პირობებში უფრო უხვმოსავლიანი არიან და მათი მარცვლიდან მიღებული პროდუქცია, როგორც სასურსათო, მოსახლეობაში მაღალ შეფასებას ღებულობს, ამავე დროს, ისინი სასილოსე მასის და საკვები ერთეულების უფრო მეტ მოსავალს იძლევიან. IX ზონის პირობებში ჯიში სტერლინგი მცირე ფართობზე თუ დაითესება, თეთრი ფერის მარცვლისა და მისგან სასურსათო დანიშნულების პროდუქციის მისაღებად. იშვიათი არ არის, როდესაც მისგან მიღებულ თეთრ ფქვილს ურევენ ხორბლის ფქვილში. მაგრამ აქ ჯიში სტერლინგი გაცილებით უფრო დაბალმოსავლიანია, ვიდრე ჰიბრიდი კრასნოდარული 5 და ჯიში ქართული კრუგი. ახალციხის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთის მომსახურების ზონაში. (VI) ადგილობრივი თეთრი და ყვითელი კაჟოვანა გამოირჩევიან მაღალი ტექნოლოგიური თვისებებით, რის გამოც, ისინი ძირითადად, სასურსათო ჯიშებს წარმოადგენენ, ხოლო ამავე ზონაში დარაიონებული ჰიბრიდები ვირ 42 და ვირ 42 მ, რომლებიც მარცვლის უფრო უხვმოსავალს იძლევიან, ძირითადად, საფურაჟე დანიშნულების არიან. ჯიში ჩრდილოდაკოტური, მისი დარაიონების ზონებში, როგორც ყველაზე საადრეო, მარცვლის მოსავლიანობით ჩამორჩება დარაიონებულ სხვა ჯიშებსა და ჰიბრიდებს, მაგრამ ის ადრე ათავისუფლებს მინდვრებს და საშუალებას იძლევა დროულად მომზადდეს ნიადაგი საშემოდგომო თავთავიანი კულტურების დასათესად. სასილოსედ, პირველ რიგში, უნდა დაითესოს ისეთი ჯიშები და ჰიბრიდები, რომლებიც საერთო მწვანე მასის თანაბარ მოსავალში საკვებ ერთეულებს უფრო მეტი რაოდენობით შეიცავენ.

სიმიდის დარაიონებული ჯიშების აღწერა და სამეურნეო დახასიათება

აბაზური ყვითელი

აბაზური ყვითელი ისე, როგორც აჯამეთის თეთრი, დასავლეთ საქართველოს დაბლობი ზონის ადგილობრივი ჯიშია. იგი მიღებულია ძველი კაქა ტიპის ჯიშების შემდგომში შემოტანილ კბილა ტიპის ჯიშებთან ბუნებრივი შეჯვარებით და ხალხური სელექციის გზით. გაუმჯობესებულია საქართველოს სელექციის სადგურის მიერ ოჯახობრივი და მასობრივი გამორჩევით.

მცენარე მაღალია — 220—300 სმ-მდე იზრდება, მისი სიმაღლე ზუგდიდის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე საშუალოდ 200 სმ უდრის, აბაშის ნაკვეთზე — 247 სმ და წყალტუბოს ნაკვეთზე — 226 სმ; ღერო საკმაოდ მსხვილი და უხეშია, გამძლეა ჩაწოლისადმი, ბარტყებს მეტად მცირე რაოდენობით ივითარებს, განსაკუთრებით ნოყიერ ნიადაგებზე (საშუალოდ 1,2, ან ბარტყები სრულებითა არა აქვს). მთავარ ღეროზე 18—22 ფოთოლი აქვს, ხოლო მიწისზედა მუხლები — 14—16. ქვედა ტაროს მიმაგრების სიმაღლე მიწის ზედაპირიდან 100—130 სმ-ია.

ტარო საკმაოდ დიდია, 200—250 გრამს და ზოგჯერ უფრო მეტს იწონის. სიგრძე 18—24 სმ ფარგლებში მერყეობს. უმეტესად კი 20 სმ-ია. ტარო მსხვილია, მისი დიამეტრი შუა ნაწილში 40—50 მმ-ია, ოდნავ კონუსისებრი ფორმისაა. მარცვლის მწკრივია 10—12, უმეტესად 10, ხოლო იშვიათად გვხვდება 8—14. მწკრივთაშორის კვალი საკმაოდ არის გამოსახული. მწკრივები, ძირითადად, სწორია, ზოგჯერ კი გამრუდებულია ტაროს ბოლოზე უწესრიგოდ გაბნეული მარცვლებით. ტაროს წვერო მარცვლებით საშუალოდ ან საშუალოზე უფრო ნაკლებად არის ამოვსებული. ნაქუჩი თეთრია. მარცვალი ნაქუჩს ადვილად ცილდება. ტარო მოკლეფეხზე, უმეტესად, სწორ-

პდგოძია. სრული სიმწიფის ფაზაში ტაროები ღეროდან გადაზრლია მცენარეების 29—30%-ზე. ფუჩეჩი ტაროს მკვრივად არ ეკვრის, შედარებით ადვილი მოსაშორებელია. ტაროების უმეტესობას (90—95%) წვერო ფუჩეჩით მთლიანად დაფარული აქვს. მცენარე თითო ტაროს ივითარებს, ზოგჯერ ორსაც. მარცვლის გამოსაყალი 77—81 პროცენტია, ზოგჯერ 82 პროცენტსაც აღწევს.

მარცვალი ყვითელი ფერისაა — ღია ყვითელი ფერიდან მუქ ყვითელ ფერამდე. მარცვლის თავი ზოგჯერ მკრთალი ლიმონისებრ ყვითელი ფერისაა. მარცვლის თავზე ჩაჭყლუტილობა (ინდენტაცია) საშუალოდ, ან საშუალოზე უფრო ნაკლებად არის გამოსახული; ძირითადად, ნახევრადკბილა ტიპისაა, ზოგჯერ კბილა ტიპს უახლოვდება. მარცვალი ტაროს თავსა და ბოლოში ხშირად ნაკლებად ტიპიურია, კაჟა-თავგადაღესილი ტიპისაა. დანაოქება მარცვლის თავის ჩაჭყლუტის ადგილზეა და მის ნაპირებზე მკრთალად არის გამოსახული, ან ასეთი სრულებით არ ემჩნევა. მარცვალი დიდი ზომისაა, ფართო და ბრტყელი, სიგრძით საშუალოდ 12,67 მმ, სიგანით — 11,29 მმ და სისქით 3,96 მმ (B ტიპის). 1000 მარცვლის წონა 350—470 გრამის ფარგლებში მერყეობს. დიდი ზომის მარცვალი, გაპრიანებული ყვითელი ფერით, მიმზიდველია.

აბაშური ყვითელი მარცვლის ფორმის, აგებულების და ქიმიური შემადგენლობის მიხედვით მიეკუთვნება სიმინდის სახე *Zea mays* -დან კულეშოვის მიერ ცალკე გამოყოფილ ნახევრადკბილა სიმინდის ჯგუფს — *Semidentata Kulech* (სემიდენტატა), რომელსაც მარცვლის თავზე ჩაჭყლუტა (ჩაღრმავება) შედარებით ნაკლებად აქვს გამოსახული, ენდოსპერმას დიდი რაოდენობით შეიცავს, მარცვალი საკმაოდ ბრტყელი და სქელი აქვს და ნაპირები რამდენადმე მომრგვალებული, ხოლო პროფესორ ლ. ლ. დეკაპრელევიჩს ჯიში აბაშური ყვითელი, როგორც ამჟამად უკვე ჩამოყალიბებული ტიპიური ნახევრადკბილა, ყვითელმარცვლიანი და თეთრნაქუჩიანი (ყვავილის თეთრი კილებით), მიკუთვნებული აქვს სემიდენტატას ჯგუფის სახესხვაობა (ვარიაცია) *V. aurantica* Dek. (აურანტიკა დეკ.)¹.

ძლიერ საგვიანო ჯიშია. აღმოცენებიდან სრულ სიმწიფემდე 130—145 დღე ჭირდება. შემოდის აჯამეთის თეთრთან ერთდროულად, ხოლო იმერულ ჰიბრიდთან შედარებით 3—4 დღით ადრე, კარგად არის შეგუებული დაბლობი ზონის ჭარბტენიან პირობებს.

¹ ლ. ლ. დეკაპრელევიჩი, „საქართველოში გავრცელებული სიმინდის ჯიშები“, ხელნაწერი, 1962.

დაავადებათა და მავნებლების მიმართ საკმაოდ გამძლეა. ბუბ-
ტოვანა გუდაფშუტით დაავადებულ მცენარეთა რაოდენობა საშუ-
ალოდ 1—3% შეადგენს. მაქსიმუმი 9% აღნიშნული იყო ერთხელ.
1949 წელს წყალტუბოს ჭიშთაგამოცდის ნაკვეთზე. დიპლოდიოზით
ტარობის დაავადება უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში
0,2—3,0 პროცენტის ფარგლებში მერყეობს. ჰელმინოსპოროზით.
ისე როგორც აჯამეთის თეთრი, ზუგდიდის ჭიშთაგამოცდის ნაკვეთ-
ზე 100% ავადდება, მაგრამ სხვა ჭიშებთან შედარებით უფრო ნაკ-
ლები სიძლიერით. სხვა სოკოვან დაავადებათა მიმართ გამძლეა, რაც
ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, რომ მარცვლის ზედაპირი
გლუვია.

უხვმოსავლიანია მისი დარაიონების ზონებში, სადაც მყარ
მოსავალს იძლევა. ზუგდიდის ჭიშთაგამოცდის ნაკვეთზე საშუა-
ლოდ 24 წლის განმავლობაში, მათ შორის უკანასკნელ 11 წელს,
მონოკულტურის პირობებში მისი მშრალი მარცვლის მოსავალი
(14% ტენიანობამდე მიყვანილი) ჰექტარზე 34,3 ცენტნერს უდრის,
ხოლო უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში (1957—1961 წწ.), შე-
დარებით მაღალი აგროტექნიკის პირობებში — 41 ცენტნერს. აქ ის
მოსავლიანობით ყვითელმარცვლიან ჭიშებს შორის პირველ ადგილს
იკავებს. ხოლო თეთრმარცვლიანი ჭიშებიდან ადგილს უთმობს აჯა-
მეთის თეთრს და აბაშურ ადგილობრივ თეთრ ნახევრადკბილას,
რომლებსაც ჰექტარზე საშუალოდ მხოლოდ 2,1—2,7 ცენტნერით
ჩამორჩება. აქ მონოკულტურის პირობებში აბაშური ყვითელის მარ-
ცვლის მოსავალი (41,5 ც/ჰა) გაუთანაბრდა აჯამეთის თეთრის მოსა-
ვალს (41,6 ც/ჰა).

აბაშის ჭიშთაგამოცდის ნაკვეთზე საშუალოდ 24 წლის განმავ-
ლობაში, მათ შორის, უკანასკნელ 10 წელს მონოკულტურის პირო-
ბებში ჰექტარზე 32,5 ცენტნერი მშრალი მარცვალი იყო მიღებული.
მოსავლიანობით აქ იგი გაუთანაბრდა აჯამეთის თეთრს ($-0,5+0,7$
ცენტნერი) და მხოლოდ 1,9—2,5 ცენტნერით ჩამორჩა აბაშურ ად-
გილობრივ თეთრ ნახევრადკბილას.

წყალტუბოს (ყოფილ ქუთაისის) ჭიშთაგამოცდის ნაკვეთზე
სარწყავ პირობებში მისი მშრალი მარცვლის მოსავალმა უკანასკნე-
ლი 5 წლის განმავლობაში საშუალოდ ჰექტარზე 50,7 ცენტნერს მი-
აღწია. აქ ის მოსავლიანობით ჩამორჩა ყვითელმარცვლიანი ჭიშები-
დან მხოლოდ გეგუთურ ყვითელს ჰექტარზე 2,3 ცენტნერით და

თეთრმარცვლიანი ჯიშებიდან ქუთათურ თეთრ ნახევრადკბილას — 3,4 და აჯამეთის თეთრს — 2,4 ცენტნერთ.

ზემოთ აღნიშნული ჯიშთაგამოცდის სამი ნაკვეთის გარდა, ის გამოცდილი იყო დაბლობი ზონის 7 ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე, მაგრამ ყველგან მასზე უფრო უხვმოსავლიანი აღმოჩნდნენ სხვა ჯიშები და ჰიბრიდები.

აბაშური ყვითელი, ძირითადად, სასურსათოდ გამოიყენება. ის ყვითელმარცვლიან ჯიშებსა და ჰიბრიდებს შორის, გვეუთურ ყვითელთან ერთად, კვებითი ღირსებით პირველ ადგილს იკავებს.

აბაშური ყვითელი დარაიონებულია დასავლეთ საქართველოს დაბლობი სუბტროპიკული ჰარბტენიანი და ტენიანი I და II ზონისათვის და ქვემო იმერეთის რაიონების — ვანის, ზესტაფონის, მაიაკოვსკის, წყალტუბოს და სამტრედიის დაბლობი ნაწილისათვის.

აჯამეთის თეთრი

აჯამეთის თეთრი დასავლეთ საქართველოს დაბლობი ზონის ადგილობრივი ჯიშია, მიღებულია ძველი ადგილობრივი კაქა ტიპის ჯიშების შემდგომში შემოტანილ კბილა ტიპის სიმინდის ჯიშებთან ბუნებრივი შეჯვარებით, გაუმჯობესებულია საქართველოს სელექციის სადგურის მიერ ინდივიდუალური და მასობრივი გამორჩევის მეთოდით.

მცენარის სიმაღლე 230—270 სმ ფარგლებში მერყეობს. ზუგდიდის და აბაშის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთებზე საშუალოდ 255 სმ, წყალტუბოს ნაკვეთზე 235 სმ და ლაგოდეხის ნაკვეთზე 260 სმ უდრის, ზოგჯერ კი 300 სმ აღემატება. ბარტყობა უმნიშვნელო ახასიათებს — 1,2—1,3. ფოთოლი მთავარ ღეროზე ჩვეულებრივად 18—22 აქვს, მიწისზედა მუხლები კი — 14—16. ქვედა ტარო უმეტესად მიმაგრებულია მიწის ზედაპირიდან 110—140 სანტიმეტრის ამაღლეზე. ტაროთა რაოდენობა ერთ მცენარეზე საშუალოდ ერთია, გვხვდება ორტაროიანი მცენარეებიც. გამძლეა ჩაწოლისადმი.

ტარო გრძელია — 24 სმ-მდე აღწევს, საშუალოდ კი მისი სიგრძე 18—20 სმ უდრის; თითქმის ცილინდრული ან ოდნავ კონუსისებრი ფორმისაა. მსხვილია, მისი დიამეტრი ტაროს შუა ნაწილში 40,0—55,0 მმ უდრის, მარცვლის მწკრივები — 10—12. მწკრივები უმეტესად სწორია, ხოლო ტაროს ბოლოზე მარცვლები ზოგჯერ უწესრიგოდაა განლაგებული. მწკრივებს შორის კვალი საშუალოდ

არის გამოსახული. ტაროს წვერო მარცვლით არ არის კარგად ამოვსებული. თეთრნაქუჩიანია. ფუჩეჩი საკმაოდ კარგად ფარავს ტაროს წვეროს და ადვილად სცილდება.

მარცვალი თეთრია, ნახევრადკბილა ტიპისა. ზოგჯერ ინდენტაცია კარგად არის გამოსახული და კბილა ტიპის სახეს ღებულობს. ტაროს წვეროს ნაწილში მარცვლები ხშირად კაჟა ტიპისაა. ჩაქყლეტის ადგილზე და მის ნაპირებზე დანაოქება საშუალოდ, ან ოდნავ არის გამოსახული. დიდი ზომისაა და ბრტყელი — სიგრძით საშუალოდ 12,2 მმ, სიგანით — 10,82 და სისქით — 4,17 მმ. ზოგჯერ მისი სიგანე სიგრძეს უთანაბრდება. მეტად მსხვილმარცვლოვანია. 1000 მარცვლის წონა 350—500 გრამის ფარგლებში მერყეობს, უმეტესად კი 400—450 გრამს უდრის. მარცვლის გამოსავალი 76—82 პროცენტია. მარცვალი ნაქუჩს ადვილად სცილდება.

ჯიში აჯამეთის თეთრი, როგორც სიმინდის ამკამად უკვე ჩამოყალიბებული, ძირითადად, ტიპური ნახევრადკბილა მიეკუთვნება ჯგუფს — *Z. m. semiflavata* Kulech. ხოლო როგორც თეთრმარცვლიანი და თეთრი ნაქუჩის მქონე, პროფ. ლ. დეკარელევიჩის მიკუთვნებული აქვს სახესხვაობა *V. Candida* Dek. (კანდიდა დეკ.).

აჯამეთის თეთრი ძლიერ საგვიანო ჯიშია. აღმოცენებიდან სრულნიშნულობამდე 130—145 დღე ესაჭიროება, წყალტუმოს ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე საშუალოდ — 130 დღე, ზუგდიდის და აბაშის ნაკვეთებზე — 136—137 დღე, ამბროლაურის ნაკვეთზე — 141 დღე, ლაგოდესის ნაკვეთზე — 145 დღე და სხვ.

დაავადებათა და მავნებლების მიმართ მისი გავრცელების ზონებში, სხვა ჯიშებთან შედარებით, უფრო გამძლეა. ბუშტოვანი გუდაფშუტით საშუალოდ 2—5%-ით და ზოგჯერ კიდევ უფრო მეტად ავადდება. მაქსიმალური დაავადება 10%-ით აღნიშნული იყო წყალტუმოს ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე 1949 წ. ფუზარიოზით დაავადება 2—6% უდრიდა, ხოლო 20%-ით დაავადება აღნიშნული იყო 1959 წელს ლაგოდესის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე. ჰელმინთოსპორიოზით ზუგდიდის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე გამოცდაში მონაწილე ყველა ჯიშის მცენარეები მასობრივად ავადდებიან 100 პროცენტით. ხოლო დაავადების სიძლიერე აჯამეთის თეთრისა საშუალოა ან სუსტი, მაშინ, როდესაც იმავე პირობებში იმერული ჰობრიდის დაავადების ხარისხი ძლიერია. 1956 წელს აბაშის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე ჰელმინთოსპორიოზით დაავადებული იყო აჯამეთის თეთრის მცენა-

რეთა 7%, აბაშური ყვითელის — 5%, ხოლო ამერიკული ჰიბრიდებისა — პიონერი 349, 354, 352, 344 და 329—60—80%-ით და ოსიცი დიდი სიძლიერით.

დიპლოდიოზით დაავადებულ მცენარეთა რაოდენობა ზუგდიდის და აბაშის ჭიშთაგამოცდის ნაკვეთებზე უმეტესად უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში 1—2% უდრის, ხოლო ტაროებისა — 0,3—1,22%. დიპლოდიოზით ტაროების მაქსიმალური დაავადება — 6% აღრიცხული იყო ზუგდიდის ჭიშთაგამოცდის ნაკვეთზე: 1959 წელს, მაშინ. როდესაც აბაშური ყვითელის ტაროები მხოლოდ 3%-ით იყო დაავადებული.

სიმინდის ფარავანათი საკმაოდ დიდი სიძლიერით ზიანდება, განსაკუთრებით ალაზაასძიდა ტეხიან პირობებში — ჯაგოდების ჭიშთაგამოცდის ნაკვეთზე, სადაც 1959 წელს გამოცდაში მონაწილე ყველა ჭიშების მცენარეთა 100% იყო დაზიანებული; 1960 წელს აჯამეთის თეთრის მცენარეთა დაზიანებამ 54% მიაღწია, რაც ადგილობრივ თეთრ ნახევრადკბილას დაზიანებას 7%-ით აღემატებოდა, ხოლო ჰიბრიდ კრასნოდარულ 5-ს 18%-ით. დანარჩენ წლებში კი მცენარეთა დაზიანება 12—22%, ხოლო ტაროებისა — 1—2% ფარგლებში მერყეობს.

როგორც საგვიანო და ტენისმოყვარული ჭიში, განსაკუთრებით ჰაერის ტენისა, იგი დაბლობში სუბტროპიკული ზონის პირობებშია ვავრცელებული — ზღვის დონიდან 400—500 მეტრამდე, სადაც მოსავლიანობით პირველ ადგილს იკავებს.

ზუგდიდის ჭიშთაგამოცდის ნაკვეთზე მისი მშრალი მარცვლის მოსავალი ჰექტარზე საშუალოდ 24 წლის განმავლობაში 36,4 ცენტნერს უდრის, ხოლო უკანასკნელი 5 წლის საშუალო მოსავალმა კი 41,9 ცენტნერს მიაღწია.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ უკანასკნელი 11 წლის განმავლობაში სიმინდის მონოკულტურის პირობებში შედარებით უფრო მაღალი აგროტექნიკის ფონზე გამოცდის დროს (გამოყენებული იყო მინერალური სასუქები), საშუალო მოსავალმა ჰექტარზე 41,6 ცენტნერი შეადგინა. აქ მისი მოსავალი აბაშური ყვითელის მოსავალს საშუალოდ ჰექტარზე 2,1 ცენტნერით აღემატება და აბაშურ ადგილობრივ თეთრ ნახევრადკბილასთან ერთად პირველ ადგილს იკავებს. აბაშის ჭიშთაგამოცდის ნაკვეთზე ამ ჭიშმა საშუალოდ 23 წლის განმავლობაში ჰექტარზე 30,9 ცენტნერი მშრალი მარცვლის მოსავალი მოგვცა, ხოლო უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში

კი — 44,0 ცენტნერი, რაც აბაშური ყვითელის მოსავალს უთანაბრდება ($-0,5+0,7$), ხოლო გამოცდაში მონაწილე სხვა ჯიშებიდან იგრადგილს უთმობს აბაშურ ადგილობრივ თეთრ ნახევრადკბილას ჰექტარზე 1,9—2,5 ცენტნერით.

აღნიშნულ ნაკვეთზე მონოკულტურის პირობებში გამოცდისას, უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში საშუალოდ ჰექტარზე 35,5 ცენტნერი მშრალი მარცვლის მოსავალია მიღებული, რაც აბაშურ თეთრ ნახევრადკბილას მოსავალს (ამავე პირობებში) 1,5 ცენტნერით ჩამორჩება. წყალტუბოს (ყოფ. ქუთაისის) ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე, სოფელ გეგუთში სარწყავ პირობებშიაც მას მოსავლიანობით გეგუთურ ყვითელთან ერთად პირველი ადგილი უკავია. მისი მშრალი მარცვლის მოსავალი ჰექტარზე საშუალოდ 23 წლის განმავლობაში 35,0 ცენტნერს უდრის. ეს ჯიშში გამოირჩევა თავისი პლასტიკურობით. იგი უხვმოსავლიანი აღმოჩნდა აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს ტენით უზრუნველყოფილ რაიონებში. ლაგოდეხის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე ყველაზე უფრო უხვმოსავლიან ჯიშად ითვლებოდა. მისი მარცვლის მოსავალი საშუალოდ 18 წლის განმავლობაში ჰექტარზე 30,9 ცენტნერს უდრის და ადგილობრივ თეთრ ნახევრადკბილას მოსავალს მხოლოდ 1,2 ცენტნერით ჩამორჩება; მაგრამ ამ უკანასკნელი 7 წლის განმავლობაში მან მარცვლის მოსავლიანობით ადგილი დაუთმო ორმაგ ხაზთაშორის ჰიბრიდს კრასნოდარულ 5, რომელსაც ჰექტარზე 9,4 ცენტნერით ჩამორჩა. ასევე ჩამორჩა ის ჰიბრიდ კრასნოდარულ 5-ის მოსავალს ამბროლაურის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე ($-9,1$ ც).

უნდა აღინიშნოს, რომ აჯამეთის თეთრი დიდად ჩამორჩება ხსენებულ ჰიბრიდს მარცვლის მოსავლით გვალვიან წლებში. მაგალითად, ლაგოდეხის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე 1960—1961 წლებში აჯამეთის თეთრიდან ჰექტარზე მიღებული იყო შესაბამისად 44,1 და 37,6 ცენტნერი მარცვალი, მაშინ, როდესაც ჰიბრიდმა კრასნოდარულმა 5 მოგვცა 58,6 და 55,9 ცენტნერი.

სარწყავ პირობებში გორის, კასპის და მარნეულის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთებზე ის ადგილს უთმობს ჯიშს — ქართულ კრუგს და ჰიბრიდს კრასნოდარულ 5, ხოლო სიღნაღის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე მხოლოდ ჰიბრიდს კრასნოდარულ 5.

აჯამეთის თეთრის მარცვალი მაღალი ლირსებებით ხასიათდება. მისგან დამზადებული მქადი და ღომი კარგი ხარისხისაა, გემრიელია. ამის გამო მისი გავრცელების ზონებში მოსახლეობა უმეტესად სასურსათოდ იყენებს.

აღსანიშნავია, რომ სუბტროპიკული ზონის პირობებში ზუგდიდის, აბაშის, წყალტუბოს და ლაგოდეხის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთებზე სიმინდის შემოზიდული უცხოური ჰიბრიდებიდან, რომლებიც, ძირითადად, საფურაყე კბილა ყვითელმარცვლიან, წითელნაქუჩიან ფორმებს წარმოადგენენ, უმეტესობა აჯამეთის თეთრს ჩამორჩა მარცვლის მოსავლიანობაში, ხოლო ზოგიერთი ჰიბრიდის მოსავალი კი იმდენად უმნიშვნელოდ აღემატებოდა აჯამეთის თეთრის მოსავალს. რომ ზედმეტად იქნა ცნობილი მათი დარაიონება, მით უმეტეს, რომ მოსახლეობამ ისინი სასურსათოდ მიუღებლად ჩათვალა. ეს ჯიში გამოცდილია 13 ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე.

დარაიონებულია ზღვისპირა ჭარბტენიანი და ტენიანი სუბტროპიკული ზონის რაიონებისათვის (I, II ზონა), ქვემო იმერეთის და რაჭა-ლეჩხუმის რაიონების დაბლობი ნაწილისათვის (III, IV ზონა) და ალაზნის მიღმა ტენიანი ზონის რაიონებისათვის (ზონა XVII).

საქართველოში გავრცელებული სიმინდის ჯიშებიდან და ჰიბრიდებიდან აჯამეთის თეთრს, მისი უხვი, მყარი მოსავლისა და მაღალი ღირსების პროდუქციისათვის ყველაზე უფრო მეტი ფართობი უნდა — დაახლოებით სიმინდის მთელი ნათესი ფართობის 25%-მდე.

ჯიში იმერული ჰიბრიდი

გამოყვანილია ქუთაისის ჰიბრიდისაგან¹, მრავალჯერადი ინდივიდუალური და მასობრივი გამორჩევის გზით, რომელიც წარმოებდა ჯერ (1914—1918 წწ.) თბილისის ბოტანიკური ბაღის გარდაბნის (ყოფ. ყარაიზის) სელექციის განყოფილების და შემდეგში (1936 წლიდან) საქართველოს სახელმწიფო სასელექციო სადგურის ტერიტორიაზე.

მცენარე მძლავრია, მაღალტენიანი; მისი სიმაღლით რესპუბლიკაში დარაიონებულ ყველა ჯიშს და ჰიბრიდს აღემატება, საშუალოდ 250—330 სმ ფარგლებში მერყეობს, ზოგიერთი მცენარის სიმაღლე 4 მეტრს აღწევს. მარნეულის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე მცენარეთა სიმაღლე საშუალოდ 309 სმ უდრის (275—360 სმ), მაშინ, როდესაც იმავე პირობებში ჯიში ქართული კრუგის მცენარეების საშუალო სიმაღლემ 290 სმ შეადგინა, თელავის ნაკვეთზე იგი 294 სმ, ლაგო-

¹ პროფ. ლ. ლ. დეკაპრლევიჩი 1914—1918 წწ. ჩატარებული გამოკვლევის შედეგად დასკვნის, რომ იმდროინდელი ქუთაისის ჰიბრიდი შედგებოდა კაქა და კბილა ტიპებს შორის ყოველგვარი გარდამავალი ფორმებისაგან.

დების — 284, აბაშის — 295 და წყალტუბოს — 263 სმ უდრის. ქვე-
და ტაროს მიმაგრების სიმალლე მარნეულის ჯიშთაგამოცდის ნაკ-
ვეთზე საშუალოდ 153 სმ, თელავის — 121, ლაგოდეხის — 144,
აბაშის — 148 და წყალტუბოს — 123 სმ უდრის. ფოთოლთა რაო-
დენობა უმეტესად 18—22 ფარგლებში მერყეობს, მიწისზედა მუხ-
ლები — 14—16.

ვ. ი. ბალურას მიხედვით, ჯიშის იმერული ჰიბრიდის მცენარე-
ებზე ფოთოლთა რაოდენობა იყო საშუალოდ: ომსკში და ხარკოვ-
ში — 22,6—22,9, კრასნოდარში — 23, ხოლო ხერსონსა და ტაშ-
კენტში—24,2—24,0. გამძლეა ჩაწოლისადმი. ბარტყობა თითქმის
სრულებით არ ახასიათებს. აღმოსავლეთ საქართველოში ნოყიერ
ნიადაგზე და მაღალი აგროტექნიკის პირობებში მცენარეს საშუა-
ლოდ 1,2 ტარო აქვს, ზოგიერთ წლებში გეხვდება 2 და 3-ტაროიანი
მცენარეებიც, ხოლო დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ ზო-
ნაში — 0,88. ფუჩიჩი ტაროს მაგრად ეკვრის. ტაროს წვერო ფუჩი-
ჩით კარგად არ არის დაფარული.

ტარო საკმაოდ მსხვილი და გრძელია. მარნეულის ჯიშთაგამოც-
დის ნაკვეთზე ტაროს სიგრძე საშუალოდ 22 სმ უდრის (19—
23,7 სმ), დიამეტრი ბოლოზე 40—45 მმ, წვეროზე — 38—41 მმ.
ოდნავ კონუსისებრი ფორმისაა, წვეროსკენ წვრილდება. მშრალი
ტარო საშუალოდ 238 გრამს იწონის (195—289). მარცვლის მწკრი-
ვია 12—16. მწკრივები უმეტესად სწორად არის განლაგებული,
ზოგჯერ ტაროს წვეროსაკენ სპირალურ ფორმას უახლოვდება.
მწკრივებს შორის კვალი კარგადაა გამოსახული მთელ სიგრძეზე.
ტაროს წვერო და ბოლო უმეტესად მარცვლითაა ამოვსებული. ტა-
როს ფეხი მოგრძოა და საკმაოდ მსხვილი. ტარო ღეროდან ოდნავ
ან საშუალოდ არის გადახრილი. ნაქუჩი (ნაგულა) თეთრია და მსხვი-
ლი. მარცვლის გამოსავალი საშუალოდ 75,8% (74—78%) უდრის.

მარცვალი კაჟა ტიპისაა — თავგადაღესილი, ყვითელი ფერის
(სხვადასხვა ელფერით), საშუალო ზომის, სიგრძით 9,8—10,26, სი-
განით — 8,6—9,42, სისქით — 4,43 მმ. 1000 მარცვლის წონა
245—350 გრამის ფარგლებში მერყეობს. მარნეულის ჯიშთაგამოც-
დის ნაკვეთზე საშუალოდ 273 გ უდრის და 25 გ-ით ჩამორჩება
ქართული კრუგის 1000 მარცვლის წონას. მარცვალი მწკრივებში
მჭიდროდ არიან განწყობილი და მაგრად სხედან ნაქუჩზე — ძნელი
დასაფშვნელია. იმერული ჰიბრიდის მარცვალი ცილას და ცხიმს უფ-
რო მეტი რაოდენობით შეიცავს, ვიდრე ქართული კრუგის მარცვა-

ლი. მაგალითად, მარნეულის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთის 1960 წლის მოსავლიდან აღებული იმერული ჰიბრიდის ნიმუში შეიცავდა ცილას 11,4%, ცხიმს — 6,3% და სახამებელს — 69,4%, ხოლო ქართული კრუგისა კი შესაბამისად 10,7%, 5,4% და 71,3%. იმერული ჰიბრიდი სასურსათოდ გამოყენებისას ყოველთვის მაღალ შეფასებას ღებულობს.

იგი როგორც კაჟა ტიპის მარცვლის მქონე *Z. m. indurata* Sturt ჯგუფის ყვითელმარცვლიანი და თეთრნაქუჩიანი ჯიშში, მიეკუთვნება სახესხვაობა *V.vulgata* Korn (ველგატას). ძლიერ საგვიანო ჯიშია. აღმოცენებიდან სრულ სიმწიფემდე 130—145 დღე და ზოგჯერ მეტიც ესაჭიროება. მარნეულის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე საშუალოდ 133 დღე სჭირდება და აქ ის, ქართულ კრუგთან შედარებით 8—10 დღით უფრო გვიან მწიფდება.

სოკოვანი დაავადებებიდან ზუგდიდის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე მცენარეთა 100% ავადდება ჰელმინთოსპორიოზით და ისიც დიდი სიძლიერით; ადრე ხმება და ღერო მტვრევადი ხდება.

აღმოსავლეთ საქართველოში ჰელმინთოსპორიოზით დაავადება ჯიშთაგამოცდის ნაკვეთებზე არ არის აღნიშნული. მარნეულის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე, რომლის სამოქმედო ზონაშია იმერული ჰიბრიდი ძირითადად გავრცელებული, დაავადება არ არის ხშირი მოვლენა, მაგრამ ასეთი მაინც არის აღნიშნული: ბუშტოვანი გუდაფშუტა 2—15%, (კასპში 3%), ფუზარიოზი — 2—8%-მდე (ერთხელ იყო აღნიშნული 10%), წითელი სიდამპლე — 6—10% და თეთრა — 2—4%. სიმინდის ფარვანათი დაზიანებული მცენარეების მაქსიმუმი 5%, ხოლო ტარობისა 3% აღნიშნულია ზუგდიდის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე, ხოლო მარნეულის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე კი შესაბამისად 16 და 4%-ით, მაშინ, როდესაც სხვა ჯიშები უფრო ნაკლებად იყო დაზიანებული (ქართული კრუგი — 11—4% და ქართული 1—1—7%).

იმერული ჰიბრიდი უზემოსავლიანია აღმოსავლეთ საქართველოს რაიონების დაბლობ ზონაში ღრბა ნოციერ ნიადაგებზე და მაღალი აგროტექნიკის პირობებში, მაგრამ ის მარცვლის მოსავლიანობით, ისე როგორც ყველა სხვა კაჟა ტიპის ჯიშები, ადგილს უთმობს კბილა და ნახევრადკბილა ტიპის ჯიშებს. მარნეულის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე მისმა მოსავალმა საშუალოდ 20 წლის განმავლობაში

ჰექტარზე 56,2 ცენტნერი შეადგინა და ქართული კრუგის მოსავალს 10,6 ცენტნერით ჩამორჩა. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში კი ჩამორჩენამ 7,3 ცენტნერი შეადგინა.

უნდა აღინიშნოს, რომ სასილოსე მასას იმერული ჰიბრიდი გაცილებით უფრო მეტი რაოდენობით იძლევა, ვიდრე ქართული კრუგი. საშუალოდ უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში ჰყინტი ტაროს სტადიაში აღების დროს იმერული ჰიბრიდის მწვანე სასილოსე მასის მოსავალმა (ტარობიანად) ჰექტარზე 444 ცენტნერი შეადგინა, რაც იმავე პირობებში აღებულ ქართული კრუგის მოსავალს (367 ცენტნერს) 68 ცენტნერით აღემატებოდა. იმერული ჰიბრიდის სასილოსე მასაში ნედლი ტაროები ფუჩეჩიანად 3 ცენტნერით მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ქართული კრუგის სასილოსე მასაში, მშრალი ნივთიერება მთელ სასილოსე მასაში კი 29,8 ცენტნერით მეტი, ზოლო კვებითი ერთეულები მიღებული იყო საშუალოდ ჰექტარზე 135,8 ცენტნერი, ნაცვლად ქართული კრუგიდან მიღებული 116,9 ცენტნერისა. ამგვარად, თუ იმერული ჰიბრიდი მშრალი მარცვლის მოსავალში ჩამორჩება ქართული კრუგის მოსავალს, სასილოსე მასის მოსავალში კვებითი ერთეულებით ჰექტარზე 18,9 ცენტნერით აღემატება. იმერული ჰიბრიდი ასევე ჩამორჩება ქართულ კრუგს მშრალი მარცვლის მოსავლიანობით, მაგრამ აღემატება სასილოსე მასის და კვებითი ერთეულების მოსავლით საგარეჯოს სარწყავი ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე (+53 და +9,8 ც). გორის და კასპის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთებზე იმერული ჰიბრიდის მარცვლის მოსავალი ჩამორჩება ქართული კრუგის მოსავალს, მაგრამ სასილოსე მასის მოსავალში კვებითი ერთეულების მხრივ უთანაბრდება მას (კასპის ნაკვეთზე) ან მხოლოდ 3 ცენტნერით ჩამორჩება (გორის ნაკვეთზე). დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული ზონის პირობებში ის ადგილს უთმობს აბაშურ ყვითელს და აჯამეთის თეთრს როგორც მარცვლის, ისე სასილოსე მასის მოსავლიანობით. ზუგდიდის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე აბაშურ ყვითელს ჰექტარზე ჩამორჩება: მარცვლის მოსავალში — 20,7 ცენტნერით, სასილოსე მწვანე მასის მოსავალში — 77,0 ცენტნერით, მათ შორის ნედლი ტაროს (ფუჩეჩიანის) მოსავალში — 33 ცენტნერით, მშრალი მასის — 28,8 ცენტნერით და კვებითი ერთეულებით — 25,7 ცენტნერით, აბაშის ნაკვეთზე კი აგრეთვე ჩამორჩება აბაშურ ყვითელს შესაბამისად — 10,2 ცენტნერით, 43,0, 10,0, 2,3 და 10,4 ცენტნერით. გამოცდილია საგვიანო ჯიშების გავრცელების ყველა ზონაში (ჯიშთაგამოცდის 11 ნაკვეთზე).

იმერული ჰიბრიდი პირველად დარაიონებული იყო 1931 წლიდან, როგორც დასაშვები ჯიში მარნეულის (ყოფ. ბორჩალოს), ბოლნისის (ყოფ. ლუქსემბურგის) და სამგორის (ყოფ. ყარაიაზის) რაიონების სარწყავი ზონისათვის ზღვის დონიდან 500 მეტრის სიმაღლემდე. შემდგომში მისი დარაიონება გაფართოვდა და ამჟამად იგი დარაიონებულია: ბოლნისის და გარდაბნის რაიონების დაბლობი სარწყავი ნაწილის (ზონები X და XIV) და მდ. ალაზნის მარჯვენა ნაპირის ურწყავი ნაწილისათვის (ზონა XVIII). გარდა ამისა, დარაიონებაში დატოვებულია როგორც ჯერჯერობით დასაშვები ჯიში შიდა ქართლის რაიონების — გორის, ხაშურის, დუშეთის და მათი მოსაზღვრე სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქის რაიონების დაბლობი სარწყავი ზონისათვის (IX).

იმერული ჰიბრიდი საქართველოს სსრ გარდა დარაიონებულია, ძირითადად, სასილოსედ უზბეკეთის; ტაჯიკეთისა და ყირგიზეთის რესპუბლიკებში სარწყავი მიწათმოქმედების ზონებისათვის.

გეგმითური მშენებელი

ადგილობრივი ჰიბრიდული ჯიშია ჩამოყალიბებული ე. წ. „ქუთაისის ჰიბრიდიდან“ წყალტუბოს რაიონის (ყოფილი ქუთაისის) სოფელ გეგუთში და გაუმჯობესებული მასობრივი გამორჩევის გზით წყალტუბოს ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე.

მცენარე საკმაოდ მაღალი იზრდება, მისი სიმაღლე საშუალოდ 215 სმ-ია. (186—244 სმ) და არაიშვიათად 200 სმ აღემატება. ქვედა ტარო მთავარ ღეროზე მიმაგრებულია მიწის ზედაპირიდან საშუალოდ 92 სმ-ზე (83—99 სმ), ზოგჯერ 100-ზე უფრო მაღლა. ფოთოლთა რაოდენობაა 16—18, ხოლო მიწისზედა მუხლები — 12—14. ბარტყებს მცირე რაოდენობით ივითარებს. საკმაოდ გამძლეა ჩაწოლისადმი.

ტარო საშუალოზე უფრო დიდი ზომისაა და, ძირითადად, კონუსისებრი ფორმა აქვს. მისი სიგრძე 18—20 სმ-ია, ხოლო დიამეტრი ტაროს შუა ნაწილში 40—44 მმ აღწევს. ტაროს წონა საშუალოდ 205 გრამია (190—240). ძირითადად, ტაროზე მარცვლის 8 მწკრივია, ზოგჯერ — 10. მწკრივები უმეტესად სწორხაზოვანია და მათ შორის კარგად გამოსახული ღრმა კვალია, რითაც იგი განსხვავდება აბაშური ყვითელისა და ადგილობრივი ყვითელი ნახევრადკბილა ჯიშები-

საგან. ტაროს წვერო მარცვლებით მთლიანად არ არის ამოვსებული. ტაროს მოკლე და მსხვილი ფეხი ახასიათებს. სრულ სიმწიფეში ტარო ლეროდან უმნიშვნელოდ არის გადახრილი. ტაროს წვერო ფუჩეჩით მთლიანად არ არის დაფარული — მოჩანს მისი უმარცვლო მცირე ნაწილი. უმეტესად თითო ტაროს ივითარებს. უნაყოფო ტაროების რაოდენობა 1,5% აღწევს. თეთრნაქუჩიანია.

მარცვალი ნახევრადკბილა და კბილა ტიპისაა, უფრო მეტად ნახევრადკბილაა. ყვითელი ფერის — მუქი ნარინჯოვანი წითელი ელფერით. მარცვლის თავი უმეტესად ლიმონისფერ-მოყვითალო ფერისაა, გაპრიალებული ზედაპირით. მარცვლის თავზე ჩაღრმავებული ადგილი უმეტესად გლუვია. დანაოქება ჩაქსლეტის გასწვრივ ნაპირზე ოდნავ გამოსახულია ან თითქმის სრულებით არ ახასიათებს. დიდი ზომისაა. მისი სიგრძე საშუალოდ 12,1 მმ-ია, სიგანე — 11,4 მმ. ხშირად სიგრძე და სიგანე თანაბარია (ტიპი B), სისქე — 4,9—4,5 მმ. 1000 მარცვლის წონა 400—450, ზოგჯერ 480 გრამს აღემატება. მარცვლის გამოსავალია 79—81%.

როგორც ნახევრადკბილა, ყვითელმარცვლიანი და თეთრნაქუჩიანი მიეკუთვნება *Z. m. semidentata* Kulech-ის ჯგუფის სახესხვაობა *V. aurantica* Dek.

სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობის მიხედვით საგვიანო ჯიშების ჯგუფს მიეკუთვნება. აღმოცენებიდან სრულ სიმწიფემდე საშუალოდ წყალტუბოს ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე 130 დღე ესაჭიროება და აჯამეთის თეთრთან შედარებით 2 — 3 დღით ადრე შემოდის.

გამძლეა დაავადებათა და მავნებლების მიმართ. ბუშტოვანა გუდაფშუტით დაავადება უმეტესად 2—4% უდრის, ხოლო მაქსიმალური დაავადება (9%) აღნიშნული იყო მხოლოდ 1949 წელს, დიპლოდიოზით დაავადებულმა ტაროებმა 0,2%-დან ზოგიერთ წლებში 6,9% მიაღწია, ხოლო მაქსიმალური დაავადება 22 წლის განმავლობაში (9%) აღნიშნული იყო მხოლოდ ერთ წელს, ფუზარიოზით კი უმნიშვნელოდ ავადდება. ის აბაშურ ყვითელთან და აჯამეთის თეთრთან თითქმის თანაბარი ხარისხით ავადდება.

გეგუთური ყვითელი გამოცდილია 4 ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე, იგი უხვმოსავლიანი აღმოჩნდა წყალტუბოს ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე, სადაც გამოცდილი 52 ჯიშიდან და ჰიბრიდიდან პირველ ადგილს იკავებს.

მისი მშრალი მარცვლის მოსავალი წყალტუბოს ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე ჰექტარზე საშუალოდ 22 წლის განმავლობაში 35,6 ცენტნერს უდრის, რაც აბაშური ყვითელის მარცვლის მოსავალს იმავე წლებში 4,3 ცენტნერით, ხოლო ადგილობრივ ყვითელ ნახევარკბილას მოსავალს კი საშუალოდ 10 წლის განმავლობაში 3,9 ცენტნერით აღემატება. აქ მას მოსავლიანობით ჩამორჩნენ აგრეთვე თეთრმარცვლიანი ჯიშებიც — ქუთათური ადგილობრივი თეთრი ნახევრადკბილა — 1,9 ცენტნერით და აბაშური თეთრი ნახევრადკბილა — 3,4 ცენტნერით, აჯამეთის თეთრი კი გაუთანაბრდა მას.

აბაშის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე გეგუთური ყვითელის მარცვლის მოსავალი საშუალოდ 15 წლის განმავლობაში უთანაბრდება აბაშური ყვითელის და აჯამეთის თეთრის მოსავალს (+0,5—0,5), ხოლო აბაშურ ადგილობრივ თეთრ ნახევრადკბილას კი ჰექტარზე ჩამორჩა საშუალოდ 1,9 ცენტნერით.

გეგუთური ყვითელი კარგად არის შეგუებული ქვემო იმერეთის დაბლობი ზონის პირობებთან, სადაც მოხდა მისი ჩამოყალიბება როგორც ჯიშისა, ხოლო ჭარბტენიან პირობებში ზუგდიდის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე ადგილს უთმობს სხვა ჯიშებს. აქ 12 წლის განმავლობაში საშუალოდ ჰექტარზე გეგუთური ყვითელიდან 1,5 ცენტნერით უფრო ნაკლები მოსავალია მიღებული, ვიდრე აბაშური ყვითელიდან და 4,7 ცენტნერით ნაკლები, ვიდრე აჯამეთის თეთრიდან.

გეგუთური ყვითელი თავისი მარცვლის და მისგან მიღებული პროდუქციის მეტად მაღალი ღირებულების მხრივ ყვითელმარცვლიან ჯიშებს შორის პირველ ადგილს იკავებს, ამიტომ მისი მოსავალი, ძირითადად, სასურსათოდ გამოიყენება.

დარაიონებულია 1946 წლიდან ქვემო იმერეთის რაიონების: წყალტუბოს, სამტრედიის, ზესტაფონის, მაიაკოვსკის რაიონების დაბლობი ნაწილისათვის (ზონა III).

ადგილობრივი თეთრი და ყვითელი კაჟოვანა

ადგილობრივი თეთრი და ყვითელი კაჟა ტიპის ჯიშები, ჩამოყალიბებული საქართველოს სხვადასხვა აგროკლიმატურ პირობებში, ერთმანეთისაგან მთელი რიგი სამეურნეო და ბიოლოგიური ნიშანთვისებებით განსხვავდებიან. ისინი, ძირითადად, გავრცელებული არიან მთიან და მაღალმთიან ზონებში და მათთვის დამახასიათებელია მოკლე და საშუალო სავეგეტაციო პერიოდი, დაბალი ტანის მცენარეები, მოკლე ტარო. დაბლობი ზონის პირობებში გვხვდება

საშუალოსაგვიანო და საგვიანო ჯიშები, უმეტესად ურწყავ პირობებში, ხოლო სარწყავ და ტენით უზრუნველყოფილ პირობებში კი ამჟამად სიმინდის კაჟა ტიპის ჯიშებმა თითქმის მთლიანად დაუთმეს ადგილი ნახევრადკბილა და კბილა ტიპის ჯიშებს და ჰიბრიდებს. აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული მთიანი ზონის ჯიშებიდან პროფ. ლ. დეკარელევიჩის ცალკე გამოყოფილი აქვს მესხეთის ჯგუფის კაჟა ტიპის თეთრ-და ყვითელმარცვლიანი თეთრნაქუჩიანი ჯიშები, რომლებიც გამოცდილია ახალციხის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე — დაბა ვალეს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში ზღვის დონიდან 1070 მეტრ სიმაღლეზე, ურწყავ პირობებში. აქ ადგილობრივ თეთრ კაჟოვანას მცენარეთა სიმაღლე საშუალოდ 169 (156—186) სმ უდრის, ხოლო ქვედა ტაროს მიმაგრების სიმაღლე — 59 (40—72) სმ.

კაჟა ტიპის თეთრმარცვლიანი და თეთრნაქუჩიანი ჯიშები მიეკუთვნებიან სახესხვაობა *V. alba* Al-ს (ალბა), ხოლო ყვითელმარცვლიანი და თეთრნაქუჩიანი — სახესხვაობაც. *V. vulgata* Korn (ვულგატა კორნ.). ფოთოლთა რაოდენობა 12—14, ხოლო მიწისზედა მუხლები 7—9 აქვს. ტარო მოკლეა — 12,8—19 სმ. დიამეტრი ტაროს შუა ნაწილში საშუალოდ 39 მმ. მწკრივები ტაროზე ხშირად არ არის სწორი, ზოგჯერ სპირალურად არის განწყობილი. ტაროს ბოლო და წვერო მარცვლით საკმაოდ კარგად არის ამოვსებული და მარცვლები ტაროს ბოლოზე არაიშვიათად უწესრიგოდაა განლაგებული. კონუსისებრი ფორმისაა, მაგრამ გვხვდება ცილინდრული ფორმის ტაროებიც. თეთრი ფერის თავგადაღესილი მარცვლები მომრგვალო ფორმისაა; მათი სიგრძე საშუალოდ 9,14 მმ-ია, სიგანე — 8,60 მმ და სისქე — 4,58 მმ. 1000 მარცვლის წონა საშუალოდ 292 (251—331) გ უდრის, საშუალო სავეგეტაციო პერიოდის ჯგუფს მიეკუთვნება. აღმოცენებიდან სრულ სიმწიფემდე 122—132 დღე ესაჭიროება.

ადგილობრივი ყვითელი კაჟოვანა განსხვავდება თეთრი კაჟოვანასაგან, შედარებით უფრო დაბალი მცენარეებით (—5—8 სმ), ტაროს 8—12 სმ უფრო დაბლა მიმაგრებით, შედარებით მოკლე სავეგეტაციო პერიოდით — 5 დღემდე, უფრო მოკლე ტაროთი — საშუალოდ კი 14,6 სმ სიგრძისა (—2,0—4,0 სმ), უფრო მეტად არასწორად — თითქმის სპირალურად განლაგებული მწკრივებით და 1000 მარცვლის საშუალოდ 24 გრამით უფრო ნაკლები წონით (268 გ).

მარცვლის მოსავალს ზოგჯერ თანაბარი რაოდენობით იძლევიან, მაგრამ ადგილობრივი თეთრი კაჟოვანა ხელსაყრელ პირობებში გაცილებით მეტ მოსავალს იძლევა, ვიდრე ადგილობრივი ყვითელი კაჟოვანა. მაგალითად, ახალციხის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე 1959 წელს ადგილობრივი თეთრი კაჟოვანას მარცვლის მოსავალი ჰექტარზე უდრიდა 35,9, ხოლო ადგილობრივი ყვითელი კაჟოვანასი — 26,6 ცენტნერს, 1960 წელს კი შესაბამისად 40,2 და 32,9 ცენტნერს. საშუალოდ უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში ადგილობრივი თეთრი კაჟოვანას საჰექტარო მოსავალი ადგილობრივი ყვითელი კაჟოვანას მოსავალს 3,1 ცენტნერით აღემატება. ახალციხის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთის მომსახურების ზონაში (მესხეთის მთაგორიანი ზეგანი), თითქმის თანაბარი ფართობი უკავია ადგილობრივ თეთრ და ყვითელ კაჟოვანას, რომლებსაც 1961 წელს ამ ზონაში ნათესი სიმინდის მთელი ფართობის 75% ეკავა, ხოლო მის მოსაზღვრე, ყოფილ ბორჯომის რაიონში სიმინდის მთელ სათეს ფართობზე მხოლოდ ადგილობრივი თეთრი კაჟოვანა იყო დათესილი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ახალციხის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე გამოცდაში მონაწილეობდა ადგილობრივი თეთრი და ყვითელი კაჟოვანას ის ეკოტიპები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა მისი მომსახურების ზონაში ზღვის დონიდან 900—1150 მეტრის სიმაღლეზე, ხოლო მესხეთის (ახალციხის, ყოფილი ადიგენის და ასპინძის რაიონების) კაჟა ტიპის საადრეო ეკოტიპები, რომლებიც უფრო მაღლობ ზონაში გვხვდებიან, არ ყოფილა გამოცდილი და არც მათ დახასიათებას შევუძლებით.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და მისი მოსაზღვრე შიდა ქართლის რაიონების ურწყავ ნაწილში ადგილობრივი ჯიშებიდან გავრცელებულია თეთრი კაჟოვანა, ხოლო ყვითელი კაჟოვანა კი მხოლოდ რამდენიმე ათეულ ჰექტარს იკავებს. ადგილობრივი თეთრი და ყვითელი კაჟოვანა გამოცდილი იყო ცხინვალის (ყოფილი სტალინირის) ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე, სოფელ ხეთაგუროვში, ზღვის დონიდან 950 მეტრის სიმაღლეზე (ზონა VIII). აქ იცდებოდა ის ეკოტიპები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა სამხრეთ ოსეთის დაბლობი ზონის კოლმეურნეობებში. მაღალმთიანი ზონიდან იქ გავრცელებული საადრეო ჯიშების ჩამოტანა ხსენებულ ნაკვეთზე და შედარება საშუალო და საშუალოსაგვიანო ჯიშებთან ზედმეტად იქნა ცნობილი.

ადგილობრივი თეთრი კაჟოვანას მცენარეების სიმაღლე აქ საშუალოდ 150 სმ (127—178 სმ) უდრის, ხოლო ქვედა ტაროს მიმაგრებისა — 54 სმ (44—67 სმ). ჩაწოლისადმი გამძლეა. ბარტყებს მცირე რაოდენობით ივითარებს (1,0—1,1).

ტარო უმეტესად მოკლეა, კონუსისებრი ფორმისაა, მისი სიგრძე საშუალოდ 14 სმ-ია (11,6—16,3 სმ), დიამეტრი კი შუა ნაწილში — 40 მმ. მშრალი ტაროს წონა საშუალოდ 131 გრამია (66—173). ტაროზე 8—12 მწკრივია, რომლებიც ხშირად არ არის სწორად განლაგებული. ბოლო და წვერო მარცვლით საკმაოდ კარგადაა ამოყვებული. ტაროს ფეხი საკმაოდ მსხვილია და საშუალო სიგრძის; ტარო ღეროდან საშუალოდ არის გადახრილი; მთლიანად გადახრილ-ტაროებიანი მცენარეები 7,7—15,5% ფარგლებში მერყეობს.

მარცვლი თეთრია, თავგადაღებული, მომრგვალებული ან ოდნავ წაგრძელებული ფორმისა. არ არის მსხვილი. 1000 მარცვლის წონა საშუალოდ 284 გრამს (225—320) უდრის. ნაქუჩი თეთრია, მსხვილი. მარცვლის გამოსავალია 72—77%. მისი სავეგეტაციო პერიოდი აღმოცენებიდან სრულ სიმწიფემდე საშუალოდ 124 (106—144) დღეს უდრის. გამძლეა გვალვისადმი.

მოსავლიანობის მხრივ, მისი გავრცელების ზონაში, უხვმოსავლიანი ჯიშების ჯგუფში შედის. მშრალი მარცვლის მოსავალი საშუალოდ 23 წლის განმავლობაში ჰექტარზე 19 ცენტნერს უდრის, ხოლო უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში კი 26,8 ცენტნერს. უთანაბრდება ადგილობრივი ყვითელი კაჟოვანას მოსავალს, მაგრამ ბევრად ჩამორჩება ორმაგი ხაზთაშორისი ჰიბრიდის ვირ 42 მოსავალს, საშუალოდ ჰექტარზე 10 წლის განმავლობაში (როდესაც ისინი ერთდროულად იცდებოდნენ) — 10,4 ცენტნერით, ხოლო უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში კი — 13,5 ცენტნერით. მიუხედავად იმისა, რომ ის, როგორც კაჟა ტიპის თეთრი მარცვლების მქონე ჯიშში, მაღალი სასურსათო თვისებებით ხასიათდება, მარცვლის შედარებით დაბალი მოსავლიანობის გამო ადგილს უთმობს ახალ დარაიონებულ ჰიბრიდს ვირ 42, რომელსაც აგრეთვე ჩამორჩება სასილოსედ გამოყენების დროს კვებითი ერთეულების მოსავლიანობითაც — საშუალოდ ჰექტარზე 8,1 ცენტნერით.

ზნაურის და ლენინგორის რაიონებში ადგილობრივ თეთრ კაჟოვანას 1953 წ. სიმინდის მთელი ნათესი ფართობის 97,7% ეკავა, რაც 1961 წელს 44,1 პროცენტამდე შემცირდა, ძირითადად, უხვმოსავლიანი ჰიბრიდის ვირ 42 ანგარიშში, ამ ჰიბრიდს 1953 წელს მხოლოდ 4 ჰექტარი ეკავა, 1961 წელს მისი ნათესი ფართობი 2388 ჰექტარს — 31,0% უდრიდა.

ადგილობრივი ყვითელი კაჟოვანა თავისი სამეურნეო და ბიოლოგიური ნიშანთვისებებით ცხინვალის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე,

გარდა იმისა, რომ ის ყვითელმარცვლიანია, ბევრად არ განსხვავდება ადგილობრივი თეთრი კაუოვანასაგან; მცენარეთა სიმალლე საშუალოდ 139 სმ უდრის, რაც ადგილობრივი თეთრი კაუოვანას მცენარეთა სიმალლეზე (იმავე წლებში) მხოლოდ 6 სმ-ით ნაკლებია; ტარო ორი-სამი სანტიმეტრით უფრო დაბლა აქვს მიმაგრებული, ვიდრე ადგილობრივ თეთრ კაუოვანას მცენარეებს; ტაროს სიგრძე 0,5—1,0 სმ-მდე ნაკლები აქვს და სავეგეტაციო პერიოდის მიხედვით ოდნავ უფრო საადრეოა (1—3 დღით).

თიანეთის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთის მომსახურების ზონაში (XIII), ძირითადად, ადგილობრივი თეთრი კაუოვანაა გავრცელებული; ყვითელი კაუოვანა მეტად უმნიშვნელო ფართობზე გვხვდება, უფრო მაღალშიან ზონაში. ადგილობრივი თეთრი კაუოვანა აქ უფრო გრძელი ტაროებით (14—18 სმ) და ტაროებზე უფრო სწორი მწკრივებით ხასიათდება, ვიდრე ახალციხის და ცხინვალის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთების სამოქმედო ზონებში. სხვა მაჩვენებლები—სავეგეტაციო პერიოდი, ტაროს და მარცვლის ფორმა, სიმსხო და სხვ. თითქმის ისეთივე აქვს, როგორც ცხინვალის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე.

ადგილობრივი თეთრი და ყვითელი ნახევრადკბილა

ამ სახელწოდებით ცნობილია სიმინდის კბილა და კაყა ტიპის ჯიშების ბუნებრივი შეჯვარებისა და ხალხური სელექციის საფუძველზე დაბლობ ზონაში (ზღვის დონიდან 400—500 მეტრამდე) ჩამოყალიბებული ადგილობრივი ეკოტიპები, რომლებიც, ძირითადად, მათი წარმოშობის და გავრცელების ადგილის სახელითაა ცნობილი; აბაშური თეთრი ნახევრადკბილა, ქუთათური თეთრი ნახევრადკბილა, ლანჩხუთის, გალის, ლაგოდეხის და სხვა.

ყველა ადგილობრივი თეთრი ნახევრადკბილა ჯიშების — ეკოტიპების დამახასიათებელია თეთრი ფერის მარცვალი, ოდნავ ან საშუალოდ გამოსახული ინდენტაციით. მარცვლის თავის ჩაჭყლელთა არ არის ღრმა, დანაოქება ჩაღრმავებულ ადგილზე და მის ნაპირებზე სუსტად არის გამოსახული, ისიც უმეტესად ტაროს შუანაწილის მარცვლებზე. ხოლო ტაროს ბოლოსა და წვეროზე მეტწილად მომრგვალო ფორმის და კაყა ტიპის სახეს ღებულობს. მარცვალი მსხვილია, ბრტყელი, განიერი, მარცვლის სიგრძესა და სიგანეს შორის

უმნიშვნელო განსხვავებაა — უმეტესად სიგრძე 12—13 მმ-ია, სიგანე — 11,12 მმ; ზოგჯერ სიგრძე და სიგანე თანაბარია. 1000 მარცვლას წონა 400—500 გრამია.

ტარო საკმაოდ გრძელია და 16—20 სმ აღემატება, ცილინდრული ან ოდნავ კონუსისებრი ფორმისაა. ტაროს სიგრძის შეფარდება მისი შუა ნაწილის დიამეტრთან 3,5—5,0 უდრის. ტაროზე მარცვლის მწკრივთა რაოდენობა 8—10, უმეტესად კი 8. მწკრივები, ძირითადად, სწორხაზოვანია, მხოლოდ თავსა და ბოლოში გვხვდება უწესრიგოდ განლაგებული მარცვლები. ტაროს წვერო ხშირად მარცვლით არ არის ამოვსებული. მწკრივებზე შორის კვალი კარგად არის გამოსახული. მშრალი ტაროს წონა 200—250 გ უდრის. თეთრნაქუჩიანია (ყვავილის კილები თეთრია), ნაქუჩი საკმაოდ მსხვილი აქვს, მარცვლის გამოსავალი 78—80 პროცენტი. ტაროს წვერო ფუჩიჩით მთლიანად არის დაფარული და სრულ სიმწიფეში ღეროდან ოდნავ გადახრილია.

ადგილობრივი თეთრი ნახევრადკბილა მიეკუთვნება სახესხვაობა *V.Candida Dek.* (კანდიდას დეკ.), ხოლო ადგილობრივი ყვითელი ნახევრადკბილა კი — სახესხვაობა *V.aurantica Dek.* (აურანტიკა დეკ.). მცენარე მაღალია — 200—250 სმ; ქვედა ტარო მიმაგრებული აქვს 100—140 სმ სიმაღლეზე. ბარტყებს მცირე რაოდენობით ივითარებს — 1,1—1,3. კარგად შეფოთლილია (16—20), მიწისზედა მუხლები აქვს 12—15. გამძლეა ჩაწოლისადმი.

ადგილობრივი თეთრი და ყვითელი ნახევრადკბილა სავევეტაციო პერიოდის ხანგრძლიობით მიეკუთვნება ძლიერ საგვიანო და საგვიანო ჯიშების ჯგუფს. აღმოცენებიდან სრულ სიმწიფემდე 130—140 დღე და ზოგჯერ კიდევ უფრო მეტა სჭირდებათ. ტენის მოყვარულნი და შეგუებულნი არიან ჭარბტენიან პირობებს. კარგად ხარობენ ისეთ ნიადაგებზეც, სადაც გრუნტის წყლები ახლოა.

საშუალოდ გამძლენი არიან სოკოვან დაავადებათა და მავნებლების მიმართ.

აბაშური თეთრი ნახევრადკბილა ადგილობრივი აჯამეთის თეთრისაგან გამოირჩევა ტაროზე მწკრივების უფრო ნაკლები რაოდენობით, უმეტესად 8, მაშინ, როდესაც აჯამეთის თეთრს 10—12 მწკრივი და ზოგჯერ კიდევ მეტიც აქვს, უფრო განიერი და მსხვილი მარცვლით; მწკრივებს შორის კვალი უფრო მეტად აქვს გამოსახული, ვიდრე აჯამეთის თეთრის ტაროზეა. აბაშის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე მცენარეთა სიმაღლე საშუალოდ (250 სმ) 5—10 სმ-ით აღე-

მატება აჯამეთის თეთრის მცენარეთა სიმალლეს, 3—5 დღით უფრო გვიან მწიფდება. აღმოცენებიდან სრულ სიმწიფემდე საშუალოდ 141 დღე სჭირდება. ზუგდიდის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე ეს სხვაობა კიდევ უფრო მეტად არის გამოსახული.

უხვმოსავლიანია. აბაშის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე მისი მშრალი მარცვლის მოსავალი საშუალოდ 23 წლის განმავლობაში ჰექტარზე 2,1 ცენტნერით აღემატება აჯამეთის თეთრის და აბაშური ყვითელის მოსავალს. საშუალოდ უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში ჰექტარზე მიღებულია 48,7 ცენტნერი მშრალი მარცვლის მოსავალი (+2,5 ც). უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მისი მოსავალი შედარებით უფრო მყარია, ვიდრე აჯამეთის თეთრისა. ზუგდიდის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზეც მისი მარცვლის მოსავალი აჯამეთის თეთრის და აბაშური ყვითელის მოსავალს ჰექტარზე 0,4—3,2 ცენტნერით აღემატება; ეს განსხვავება კიდევ უფრო მცირე აღმოჩნდა ზუგდიდის და ოჩამჩირის რაიონების კოლმეურნეობათა საწარმოო პირობებში გამოცდისას.

წყალტუბოს (ყოფილი ქუთაისის) ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე მორწყვის პირობებში საშუალოდ 11 წლის განმავლობაში მარცვლის მოსავლიანობით იგი ჰექტარზე ჩამორჩა აჯამეთის თეთრს 1,0 ცენტნერით, ხოლო გეგუთურ ყვითელს — 3,4 ცენტნერით. აქ ის მოსავლიანობით გაუთანაბრდა ქუთათურ თეთრ ნახევრადკბილას (—0,5 ც).

აბაშური ადგილობრივი თეთრი ნახევრადკბილა მწვანე სასილოსე მასას (ტაროებიანად) აბაშის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე აბაშური ყვითელის და აჯამეთის თეთრის თითქმის თანაბარი რაოდენობით იძლევა, მშრალი ნივთიერებითა და საკვები ერთეულებით ჩამორჩება მათ 2,1-დან 11,4 ცენტნერამდე. ზუგდიდის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე მისი მშრალი ნივთიერების და კვებითი ერთეულების მოსავალი 6,8-დან 8,8 ცენტნერამდე აღემატება აჯამეთის თეთრის და აბაშური ყვითელის მოსავალს. სასილოსედ გამოცდის მხოლოდ ორი წლის მონაცემებია და საჭიროა ამ მიმართულებით ცდების გაგრძელება.

აბაშური ადგილობრივი თეთრი ნახევრადკბილა გამოცდილი იყო 4 ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე.

დარაიონებულია სუბტროპიკული ტენიანი ზონის (II) გეგექკორის, ლანჩხუთის (გარდა ზღვისპირა ნაწილისა), სამტრედიის და ცხაკაიას რაიონების დაბლობი ნაწილისათვის.

ქუთათური თეთრი ნახევრადკბილა, ისე როგორც აბაშური ადგილობრივი თეთრი ნახევრადკბილა, ჰიბრიდული წარმოშობისაა. თეთრმარცვლიანი, თეთრნაქუჩიანია. მიეკუთვნება სახესხვაობა V. Candida Dek. (კანდიდა დეკ.). შეეუბნულა ქვემო იმერეთის დაბლობი ზონის გარემო პირობებს — არასაკმარისად ტენიან (სელიანიზაციის მიხედვით) ან ხმელთაშუა ზღვის სუბტროპიკულ (ფიგუროვსკის მიხედვით) ჰავას. მარცვალზე ინდენტაცია საშუალოდ არის გამოსახული უმეტესად ტაროს შუა ნაწილზე, ხოლო ტაროს წვეროსა და ბოლოზე მარცვლები თავგადასვლილია და მომრგვალებულ ფორმას უახლოვდებიან. დანაოჭება ჩაქყლტის ადგილზე და მის ნაპირებზე უმნიშვნელოა, მაგრამ უფრო მეტა, ვიდრე აჯამეთის თეთრს ახასიათებს. მარცვლის სიგრძეს და სიგანეს შორის სხვაობა უმნიშვნელოა, უმეტესად 1,0 მმ, მაშინ. როდესაც აბაშური თეთრი ნახევრადკბილას კი ანეთი კადეც უფრო ნაკლები აქვს. 1000 მარცვლის წონა 400—500 გრამის ფარგლებშია და აჯამეთის თეთრის 1000 მარცვლის წონას 30—50 გრამით აღემატება. ეს ყინი აჯამეთის თეთრიდან, ისე როგორც აბაშური თეთრი ნახევრადკბილა. ტაროზე მარცვლის მწკრივთა ნაკლები რაოდენობით განსხვავდება, ძირითადად, 8—10 მწკრივიანია, აჯამეთის თეთრის ტაროზე კი 10—12 მწკრივია: ტაროს წვერო და ბოლო მარცვლით საშუალოზე უფრო მეტად არის ამოკლებული, ხოლო ფუჩენით ტაროს წვერო მთლიანად არ არის დაფარული. ნაქუჩი ოდნავ უფრო მსხვილია აჯამეთის თეთრის ნაქუჩთან შედარებით. ფოთლებიც უფრო წვრილია და დეროც ოდნავ უფრო დაბალი. მოსავლიანობის მხრივ უთანაბრდება ან ოდნავ ჩამორჩება სხვა ჯიშებს. მისი მშრალი მარცვლის მოსავალი საშუალოდ 22 წლის განმავლობაში აჯამეთის თეთრის და გეგუთური ყვითელის მოსავალს ჰექტარზე მხოლოდ 1.9 ცენტნერით ჩამორჩება. სხვა სამეურნეო და ბიოლოგიური ნიშან-თვისებებით კი არ გამოირჩევა.

რაკა-ლეჩხუმის დაბლობში გავრცელებული ადგილობრივი თეთრი ნახევრადკბილა გამოირჩევა მარცვლის თავზე ოდნავ მომოსახული ინდენტაციით, გაპრიალებული ზედაპირით, სადაც დანაოჭება თითქმის სრულებით არ აღინიშნება.

ქუთათური თეთრისაგან განსხვავებით აბაშური, ლანჩხუთის, გალის და გურული თეთრი ნახევრადკბილა ეკოტიპები უფრო შეგუებული არიან ჰარბტენიან პირობებს, უფრო გრძელი სვეგეტაციო პერიოდით და მეტი სიმადლის მცენარეებით ხასიათდებიან.

ლაგოდებური თეთრი ნახევრადკბილა აჯამეთის თეთრისაგან ლაგოდების ჭიშთაგამოცდის ნაკვეთზე განსხვავდება მსხვილი და ბრტყელი მარცვლით. აქ მისი 1000 მარცვლის წონა საშუალოდ 425 გრამს უდრის, 80 გრამით აღმატება აჯამეთის თეთრის სათანადო წონას. სხვა მაჩვენებლების მხრივ მათ შორის თითქმის ისეთივე განსხვავებაა, როგორც ზემოთ აღნიშნულ ადგილობრივ ჭიშებსა და აჯამეთის თეთრს შორის. მარცვლის მოსავლიანობით უთანაბრდება აჯამეთის თეთრს, ან მხოლოდ 1,2 ცენტნერით აღმატება მას (საშუალოდ 18 წლის განმავლობაში).

ადგილობრივ თეთრ ნახევრადკბილა ეკოტიპებს (აბაშური თეთრი ნახევრადკბილას ჩათვლით) რესპუბლიკაში სიმინდის ჭიშინი ნათესი ფართობის 12,3 პროცენტი უკავია და უმთავრესად დასავლეთ საქართველოს დაბლობ ზონაშია გავრცელებული.

ადგილობრივი ყვითელი ნახევრადკბილა ზღვისპირა სანაპირო ზოლში ამჟამად, ძირითადად, შეცვლილია, გაუმჯობესებული აბაშური ყვითელით, რომლისგანაც იგი მეტად უმნიშვნელოდ თუ განსხვავდება. რაჭა-ლეჩხუმის დაბლობი ზონის პირობებში კი ადგილობრივი ყვითელი ნახევრადკბილა, აბაშურ ყვითელთან შედარებით, 10—17 დღით უფრო ადრე მწიფდება; მისი მცენარეებისა და მცენარეებზე ქვედა ტაროს მიმაგრების სიმაღლე 10—15 სმ-ით უფრო ნაკლებია, ვიდრე აბაშური ყვითლისა. მარცვალი ნახევრადკბილა ტიპს მიეკუთვნება, მაგრამ ინდენტაცია სუსტად არის გამოსახული და ისიც ტაროს შუა ნაწილში, ხოლო ტაროს ბოლოსა და წვეროში უმეტესად კაჟა ტიპის მარცვლებია. მაღალი სასურსათო თვისებებით ხასიათდება. ამბროლაურის ჭიშთაგამოცდის ნაკვეთზე მისი მშრალი მარცვლის მოსავალი საშუალოდ უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ჰექტარზე 47,0 ცენტნერს უდრიდა და აჯამეთის თეთრის მოსავალს ჩამორჩა 2,9 ცენტნერით, ქართულ კრუჯს — 7,7 ცენტნერით, ჰიბრიდ კრასნოდარულ 5 მოსავალს კი — 10,0 ცენტნერით, ხოლო აბაშურ ყვითელს კი საშუალოდ 2 წლის განმავლობაში ჩამორჩა 1,0 ცენტნერით. აქ ის ჩამორჩება ხსენებულ ჭიშებს სასილოსე მწვანე მასის მოსავლიანობითაც, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის მაინც ითესება ყვითელმარცვლიან ჭიშებს შორის, როგორც საადრეო, მაღალი სასურსათო თვისებების მქონე და ადგილობრივ პირობებთან შეგუებული ჭიში.

რესპუბლიკაში ადგილობრივ ყვითელ ნახევრადკბილას ნათესი ფართობი წლების მიხედვით 3000—6000 ჰექტარის ფარგლებში მერყეობს. ადგილობრივი თეთრი და ყვითელი ნახევრადკბილა ჭი-

შები დარაიონებულია მათი გავრცელების ყველა აგროკლიმატურ ზონაში.

მ ა რ თ უ ლ ი

ქართული 1 ჯიშპოპულაციაა, გამოყვანილი საქართველოს სასელექციო-საცდელი სადგურის მიერ თავისუფალი დამტვერვის გზით. მდებარეობით ფორმად აღებულია უცხოური ჯიშის კოლორადო თეთრი, კბილა ტიპის საგვიანო ფორმა, ხოლო მამრობითად კი საქართველოში გავრცელებული რამდენიმე ჯიში: აჯამეთის თეთრი, გალის ადვილობრაჟი თეთრი, ლანჩხუთის ადვილობრაჟი თეთრი, ქართული კრუჯი და სტერლ-ნგი. გარდა ამისა, მამრობითი ჯიშების მტვერის ნარევეში მდებარეობით ფორმის — კოლორადოს მტვერიც მონაწილეობდა სათანადო შეფარდებით.

მცენარე მაღალი იზრდება, მისი სიმაღლე 200—300 სმ ფარგლებში მერყეობს, საშუალოდ სიღნადის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე იგი უდრის 228 სმ, თელავში — 233, მარნეულში — 291 და ზუგდიდში — 247 სმ. დარაიონებულ ძლიერ საგვიანო ჯიშებზე 3—7 სმ-ით უფრო მაღალია. მარნეულის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე ზოგიერთ წელს 7—15 სმ-ით უფრო მაღალია. ვიდრე ქართული კრუჯას მცენარეები. ქვედა ტარო მიწას ზელაპირიდან 100—140 სმ სიმაღლეზე უვითარდება (ლაგოდეხის, თელავის, სიღნადის, მარნეულის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთებზე). ბარტყობა არ ახასიათებს, ან მეტად უმნიშვნელო რაოდენობით. ღერო კარგად არის შეფოთილი, საშუალოდ 18—24 ფოთოლი აქვს, ხოლო მიწისზედა მუხლები კი — 14—18.

ტარო საკმაოდ დიდი ზომისაა. სიგრძე მარნეულის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე საშუალოდ 21 სმ უდრის, ზოგჯერ 24 სმ აღწევს. აქ მისი სიგრძე ქართული კრუჯის ტაროს სიგრძეს უთანაბრდება. თელავის და ლაგოდეხის ჯიშთაგამოცდას ნაკვეთებზე საშუალოდ 20, ხოლო დანარჩენ ნაკვეთებზე — 17,5—19,5 სმ უდრის. სასელექციო-საცდელი სადგურის მონაცემებით ტაროს სიგრძე 29 სმ-მდეა. დიამეტრი საშუალოდ 43—50 მმ-ია. ტარო ცილინდრული ან ოდნავ კონუსისებრი ფორმისაა. ტაროზე უმეტესად 16 მწკრივია (14—18), რომელთა შორის ვიწრო კვალია. მწკრივები, ძირითადად, სწორხაზოვანია. ტაროს ბოლოსა და წვეროში მარცვლები ზოგჯერ მწკრივებს შორისაა გაბნეული. ტაროს წვერო მარცვლებით საშუალოდაა ამოვსებული. ფუჩჩიით კარგადაა დაფარული, ადვილად სცილდება. ტაროს გადახრა ღეროს მიმართ საშუალოა, სრულ სიმწიფეში ზოგჯერ ჩამოკიდებულია. ნაქუჩი თეთრია. მარცვლის მაღალი გამოსავ-

ლიანობა ახასიათებს — საშუალოდ 79,0—81,7%, ზოგჯერ 83,0% აღწევს, მაგრამ ქართულ კრუგს ჩამორჩება საშუალოდ 1,0—2,1%-ით.

მარცვალი თეთრი, ძირითადად, კბილა ტიპისაა. მარცვლის წვეროზე ჩაჭყლეთა ყოველთვის არ არის მკვეთრად გამოსახული და ზოგჯერ ნახევრადკბილა ტიპს უახლოვდება. დანაოჭება ღმეტესად უმნიშვნელოა და მარცვლის თავის შლა ნაწილზე ჩაღრმავების ვარდიგარდმო მიმართულებით არის გამოსახული. გვხვდება ტაროები, რომლებზედაც მარცვლის თავზე ჩაჭყლეთის ნაპირებიც დანაოჭებულია. დიდი ზომისაა — სიგრძე 11,0—13,26 მმ, სიგანე — 8,81—8,9 მმ და სისქე — 3,5—4,0 მმ.

1000 მარცვლის წონა საშუალოდ შეადგენს: მარნეულის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე 375 გ. ლაგოდენის ნაკვეთზე — 350,7 გ, ზუგდიდის და წყალტუბოს — 319—315 გ. სიღნაღის — 329 გ და თელავის ნაკვეთზე 296 გ. მიეკუთვნება სახესხვაობა *leucodon A1* (ლუეკოდონ ალ). საეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობის მიხედვით ძლიერ საგვიანო ჯიშების ჩგოფს მიეკუთვნება; აბაშურ ყვითელთან და აჯამეთის თეთრთან შედარებით დასავლეთ საქართველოს დაბლობი ზონის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთებზე 2—3 დღით უფრო გვიან შემოდის, მარნეულის ნაკვეთზე აღმოცენებიდან სრულ სიმწიფემდე საშუალოდ 135 დღე დასჭირდა და იმავე პირობებში ქართულ კრუგთან შედარებით 6 დღით უფრო გვიან დამწიფდა (ზოგიერთ წელს სხვაობამ 16 დღემდე მიაღწია), სიღნაღის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე აჯამეთის თეთრთან ერთდროულად შემოვიდა, ხოლო ჰიბრიდ კრასნოდარულ 5-თან შედარებით 13—15 დღით დაავადიანდა.

ბუშტოვანა გუდაფშუტით დაავადებამ მარნეულის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე 6—7% მიაღწია, მაშინ. როდესაც იმავე პირობებში იმერული ჰიბრიდი დაავადებული იყო 10—15%-მდე და ქართული კრუგი — 11—21%-მდე. ფუზარიოზით დაავადებული ტაროები 3-დან 12%-მდე იყო აღნიშნული. მაშინ, როდესაც იმავე წლებში იმერული ჰიბრიდის და ქართული კრუგის დაავადებული ტაროები 2-დან 8%-მდე აღწევდა. სხვა სოკოვან დაავადებათა მიმართ საკმაოდ გამძლეა.

სიმინდის ფარავანათი ქართული 1 მცენარეები უფრო ნაკლებად ზიანდება (2—7%), ვიდრე იმერული ჰიბრიდის (7—16%) და ქართული კრუგისა (5—12%), ხოლო ტაროები კი თითქმის სულ არ

იყო დაზიანებული, მაშინ, როდესაც იმერული ჰიბრიდის და ქართული კრუგის ტაროთა 4% აღმოჩნდა დაზიანებული. მაგრამ სხენებულ ნაკვეთზე დაავადებებსა და დაზიანებებს ყოველწლიურად არ აქვს ადგილი, ხოლო როდესაც არის, მაშინაც მცირე სიძლიერით.

უხვმოსავლიანი აღმოჩნდა განსაკუთრებით მარნეულის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე, სადაც მრავალი წლის საშუალო მონაცემების მიხედვით პირველი ადგილი დაიკავა. მშრალი მარცვლის საშუალო მოსავალმა საკონკურსო ჯიშთაგამოცდაში ჰექტარზე, 8 წლის განმავლობაში, 57,6 ცენტნერი შეადგინა, 1961 წელს 88,2 ცენტნერს მიაღწია და იქ დარაიონებულ ჯიშებს იმერულ ჰიბრიდსა და ქართულ კრუგს იმავე წლებში 8,3—3,2 ცენტნერით გადააჭარბა. იქვე დიდ დანაყოფებზე გამოცდაში, საშუალოდ 4 წლის განმავლობაში 3,4 ცენტნერით, ხოლო კოლმეურნეობათა საწარმოო პირობებში დიდ ფარობებზე 2,0—2,5 ცენტნერით უფრო მეტი მოსავალი იყო მიღებული, ვიდრე ქართული კრუგიდან (სოფელ ქურთლიარის ილიჩის სახელობის, სოფელ მარნეულის 17 ოქტომბრის სახელობის და სხვ. კოლმეურნეობებში). მართალია, ასეთი დიდი მოსავლის პირობებში 2,0—2,5 ცენტნერით გადაჭარბებაც წინათ დარაიონებულ ჯიშ ქართულ კრუგთან შედარებით არ არის დიდი, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამავე დროს ქართული 1 მარცვიდან მიღებულმა პროდუქციამ (ღომი და მჭადი) ადგილობრივ (მარნეულის რაიონის) ქართველ მოსახლეობაში მაღალი შეფასება მიიღო. ამის გამო, ქართული 1 დარაიონებულია ქვემო ქართლის რაიონების: ბოლნისისა და გარდაბნის (გარდაბნის სარწყავის სისტემის ფარგლებში) სარწყავი პირობებისათვის. ჯიშთაგამოცდის დანარჩენ ნაკვეთებზე იგი ადგილს უთმობს სხვა ჯიშებს. მაგალითად, თელავის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე ის ქართულ კრუგს საშუალოდ 3 წლის განმავლობაში ჰექტარზე 6,5 ცენტნერით ჩამორჩა, გორის ნაკვეთზე — 8,7 ცენტნერით, კასპის ნაკვეთზე ჰიბრიდ კრასნოდარულ 5, რომელთან შედარებით საშუალოდ 19 დღით უფრო გვიან შემოდის — 14,2 ცენტნერით.

წყალტუბოს (ყოფილ ქუთაისის) და აბაშის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთებზე 6,4—6,7 ცენტნერით ნაკლებ მოსავალს იძლევა, ვიდრე გეგუთური ყვითელი და აბაშური ყვითელი, ხოლო ზუგდიდის ნაკვეთზე კი — 12,9 ცენტნერით.

ლაგოდების ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე გამოცდის პირველ წელს (1954) აჯამეთის თეთრთან შედარებით 10,0 ცენტნერით უფრო მეტი მოსავალი მოგვცა. მაგრამ შემდეგ წელს 4,2 ცენტნერით ჩამორჩა. ხოლო მესამე წელს კი მხოლოდ 1,8 ცენტნერით გადააქარბა. მოსავლიანობით ჩამორჩა აგრეთვე აჯამეთის თეთრს როგორც ჯიშთაგამოცდის ნაკვეთის დიდ დანაყოფებზე, ისე კოლმეურნეობათა საწარმოო პირობებში გამოცდის დროსაც. მართალია, შედარებით კარგ სასურსათო პროდუქციას იძლევა. მაგრამ დარაიონებულ ადგილობრივ თეთრ კბილა და ნახევრადკბილა ჯიშებს საგრძნობლად ჩამორჩება; გარდა მარნეულის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთისა.

1954 წლიდან იგი გამოცდილია 9 ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე.

ქართული კრუგი

ქართული კრუგი ამერიკულ ჯიშ კრუგიდან (კრუგ კორნი) არის გაუმჯობესებული საქართველოს სელექციის სადგურის მიერ. კრუგმა საქართველოს გარემო პირობებში ცვლილებები განიცადა და როგორც ი. გ. ბახტაძე აღწერს, ტაროსა და მარცვლის ფორმის მიხედვით მასში სამი ქვეტიპი გამოირჩეოდა: პირველი — ტარო გრძელი (25 სმ), შედარებით წვრილი, 12—14 მწკრივით; მეორე — შედარებით უფრო მოკლე (სიგრძით 20 სმ), მსხვილი, მწკრივების დიდი რაოდენობით (20—22) და მესამე — საშუალო, მათ შორის — ბოლოდან წვერომდის სწორი, საშუალოდ 16 მწკრივით.

პირველი ქვეტიპის ტაროებზე მარცვლის თავზე ინდენტაცია მკვეთრად არის გამოსახული მთელ სიგრძეზე, ჩაჭყლეტის კიდებზე დანაოჭებული კანი იმდენად ამოჩრილია, რომ ის შეკრულია მარცვლის ზედაპირის შუა ნაწილში, მარცვალი უფრო ფართოა და მასში უფრო მეტად, ვიდრე სხვა ქვეტიპებში, განვითარებულია ფქვილისებრი შრე. ბევრ ქატოს იძლევა;

მეორე ქვეტიპში მარცვლის ინდენტაცია საშუალოდ არის გამოსახული, ჩაჭყლეტის ადგილი არ არის დრმა, ჩაღრმავების კიდებზე დანაოჭება მკვეთრად არ არის გამოსახული, რქისებრი შრე უფრო მეტად არის განვითარებული. მესამე ქვეტიპში ინდენტაცია სუსტად არის გამოსახული, ჩაღრმავებული ადგილი გლუვია და კიდები არ არის დანაოჭებული; უფრო ნახევრადკბილაა. რქისებრი შრე მარცვლის კიდებზე კიდევ უფრო მეტად არის განვითარებული, ვიდრე პირველ ორ შემთხვევაში ნაკლებ ქატოს იძლევა.

საქართველოს სელექციის სადგური სისტემატურად მუშაობდა ამ ჯიშის გაუმჯობესებაზე. რომ მას ჰქონოდა გრძელი ტარო, შეღარებით უფრო ნაკლები რაოდენობის მწკრივებით, მარცვლის თავზე ნაკლებად გამოსახული ინდენტაციით და სხვა დადებითი ნიშან-თვისებებით. მასობრივი გამორჩევის მეთოდით ჯიშმა კრეფმა საგრძნობლად განიცადა მორფოლოგიური ცვლილებები და მიიღო ქართული კრეფის სახელწოდება.

მცენარე საშუალოზე უფრო მაღალია — 200—320 სმ ფარგლებში მერყეობს. მარნეულის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე იგი საშუალოდ 290 სმ-ია, თელავის — 261 სმ, გორის — 213 სმ, ამბროლაურის ნაკვეთზე კი — 241 სმ. ბარტყობა მცირე რაოდენობით ახასიათებს. მთავარ ღეროზე 16—20 ფოთოლი აქვს, მიწისზედა მუხლები კი — უმეტესად 14. ქვედა ტარო მიწის ზედაპირიდან 100—140 სმ სიმაღლეზეა მიმაგრებული. ჩაწოლისადმი საკმაოდ გამძლეა.

ტარო უმეტესად ცილინდრული ფორმისაა; გვხვდება სუსტად გამოსახული კონუსისებრი ფორმისაც. მშრალი ტარო 210—250 გრამს იწონის. დიდი ზომისაა — სიგრძით, საშუალოდ 19—22 სმ, ზოგჯერ 22—25 სმ აღწევს. ტაროს დიამეტრი შუა ნაწილში — 45—50 მმ. მარცვლის მწკრივთა რაოდენობა უმეტესად 14—16, გვხვდება 20—22. მწკრივებს შორის კვალი ოდნავ არის გამოსახული, არ არის ღრმა. ტაროს წვერო და ბოლო მარცვლით საკმაოდ კარგად არის ამოვსებული, რითაც გამოირჩევა სხვა ჯიშებისაგან. ტაროს წვერო ფუჩჩით უმეტესად დაფარულია. ნაქუჩი წითელია (მოვარდისფრო-წითელი), შედარებით წვრილი. მარცვლის მაღალი გამოსავალი ახასიათებს, რაც 80—84% ფარგლებში მერყეობს. მცენარე უმეტესად თითო ტაროს ივითარებს, მაღალი აგროტექნიკის პირობებში კი საშუალოდ ერთ მცენარეზე 1,1 და ზოგჯერ მეტი ტარო მოდის. ტაროს ფენი საშუალო ზომისაა, სრული სიმწიფის ფაზაში ტარო ღეროდან ოდნავ ან საშუალოდაა გადახრილი.

მარცვალი კბილა ტიპისაა, ყვითელი, მარცვლის თავი მკრთალი, ღია ყვითელი ფერის, დიდი ზომისაა, წაგრძელებული ფორმის. ჯიშთაგამოცდის ნაკვეთების მასალებით მისი სიგრძე საშუალოდ — 12.97 მმ, სიგანე — 7.99 მმ და სისქე — 4.42 მმ, სასელექციო საცდელი სადგურის მონაცემებით კი შესაბამისად 13.2; 8.4 და 3.5—4.0 მმ (C ტიპის). მარცვლის ინდენტაცია საშუალოდ არის გამოსახული. ჩაწოლება მთლიანად არ ეკავებს მარცვლის თავის ზედაპირს; და-

ნაოჭება ჩაღრმავების ადგილზე და მის კიდევებზე უმეტესად საშუალოა, ან ასეთი სუსტად არის გამოსახული. ზოგჯერ გამოერევა ტაროები როგორც ძლიერ დანაოჭებული, ისე დანაოჭების გარეშე მარცვლებით. 1000 მარცვლის წონა ჯიშთაგამოცდის ნაკვეთებზე 250—350 გ ფარგლებში მერყეობს, საშუალოდ 286 გ უდრის. სასელექციო საცდელი სადგურის მონაცემებით 430 გ აღწევს. როგორც კბილა ტიპის ყვითელმარცვლიანი და წითელნაქუჩიანი მიეკუთვნება სახესხვაობა *flavoribra Korn* (ფლავორუბრა კორნ.).

საგვიანო ჯიშია. აღმოცენებიდან სრულ სიმწიფემდე 120—140 დღე ესაჭიროება. თელავის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე — 125—130, მარნეულის ნაკვეთზე — 125—135 და კასპის ნაკვეთზე — 134—140 დღე. იმერულ ჰიბრიდთან შედარებით 8—15 დღით უფრო საადრეოა, ხოლო ჰიბრიდ კრასნოდარულ 5-თან შედარებით კი 8—10 დღით საგვიანო.

დაავადებათა მიმართ საკმაოდ გამძლეა, თუმცა ბუშტოვანი გუდაფშუტით დაავადებამ 2%-დან (ლაგოდეხი, თელავი) 7%-მდე მიიწვია (ქარელი), ხოლო მარნეულის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე 21% მხოლოდ ერთხელ იყო აღრიცხული, ფუზარიოზით დაავადებულმა ტაროებმა ჯიშთაგამოცდის ნაკვეთებზე საშუალოდ 2—8% შეადგინა, ხოლო თელავის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე 14% მიიწვია. ბაქტერიოზით მაქსიმალური დაავადება 5% არ ასცილებია, ხოლო თეთრა 8% იქნა აღრიცხული.

სიმინდის ფარავანას მიერ დაზიანებულ მცენარეთა რაოდენობამ მარნეულის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე 5-დან 12%-მდე მიიწვია, ხოლო ტაროებისა — 4%-მდე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აქ დაზიანებას ყოველწლიურად არა აქვს ადგილი, ხოლო ზოგჯერ მცირედ ზიანდება.

ქართული კრუგი უხვმოსავლიანია. კარგად უძლებს ჰაერის დაბალ შეფარდებით ტენიანობას, მაგრამ მომთხოვნია ნიადაგის ტენიანობისადმი. ამის გამო, ის კარგად არის შეგუებული აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობი ზონის სარწყავ პირობებსა და კახეთის რაიონების ტენით შედარებით უზრუნველყოფილ ნაწილისადმი. მარნეულის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე მისი მშრალი მარცვლის მოსავალი ჰექტარზე საშუალოდ 24 წლის განმავლობაში 68,4 ცენტნერს უდრის, ცალკეულ წლებში (1947, 1948) კი მან 100 ცენტნერს გადააჭარბა და აქ მას ყვითელმარცვლიან ჯიშებს შორის ჯერჯერობით შეუცვლელად პირველი ადგილი უკავია. შიდა ქართლის სარწყავ

პირობებში მისი მარცვლის საშუალო მოსავალმა ჰექტარზე გორის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე 35,7 ცენტნერი შეადგინა და გამოცდამა მონაწილე ყველა სხვა ჯიშებსა და ჰიბრიდებს გადააჭარბა, გარდა ორმაგი ხაზთაშორისი ჰიბრიდისა — კრასნოდარული 5, რომელსაც ჰექტარზე საშუალოდ 10 წლის განმავლობაში 3,9 ცენტნერით ჩამორჩა, ხოლო უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში კი — 8,9 ცენტნერით. კასპის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე ჰიბრიდი კრასნოდარულ 5-ს 13,3 ცენტნერით ჩამორჩება. თელავის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე მარცვლის მოსავლიანობით პირველ ადგილს ქართული კრუგი იკავებდა, მაგრამ ამ ბოლო წლებში მან ადგილი დაუთმო ჰიბრიდ კრასნოდარულ 5 (—8,6 ც).

დასავლეთ საქართველოს დაბლობი სუბტროპიკული და ტენიანი ზონის (I, II და III) პირობებში ქართული კრუგი ადგილს უთმობს იქ გავრცელებულ ადგილობრივ და სელექციურ დარაიონებულ ძლიერ საგვიანო ჯიშებს — აბაშურ ყვითელს, აჯამეთის თეთრს და ადგილობრივ თეთრ და ყვითელ ნახევრადკბილას (1,4—4,3 ც), მხოლოდ ამბროლაურის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე მისი მარცვლის მოსავალი საშუალოდ 22 წლის განმავლობაში ჰექტარზე 3,9 ცენტნერით აღემატება ადგილობრივ ყვითელ ნახევრადკბილას მოსავალს, მაგრამ აქაც ჩამორჩება ჰიბრიდ კრასნოდარულ 5-ის მოსავალს (—4—7 ც). ქართული კრუგის მარცვალი ფქვილისებრი კონსისტენციისა და დაბალი სამეურნეო ღირებულება აქვს, ძირითადად, საქონლის საკვებად გამოიყენება. გამოცდილია 1938 წლიდან 15 ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე.

დარაიონებულია შიდა და ქვემო ქართლის რაიონების დაბლობი ზონის და სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქის რაიონების სარწყავი პირობებისათვის (IX და X ზონა), თელავის, ყვარლის რაიონების დაბლობი ნაწილისა და გურჯაანის რაიონის წინამხარის ურწყავი ფართობებისათვის (XVII და XVIII ზონა), აგრეთვე რაჭა-ლეჩხუმის დაბლობისათვის (IV).

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ამ ზონებში ქართული კრუგი მოსავლიანობით ჩამორჩება ამ უკანასკნელ წლებში გამოცდილ და დარაიონებულ ორმაგ ხაზთაშორის ჰიბრიდს კრასნოდარულ 5, რომელსაც შემდგომში ადგილი უნდა დაეთმოს. ჯერჯერობით კი ქართულ კრუგს საკმაოდ დიდი ადგილი უკავია; მისი ნათესი ფართობი 1961 წელს აღრიცხულია 34.924 ჰექტარზე; განსაკუთრებით დიდი ფართობი უკავია მარნეულის და თელავის რაიონებში.

ჯიში მინეზოტა 13 ექსტრა შემოტანილია ამერიკის შეერთებულ შტატებიდან და გაუმჯობესებულია საბჭოთა კავშირის სასელექციო სადგურების მიერ.

მცენარის სიმაღლე 150—220 სმ ფარგლებში მერყეობს. წითელწყაროს ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე მისი სიმაღლე უდრის საშუალოდ 182 სმ, ასურეთის ნაკვეთზე — 185 სმ, თეთრი წყაროს — 171 სმ. საგარეჯოს ნაკვეთზე (სოფ. სართიქალაში) ურწყავ პირობებში — 171 სმ, სარწყავ პირობებში — 178—199 სმ. უმნიშვნელო რაოდენობით ივითარებს ბარტყებს (1,2), მთავარ ღეროზე უმეტესად 14—17 ფოთოლია. ტაროს მიმაგრების სიმაღლე, ისე როგორც მცენარეთა სიმაღლე, ცვალებადია, 50—85 სმ ფარგლებში მერყეობს. ჩაწოლისადმი საშუალო ან უფრო ნაკლები გამძლეობა აქვს.

ტარო ცილინდრული ან ოდნავ კონუსისებრი ფორმის, საშუალო ზომისა და წონისაა. მისი სიგრძეა საშუალოდ 15—17 სმ, დიამეტრი შუა ნაწილში — 38—42 მმ, მშრალი ტაროს წონა უმეტესად 120—170 გ. ტაროზე მწკრივების რიცხვია 12—16. ტაროს ბოლოში და ზოგჯერ თავშიც მარცვლები გაბნეულია უწესრიგოდ. მწკრივებს შორის კვალი საშუალოდ არის გამოსახული, მაგრამ უფრო მეტად, ვიდრე ქართული კრუგის ტაროებზე. ნაქუჩი (ყვავილების კილები) წითელი ან მოწითალო ვარდისფერია, მარცვლის გამოსავლიანობა საშუალოდ 78—81, ზოგჯერ 83 პროცენტს აღწევს.

მარცვლი კბილა ტიპისაა, ყვითელი ფერისა და საშუალო სიდიდის. მისი სიგრძეა საშუალოდ 11,22 მმ, სიგანე — 8,19 მმ და სისქე — 4,01 მმ. მარცვლის თავზე ჩაჭყლეტა (ინდენტაცია) კარგად არის გამოსახული ტაროს შუა ნაწილში, ხოლო ტაროს თავსა და ბოლოში კი — შედარებით მკრთალად. ამ ჯიშისათვის დამახასიათებელია ჩაჭყლეტილი ადგილის გლუვი ზედაპირი, კიდეებზე დანაოქება არა აქვს, ან ოდნავ არის გამოსახული, რითაც ადვილი გასარჩევია ქართული კრუგისაგან. 1000 მარცვლის წონა უმეტესად 225—255, ზოგჯერ კი 280 გრამს აღწევს.

როგორც კბილა ტიპის ყვითელმარცვლოვანი და წითელნაქუჩიანი — მიეკუთვნება სახესხვაობა *flavorubra* Körn (ფლავორუბრა კორნ.).

მინეზოტა 13 ექსტრას მარცვლი ხასიათდება შედარებით დაბალი სასურსათო თვისებებით, რის გამოც ის, ძირითადად, საქონლის საკვებად გამოიყენება.

საშუალო ვეგეტაციისაა. აღმოცენებიდან სრულ სიმწიფემდე წითელწყაროს ნაკვეთზე საშუალოდ 117 დღე ესპვიროება, საგარეჯოს, თეთრი წყაროს და ცხინვალის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთებზე — 127—129 დღე. შემოდის ჰიბრიდ ვირ 42-თან ერთდროულად ან 2—3 დღით უფრო ადრე. გვალვისადმი საკმაო გამძლეობით ხასიათდება; თუმცა ჰიბრიდ ვირ 42 ჩამორჩება.

ბუშტოვანა გუდაფშუტით საშუალოდ. ზოგჯერ უფრო მეტად. ავადდება. თეთრი წყაროს ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე დაავადებამ 3%-მდე და თიანეთის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე 7%-მდე მიაღწია, ხოლო საგარეჯოს ნაკვეთზე — 5%-მდე. წითელწყაროს ნაკვეთზე ბუშტოვანა გუდაფშუტით თითქმის არ ავადდება. მაგრამ ტაროები ავადდება ფუზარიოზით, უმეტესად 0,1—0,7%-ით. ხოლო ცალკეულ წლებში კი 4,0 (1947 წ.) და 7,9%-ით (1946 წ.), ასურეთის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე ფუზარიოზით დაავადებამ 2,0-დან 12,0%-მდე მიაღწია; ხოლო კაჭრეთში — 6,0%-მდე. ასევე შედარებით დაბალი გამძლეობით ხასიათდება წითელი სიდამპლისადმი. ხოლო თეთრათი ნაკლებად ავადდება (1,0%, იშვიათად 2—4%-მდე).

მინეზოტა 13 ექსტრა 1938 წლიდან გამოცდილია სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშთაგამოცდის სახელმწიფო კომისიის საქართველოს 19 ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე, მანამდე კი საკავშირო მემკენარეობის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის ჯიშთაგამოცდის ქსელში იცდებოდა. მან ფართო გავრცელება ჰპოვა მთისპირა და მაღლობი ზონის ურწყავ პირობებში და დაბლობი ზონის ტენით ნაკლებად უზრუნველყოფილ (გვალვიან) რაიონებში. დარაიონებული იყო VII, VIII, XI, XII, XIII და XV ზონებისათვის, სადაც ის თავის უხვმოსავლიანობით გამოირჩეოდა იმ დროს გამოცდაში მონაწილე ჯიშების და ჰიბრიდებისაგან. მაგრამ ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში მინეზოტა 13 ექსტრა მოსავლიანობით და აგრეთვე სხვა მთელი რიგი ბიოლოგიური და სამეურნეო თვისებებით აღვილს უთმობს ახალ დარაიონებულ ჰიბრიდს ვირ 42. ცხინვალის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე (ზონა VIII), 7 წლის განმავლობაში, მინეზოტა 13 ექსტრადან საშუალოდ ჰექტარზე 22,8 ცენტნერი მშრალი მარცვლის მოსავალი იყო მიღებული, ხოლო ჰიბრიდმა ვირ 42 იმავე წლებში საშუალოდ 30,1 ცენტნერი მოგვცა. ამგვარად, აქ მინეზოტა 13 ექსტრა ორმაგ ხაზთაშორის ჰიბრიდს ვირ 42 ჰექტარზე 7,3 ცენტნერით ჩამორჩება. ახალციხის ჯიშთაგამოცდის ნაკ-

ვეთზე (ზონა VI) მინეზოტა 13 ექსტრა, ჰიბრიდ ვირ 42-თან ერთად 3 წლის განმავლობაში იცდებოდა. მოსავალმა საშუალოდ ჰექტარზე 28.5 ცენტნერი შეადგინა და ჰიბრიდ ვირ 42 9.4 ცენტნერით ჩამორჩა. ასევე ჩამორჩება იგი: ასურეთის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე (ზონა XI) საშუალოდ 10 წლის განმავლობაში 7,4 ცენტნერით, თეთრი წყაროს ნაკვეთზე (ზონა XII) საშუალოდ 5 წლის განმავლობაში — 8,7 ცენტნერით, ქარელის ნაკვეთზე (ზონა IX), აგრეთვე ურწყავ პირობეში — 4,5 ცენტნერით, წითელწყაროს ნაკვეთზე (ზონა XV)—5,3 ცენტნერით და კაჭრეთის ნაკვეთზე (იმავე XV ზონაში) — 7,5 ცენტნერით.

მინეზოტა 13 ექსტრა მოსავლიანობით საგრძნობლად ჩამორჩა ჰიბრიდის ვირ 42 კოლმეურნეობათა მინდვრებზე, სადაც ვირ 42 მაღალი შეფასება მიიღო. აღნიშნულის გამო მინეზოტა 13 ექსტრა, რომელიც ფართოდ იყო დარაიონებული და გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოს საშუალო და მაღლობი ზონის ურწყავი პირობებისათვის, ზღვის დონიდან 500—1000 მეტრ სიმაღლეზე, ამჟამად მოხსნილია დარაიონებიდან, გარდა XIII და XIV ზონებისა, ხოლო XV ზონაში დატოვებულია დარაიონებაში დროებით — მეთესლეობის მეურნეობებში მისი თესლის გამრავლების გარეშე.

სტერლინგი

ჯიში სტერლინგი შემოტანილი იყო ამერიკიდან ჯერ კიდევ რევოლუციამდე. მის გაუმჯობესებაზე — სელექციასა და მეთესლეობაზე მუშაობას ეწეოდნენ სიმინდის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი, კრასნოდარის სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი და ჩრდილო ოსეთის სასოფლო-სამეურნეო საცდელი სადგური.

სტერლინგის მცენარე შედარებით მაღალი იზრდება (165—200 სმ), გორის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე მისი სიმაღლე საშუალოდ 183 სმ უდრის; ქვედა ტარო მიმაგრებული აქვს საშუალოდ 6 ნ სმ სიმაღლეზე (61—74). ბარტყებს მცირე რაოდენობით (1,2) ივითარებს, ფოთოლთა რაოდენობაა 14—18, მუხლები საშუალოდ — 12; ჩაწოლისადმი გამძლეობა საშუალო ან სუსტია.

ტარო საკმაოდ მსხვილი და გრძელია. მშრალი ტაროს წონა გორის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე საშუალოდ 193, ხოლო ზოგჯერ 250 გრამს აღემატება. ცილინდრული ფორმისაა. სიგრძით საშუალოდ — 18 სმ (16—22 სმ). დიამეტრი ტაროს შუა ნაწილში—40,0—46,0 მმ.

ტაროს სიგრძეს შეფარდება მის დიამეტრთან 4 უდრის. ტაროზე მარცვლის მწკრივთა რაოდენობაა 14—16; მწკრივები ტაროზე, სირითადად, სწორხაზოვანია (ქვედა ბოლოზე ემჩნევა მარცვლების გაბნეულობა) და ერთხანეთთან მჭიდროდ განლაგებული; მათ შორის უმნიშვნელო კვალია. ნაქუჩი თეთრია, საშუალო სისქის. ტაროს ბოლო და წვერო მარცვლით საკმაოდ არის ამოვსებული. ამ ჯიშს მარცვლის მაღალი გამოსავლიანობა ახასიათებს. ის გორის და კასპის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთებზე საშუალოდ 80,0—80,2% უდრის (78—83% ფარგლებში მერყეობს).

მარცვალი კბილა ტიპისაა. თეთრი ფერის, ოღნავ წაგრძელებული ფორმის; მისი სიგრძეა საშუალოდ 11,22 მმ, სიგანე — 8,69 და სისქე — 4,58 მმ. მარცვლის თავზე ინდენტაცია და დანაოქება საშუალოზე უფრო მეტად არის გამოსახული. მარცვალი საკმაოდ მსხვილია — 1000 მარცვლის წონა გორის და კასპის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე საშუალოდ 296—300 გ უდრის და ამავე ნაკვეთებზე ჰიბრიდ კრასნოდარულ 5 34—48 გრამით აღემატება. სახამებელს საკმაოდ დიდი რაოდენობით შეიცავს, თეთრი, მაღალი ხარისხის ფქვილის კარგი გამოსავლიანობით ხასიათდება და, ძირითადად, სასურსათოდ გამოიყენება. არაიშვიათად პურის ფქვილშიც ურევენ. როგორც კბილა ტიპის თეთრმარცვლიანი და თეთრნაქუჩიანი, მიეკუთვნება სახესხვაობა leucodon Al (ლევკოდონ ალ.).

სტერლინგი საშუალოსაგვიანო ჯიშებს მიეკუთვნება. მისი სავეგეტაციო პერიოდი აღმოცენებიდან სრულ სიმწიფემდე 117—135 დღის ფარგლებში მერყეობს, საშუალოდ გორის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე 129 დღეს უდრის, სადაც ის ჰიბრიდ კრასნოდარულ 5-თან შედარებით 8—12 დღით, ხოლო ქართულ კრუგთან შედარებით 16—20 დღით უფრო ადრე შემოდის. ამრიგად, სტერლინგი უფრო ადრე ათავისუფლებს მინდორს, ვიდრე ქართული კრუგი და საშემოდგომო კულტურების დასათესად ნიადაგის დროულად მომზადების საშუალებას იძლევა.

ბუშტოვანი გუდაფშუტით საშუალოდ ავადდება. გორის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე, რომლის ზონისთვისაც (IX) არის დარაიონებული, ბუშტოვანი გუდაფშუტით მცენარეთა დაავადება უმეტესად 0,2—3,0 პროცენტს უდრის, ხოლო მაქსიმალური დაავადება 5,0% აღნიშნული იყო 1948 წ. ცხინვალის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე ამ დაავადებამ 6%, ხოლო ქარელის ნაკვეთზე 7,4% მიაღწია.

ფუზარიოზით დაავადება გორის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე 0,1--1,8% ფარგლებშია, ხოლო წითელი სიღამპლე კი 0,1—0,5% უდრის. მისი დარაიონების ზონაში დიპლოდიოზით იშვიათად და უმნიშვნელოდ ავადდება, 23 წლის განმავლობაში მხოლოდ 3 წელს იყო დაავადებული ტარობის მხოლოდ 0,06--0,2% აღრიცხული. სხვა დაავადებათა მიმართ საკმაოდ კარგი გამძლეობით ხასიათდება.

სტერლინგი 1938 წლიდან გამოცდილია საქართველოს 19 ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე.

მისი მშრალი მარცვლის მოსავალმა გორის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე საშუალოდ 23 წლის განმავლობაში ჰექტარზე 35,9 ცენტნერი შეადგინა, უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში — 42,4 ცენტნერი, ხოლო მაქსიმალური მოსავალი — 56,8 ცენტნერი მიღებული იყო 1961 წელს. მარცვლის მოსავლიანობით ჩამორჩება ჰიბრიდ კრასნოდარულ 5 ჰექტარზე (საშუალოდ უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში) 9,5 ცენტნერით და ქართულ კრუგს (საშუალოდ 21 წლის განმავლობაში) — 1,6 ცენტნერით, მაგრამ ადგილობრივ ყვითელ კაჟოვანას მოსავალს (საშუალოდ 15 წლის განმავლობაში) — 3,6 ცენტნერით და ადგილობრივ თეთრ კაჟოვანას 4,8 ცენტნერით აღემატება. კასპის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე სტერლინგი აგრეთვე ჩამორჩება მარცვლის მოსავლიანობით ჰიბრიდ კრასნოდარულ 5 და ქართულ კრუგს, მაგრამ აქაც ისე, როგორც გორის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე, მისი მოსავალი ადგილობრივ თეთრ კაჟოვანას მოსავალს საშუალოდ ჰექტარზე 4,8 ცენტნერით აღემატება. ჯიშთაგამოცდის დანარჩენ ნაკვეთებზე მას მოსავლიანობით გადააჭარბა სხვა ჯიშებმა და ჰიბრიდებმა, რის გამოც ის გამოცდიდან მოიხსნა.

ჯიში სტერლინგი, როგორც თეთრმარცვლიანი, შედარებით მაღალი სასურსათო თვისებებისა და უფრო მოკლე სავეგეტაციო პერიოდის მქონე, ვიდრე ქართული კრუგი და ჰიბრიდი კრასნოდარული 5, დარაიონებულია შიდა ქართლის რაიონების — გორის, ხაშურის, დუშეთის და მათ მოსაზღვრე სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქის რაიონების სარწყავი ნაწილისათვის (ზონა IX). ამ ზონაში სტერლინგი 1961 წელს დათესილი იყო 4000 ჰექტარზე.

ჩრდილოდაკობური

ჯიში ჩრდილოდაკობური ამერიკის შეერთებული შტატებიდანაა შემოტანილი. გაუმჯობესებულია საბჭოთა კავშირში კამიშინის, კრასნოკუტის და სხვა სასელექციო სადგურების მიერ.

ამ ჯიშისათვის დამახასიათებელია დაბალი მცენარე ბარტყობის ძლიერი უნარიანობით. მთავარი ღეროს სიმაღლე საშუალოდ თიანეთის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე 127 სმ და თეთრი წყაროს ნაკვეთზე 136 სმ უდრის, ზოგჯერ კი 140 სმ აღემატება. ბარტყების რაოდენობა 3—4-მდე აღწევს და მათი უმეტესობა ტაროს იკითარებ. მთავარ ღეროზე 12—14 ფოთოლი აქვს, ხოლო ბარტყებზე კიდევ უფრო ნაკლები რაოდენობით ვითარდება. მიწისზედა მუხლები — 7—9; ტაროები ღეროზე მეტად დაბლა არის მიმაგრებული. საშუალოდ 20—30 სმ სიმაღლეზე მიწის ზედაპირიდან (15—45 სმ). არის შემთხვევები, როდესაც ტარო მცენარის წვეროზეც ვითარდება. ნახი ღერო და ფოთლები აქვს. ჩაწოლისადმი გამძლეობა საშუალოა. აღსანიშნავია, რომ ერთსა და იმავე პირობებში თესლის განუახლებლად თესვის დროს მცენარეების ბარტყობის უნარიანობა სწრაფად კლებულობს.

ტარო საშუალო ზომისაა, სიგრძით 16—20 სმ. წვრილია, მისი დიამეტრი შუა ნაწილში 30—35 მმ უდრის. მშრალი ტაროს წონა 100—145 გ ფარგლებში მერყეობს. საშუალოდ თიანეთის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე 120 გ, თეთრი წყაროს ნაკვეთზე 136 გ და ასურეთის ნაკვეთზე 100 გ უდრის. ტარო ცილინდრული ან ოდნავ კონუსისებრი ფორმისაა, თეთრნაქუჩიანია. ტაროზე უმეტესად მარცვლის 8—10 მწკრივია. ტაროს ბოლო და წვერო მარცვლით საქმოდ კარგად არის ამოვსებული. მწკრივები სწორხაზოვანია, ზოგჯერ ტაროს ბოლოში ადგილი აქვს მარცვლის უწესრიგოდ განლაგებას. მარცვლის გამოსავალი 77,5—80 პროცენტამდეა.

მარცვალი თეთრი ფერისაა, კაჟა ტიპის. თავგადაღუსილია. სიგრძე ოდნავ უფრო ნაკლებია მის სიგანეზე (სიგრძით საშუალოდ 8,82 მმ-ია, სიგანით—9,39 მმ, ხოლო სისქით კი—4,54 მმ). სიგრძის შეფარდება სიგანესთან 0,9—0,94 უდრის, ზოგჯერ 1 აღწევს. 1000 მარცვლის წონა საშუალოდ თეთრი წყაროს ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე 234—330 გ, თიანეთის ნაკვეთზე — 312—355 გ და ასურეთის ნაკვეთზე 268 გ უდრის. როგორც კაჟა ტიპის თეთრმარცვლიანი და თეთრნაქუჩიანი მიეკუთვნება სახესხვაობა Alba AI-ს(ალბა ალ).

საადრეო ჯიშების ჯგუფს მიეკუთვნება. გამოცდაში მონაწილე ყველა ჯიშზე უფრო ადრე შემოდის. აღმოცენებიდან სრულ სიმწიფემდე ასურეთში საშუალოდ 98 დღე სჭირდება, თეთრი წყაროს

ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე 112 დღე, მაშინ, როდესაც ადგილობრივ თეთრ კაჟოვანას აქ 127 დღე ესაჭიროება, ხოლო თიანეთში კი ზოგჯერ 120 დღე დასჭირდა.

ბუშტოვანი გულაფშუტით დაავადება მისი დარაიონების ზონებში (XII, XIII) არ არის ძლიერი, უმეტესად 1—2% უდრის; მაქსიმალური დაავადება 6% აღნიშნულია თეთრი წყაროს ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე 1959 წელს, ხოლო 5% — თიანეთის ნაკვეთზე 1951 წელს. დაავადება არ არის ხშირი; უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში თეთრი წყაროს ნაკვეთზე სულ ორჯერ იყო დაავადებული: 1957 წელს — 0,3% და 1959 წ. — 6%. დასავლეთ საქართველოს დაბლობი ზონის ტენიან პირობებში დაავადებამ 16—18 პროცენტს მიაღწია, ხოლო ახალციხის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე — 15%. ფუზარიოზით და ნიგროსპორიოზით დაავადება დარაიონების ზონაში 1—2% უდრის, ხოლო სხვა პირობებში კი ფუზარიოზით დაავადება (აბაშის, ზუგდიდის, საგარეჯოს ნაკვეთებზე) 5—6% აღემატება. დარაიონების ზონებში დიპლოდიოზით, ისე როგორც სხვა ჯიშები არ ავადდება.

ჯიშთაგამოცდის სახელმწიფო კომისიის საქართველოს ქსელში 1938 წლიდან გამოცდილია 16 ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე.

მისი მარცვლის მოსავალი თეთრი წყაროს ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე საშუალოდ 18 წლის განმავლობაში ჰექტარზე 26,4 ცენტნერს უდრის. მრავალი წლის საშუალო მოსავალი ადგილობრივ თეთრ კაჟოვანას მოსავალს უთანასწორდება. აქ ჩრდილოდაკოტური საშუალოდ 12—15 დღით უფრო ადრე მწიფდება, ვიდრე ადგილობრივი თეთრი კაჟოვანა და უმეტესად კარგად განვითარებული, ზრდასრული, შედარებით მშრალი მარცვლის მოსავალს იძლევა, განსაკუთრებით ისეთ წლებში, როდესაც გაზაფხული წვიმიანი, გრილი და ნაგვიანე-ვია (თესვა იგვიანებს, აღმონაცენი ნელა ვითარდება) ან შემოდგომა ნაადრევი და წვიმიანია, რაც იშვიათ შემთხვევას არ წარმოადგენს. ჩრდილოდაკოტური აქ მარცვლის მოსავლიანობით საშუალოდ ჰექტარზე მინეზოტა 13 ექსტრას 3,0 ცენტნერით ჩამორჩება, მაგრამ უფრო მაღალი ხარისხის მარცვლით ხასიათდება და მინდორს 12—15 დღით ადრე ათავისუფლებს, რაც საშემოდგომო ხორბლის თესვისათვის ნიადაგის თავის დროზე მომზადების საშუალებას იძლევა. ასეთივე მდგომარეობას აქვს ადგილი თიანეთის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე, სადაც ჩრდილოდაკოტური საშუალოდ ადგილობრივ თეთრ

კაჟოვანას და მინეზოტა 13 ექსტრას თითქმის თანაბარ მოსავალს იძლევა, ჰექტარზე 29,8—28,6 ცენტნერს ($-0.1-1,0$). 12 დღით ადრე მწიფდება, ვიდრე მინეზოტა 13 ექსტრა და 8 დღით ადრე, ვიდრე ადგილობრივი თეთრი კაჟოვანა.

საგარეჯოს ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე (სამგორის ველის ურწყავ პირობებში) ჩრდილოდაკოტურის მარცვლის მრავალწლიანი საშუალო მოსავალი ჰექტარზე 1,2 ცენტნერით აღემატება მინეზოტა 13 ექსტრას მოსავალს, ხოლო ადგილობრივი ყვითელი კაჟოვანას კი— 5,4 ცენტნერით.

ასურეთის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე ჩრდილოდაკოტური ჰექტარზე 1,9 ცენტნერით უფრო მეტ მოსავალს იძლევა, ვიდრე მინეზოტა 13 ექსტრა (საშუალოდ 12 წლის განმავლობაში) და 5,5 ცენტნერით მეტს, ვიდრე ადგილობრივი თეთრი კაჟოვანა (14 წლის საშუალო). ჩრდილოდაკოტური მარცვლის მოსავლიანობით ადგილს უთმობს ზემოთ აღნიშნულ ნაკვეთებზე ამ უკანასკნელ წლებში გამოვლინებულ ახალ ჰიბრიდებს, როგორცაა კოლექტიური და ვირ 42, მაგრამ ის მაინც დატოვებულია დარაიონებაში, როგორც საადრეო ჯიში, საშემოდგომო თავთავიანებისათვის საუკეთესო წინამორბედი და მალახარისხოვანი მარცვლის მქონე. ჯიშთაგამოცდის დანარჩენ ნაკვეთებზე ჩრდილოდაკოტური მოსავლიანობით ჩამორჩა სხვა ჯიშებსა და ჰიბრიდებს, ვერც სხვა მაჩვენებლებით აჯობა და ამიტომ ამოღებული იქნა გამოცდიდან.

ამჟამად ის დარაიონებულია XI, XII, XIII და XIV (ურწყავი ნაწილი) ზონებისათვის.

ჰიბრიდი კრასნოდარული 5

კრასნოდარული 5 ორმაგი ხაზთაშორისი ჰიბრიდია კრასნოდარის სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მიერ მიღებული. მისი მდებარეობითი ფორმა მარტივი ჰიბრიდი — კრასნოდარული 3 (ხაზი ვ 155 X ხაზი ყ 23). ხოლო მამრობითი — მარტივი ჰიბრიდი ეაზბეგი (ხაზი WI₅ X ხაზი II₅).

სასოფლო-სამეურნეო კულტურების სახელმწიფო ჯიშთაგამოცდის საქართველოს ნაკვეთებზე გამოცდაში 1949 წლიდან მონაწილეობს. დღემდე გამოცდილია 10 ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე.

მცენარე საკმაოდ მაღალი იზრდება. შიდა ქართლის რაიონების სარწყავ პირობებში მისი სიმაღლე 190—225 სმ, ხოლო ზოგჯერ 250 სმ აღემატება; თელავისა და ლაგოდეხის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთებზე კი 260—296 სმ მიაღწია. მცენარეებზე ქვედა ტაროს მიმაგრების სიმაღლე 70—100 სმ უდრის, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, როდესაც ასეთმა 118 სმ მიაღწია. დაბუჩქება მცენარეს არ ახასიათებს. ფოთოლთა რაოდენობა უმეტესად 19—21, ხოლო მიწისზედა მუხლთშორისები 13—15 აქვს. ღერო საკმაოდ მსხვილია და გამძლე ჩაწოლისა და მტვრევალობისადმი.

ტარო მსხვილია, ძირითადად, ცილინდრული ფორმის. მისი წონა უმეტესად 180—260 გრამია, ხოლო კასპის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე 300 გრამს გადააჭარბა. საქართველოს პირობებში ტაროს სიგრძე 18—22 სმ. ხოლო დიამეტრი შუა ნაწილში 43,0—50,0 მმ უდრის (უფრო მსხვილია, ვიდრე ჰიბრიდ ვირ 42-ის ტარო). ტაროზე მარცვალთა 16—20 მწკრივია და ისინი მჭიდროდ არიან ნაქუჩზე განლაგებული, მწკრივთა შორის მცირე კვალია; მარცვლები მწკრივებში. აგრეთვე მჭიდროდ არიან განლაგებული. ტაროს წვერო, ისე როგორც მისი ბოლო, მარცვლებით საკმაოდ კარგად არის ამოვსებული. მწკრივში მარცვალთა რაოდენობა 45—50 აღწევს; ახასიათებს მარცვლის მაღალი გამოსავალი — 81—84% და ზოგჯერ კიდევ უფრო მეტი — საშუალოდ გორის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე — 83,2%, კასპის ნაკვეთზე — 82,5%, ამბროლაურის — 82,2%, თელავის — 83,4% და ლაგოდეხის ნაკვეთზე — 81,3%.

ტაროს წვეროს ფუჩეჩით დაფარვა საშუალოა, სრული სიმწიფის ფაზაში ტაროების თითქმის 50 პროცენტს წვერო ოდნავ დაუფარავი რჩება. ტაროს ფეხი გრძელია და შედარებით წვრილი ან საშუალო სისქის. ტარო სრული სიმწიფის ფაზაში ღეროდან საშუალოზე უფრო მეტად გადახრილია. ზოგჯერ ჩამოკიდებულია. ნაქუჩი წითელი ფერისაა.

მარცვალი ყვითელი ფერისაა, კბილა ტიპის, წაგრძელებული ფორმისა. მარცვლის სიგრძე საშუალოდ 14,2 მმ-ია. სიგანე — 8,0 მმ და სისქე 3,9 მმ უდრის. მარცვლის თავზე ნაქუცლეთა (ანდენტაცია)

საშუალო და ღრმაა. დანაოქება ჩაქყლეტის ადგილზე და მის ნაპირებზე საშუალოდ არის გამოსახული. 1000 მარცვლის წონა 220—300 გრამია.

სავეგეტაციო პერიოდის მიხედვით იგი საგვიანო ჯიშების ჯგუფს მიეკუთვნება. აღმოცენებიდან სრულ სიმწიფემდე 120—138 დღე ესაჭიროება. საკმაოდ გრძელი სავეგეტაციო პერიოდის გამო. ვაერცლება ჰპოვა საქართველოს მხოლოდ დაბლობი ზონის სარწყავ პირობებში — შიდა ქართლში და ტენით შედარებით უზრუნველყოფილ რაიონებში (კახეთში).

საგვიანო ჯიშ ქართულ კრუგთან შედარებით 8—12 დღით უფრო ადრე შემოდის და საშემოდგომო თევთავიანი კულტურებისათვის საუკეთესო წინამორბედად ითვლება — საშუალებას იძლევა ნიადაგის დროულად მომზადებისა და თესვისათვის.

გამძლეა დაავადებათა და მავნებლების მიმართ. ბუშტოვანი გუდაფუშტით უმნიშვნელოდ ავადდება. ფუზარიოზით — საშუალოდ. ლაგოდეხის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე ფუზარიოზით მაქსიმალური დაავადება აღნიშნულია 3%, საგარეჯოს ნაკვეთზე — 4,0%. კასპის ნაკვეთზე — 3%. ხოლო თელავის ნაკვეთზე კი 13% მიადწია.

უხვმოსავლიანია, ძირითადად, სარწყავ და ტენით უზრუნველყოფილ რაიონებში. კასპის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე სარწყავ პირობებში მისი მშრალი მარცვლის მოსავალი (14% ტენით) ჰექტარზე საშუალოდ 10 წლის განმავლობაში (1952—1961 წლებში) 62,3 ცენტნერს უდრის, უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში — 71.1 ცენტნერს, ხოლო მაქსიმალური მოსავალი — 78.5 ცენტნერი მიღებული იყო 1958 წელს. აქ გავრცელებული ჯიშის ქართული კრუგი ჩამორჩება მას მარცვლის მოსავლით საშუალოდ 7 წლის განმავლობაში ჰექტარზე 13,3 ცენტნერით, ჯიშის სტერლინგი (საშუალოდ 4 წლის განმავლობაში) — 18.1 ცენტნერით, ხოლო ადგილობრივი თეთრი კაჟოვანა კი — 22.9 ცენტნერით. კრასნოდარული 5 მარცვლის მოსავალი აგრეთვე აღემატებოდა ქართული კრუგის მოსავალს. ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე დიდ დანაყოფებზე გამოცდაში საშუალოდ 3 წლის განმავლობაში — 8.1 ცენტნერით, ხოლო სოფელ ქვემო გომის კოლმეურნეობაში საწარმოო პირობებში გამოცდის დროს—5.9 ცენტნერით. ჰიბრიდი კრასნოდარული 5 მარცვლის მოსავალი გორის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე სარწყავ პირობებში ს.

შუალოდ 12 წლის განმავლობაში უდრიდა ჰექტარზე 50,2 ცენტნერს, 1957—1961 წლებში — 52,2 ცენტნერს, ხოლო მაქსიმალური მოსავალი კი 71,5 ცენტნერი მიღებული იყო 1961 წელს. აქ მას უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში მარცვლის მოსავლიანობით ჩამორჩნენ: ქართული კრუგი — 8,9 ცენტნერით, სტერლინგი — 9,8 ცენტნერით. ხოლო ადგილობრივი თეთრი და ყვითელი კაჟოვანა (1950—1953 წწ.) — 15,0—14,7 ცენტნერით.

გორის რაიონის სარწყავ პირობებში სოფელ ძევერისა და შავშვების კოლმეურნეობებში ჰიბრიდი კრასნოდარული 5 მარცვლის მოსავალმა საშუალოდ ჰექტარზე (30—20 ჰექტარიდან) ადგილობრივ თეთრ და ყვითელ კაჟოვანას მოსავალს 9,3—9,1 ცენტნერით გადააჭარბა. სარწყავ პირობებში ის აგრეთვე პირველ ადგილს იკავებს სიღნაღის და საგარეჯოს ჯიშთაგამოცდის ნაკვეთებზე. სიღნაღის რაიონის სოფელ ანაგის კოლმეურნეობა „შრომაში“ 20 ჰექტარი ნათესი ფართობის თითოეულ ჰექტარზე 6,8 ცენტნერით მეტი მოსავალი იყო მიღებული, ვიდრე აჯამეთის თეთრიდან.

ჰიბრიდი კრასნოდარული 5 მარცვლის მოსავალი ჰექტარზე საშუალოდ შვიდი წლის განმავლობაში ჯიში აჯამეთის თეთრის მოსავალს ლაგოდენის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე 9,4 ცენტნერით, ხოლო თელავის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე ჯიში ქართული კრუგის მოსავალს 8,6 ცენტნერით აღემატებოდა. ამ ნაკვეთებზე ურწყავ პირობებში ჰიბრიდი კრასნოდარული 5 გვალვისადმი უფრო გამძლე აღმოჩნდა, ვიდრე დარაიონებული და გავრცელებული ჯიშები: აჯამეთის თეთრი (ძლიერ საგვიანო) და ქართული კრუგი.

დასავლეთ საქართველოს ჯიშთაგამოცდის ნაკვეთებიდან მხოლოდ ამბროლაურის ნაკვეთზე გადააჭარბა მარცვლის მოსავლიანობით, საშუალოდ 12 წლის განმავლობაში ჰექტარზე ადგილობრივ ყვითელ ნახევრადკბილას 9,1 ცენტნერით, აჯამეთის თეთრს — 9,4 და ქართულ კრუგს — 4,8 ცენტნერით.

დარაიონებულია 1956 წლიდან შიდა ქართლის — გორის, ხაშურის, დუშეთის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რაიონების (ზონა IX) სიღნაღის, გურჯაანის და თელავის რაიონების, ალაზნის ველის (ზონა XVI) და გარდაბნის რაიონის (გარდაბნის სარწყავი სისტემის ფარგლებში — ზონა X) დაბლობი სარწყავი ნაწილისათვის; ალაზნის მიღმა ტენიანი ზონის — ყვარლის და თელავის რაიონების მდ. ალაზნის მარცხენა ნაპირის დაბლობისათვის (ზონა

XVII); თელავის და გურჯაანის რაიონების მდ. ალაზნის მარჯვენა ნაპირის ურწყავი ნაწილის (ზონა XVIII) და რაჭა-ლეჩხუმის — ამბროლაურის და ცაგერის რაიონების დაბლობი ნაწილისათვის (ზონა IV).

ჰიბრიდი კრასნოდარული 5 რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დათესილი იყო 1956 წელს 98 ჰექტარზე, 1957 წელს — 803 ჰექტარზე, ხოლო 1961 წელს — 10676 ჰექტარზე.

ჰიბრიდი ჰირ 42

ვირ 42 ორმაგი ხაზთაშორისი ჰიბრიდია, მიღებული მემცენარეობის საკავშირო ინსტიტუტის ყუბანის საცდელი სადგურის მიერ ორი მარტივი (ხაზთაშორისი) ჰიბრიდის — სლავას (ხაზი ვირ 44 X ხაზი ვირ 38) და სვეტოჩის (ხაზი ვირ 40X ხაზი ვირ 43) შეჯვარებით.

მდებრობით ფორმად აღებული იყო ჰიბრიდი სლავა, ხოლო მამრობითად სვეტოჩი.

მცენარე საკმაოდ მაღალი იზრდება. სხვადასხვა ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე ცალკე წლებში გარემო პირობების მიხედვით უმეტესად 150—200 სმ. იგი მინეზოტა 13 ექსტრას სიმაღლეს უთანაბრდება და ზოგჯერ კიდევ აღემატება. ქვედა ტაროს მიმაგრების სიმაღლე 50—90 სმ-ია, ბარტყობა არ ახასიათებს, ან ნოყიერ ნიადაგზე ხელსაყრელ პირობებში მეტად მცირე რაოდენობით — საშუალოდ 1,1. მთავარ ღეროზე ფოთოლთა რიცხვი 16—18, ხოლო მიწისზედა მუხლები საშუალოდ 13 უდრის. ფოთლები საკმაოდ გრძელი და განიერი; მუჭი მწვანე ფერისაა. ღერო გამძლეა ჩაწოლისადაში, ხოლო მოსავლის დაგვიანებით აღების დროს ღეროს მიდრეკილება აქვს მტვრევალობისადმი.

ტარო თითქმის ცილინდრული ან სუსტად გამოსახული კონუსისებრი ფორმისაა, საკმაოდ გრძელია — 14—20 სმ. ტაროს დიამეტრი ზემო ნაწილში 40—44 მილიმეტრია, ქვედა ნაწილში 50 მილიმეტრს აღწევს, ხოლო შუა ნაწილში შეეფარდება ტაროს სიგრძეს როგორც 1:4. მშრალი ტაროს წონა ხელსაყრელ პირობებში 200—250 გრამია; ტაროზე მარცვლის 14—16 მწკრივია. მწკრივები მჭიდროდ არიან განლაგებული, მათ შორის კვალი მეტად მცირედ არის გამოსახული. მჭიდროდ არიან განლაგებული მარცვლები აგრეთვე

მწკრივებში, რის გამოც ნაადრევი და ტენიანი შემოდგომის პირობებში მთისპირა ზონებში (თიანეთის, თეთრი წყაროს რაიონები) ზოგჯერ ძნელდება მოსავლის დროული გაშრობა. მწკრივში მარცვალთა რაოდენობა 50-მდე აღწევს. მშრალი მარცვლის გამოსავალი 78—81 პროცენტს უდრის. ტაროს წვერო მარცვლებით საკმაოდ კარგად არის ამოვსებული. ნაქუჩი საპიბრიდიზაციო ნაკვეთზე და პირველი თაობის ნათესიდან მიღებულ მოსავალში მოწითალო ფერისაა, შემდეგ თაობაში კი საკმაო რაოდენობით გამოერევა თეთრ-ნაქუჩიანი ტაროები. ტაროთა რიცხვი მცენარეზე საშუალოდ 0,9—1,0 უდრის. განუვითარებელი ტაროები ნორმალურ პირობებში არ აქვს ან მეტად მცირე რაოდენობით. ტაროს ფეხი გრძელია და საშუალო სიმსხოსი. ტაროები სიმწიფის ფაზაში საშუალოდ და საშუალოზე უფრო მეტად არის გადახრილი ღეროდან, ფუჩეჩით დაფარულია თავიდან ბოლომდე თითქმის მთლიანად და სრული სიმწიფის ფაზაში ადვილად სცილდება.

მარცვალი კბილა ტიპისაა. მარცვლის თავზე ჩაწყლეტა (ინდენტაცია) კარგად არის გამოსახული, კანის დანაოქება ჩაწყლეტის ადგილზე და მის კიდეებზე უმეტესად მცირედ, ხოლო ზოგჯერ საშუალოდ არის გამოსახული. მარცვალი ყვითელი ფერისაა. მშრალი (14% ტენიანობის). 1000 მარცვლის წონა 250—300 გრამია. ოღნავ წაგრძელებული ფორმისაა. მისი სიგრძე საშუალოდ 12,0 მმ, სიგანე 3,5 მმ და სისქე 4,2 მმ უდრის.

საშუალო ვეგეტაციის ჯგუფს მიეკუთვნება. შემოდის თითქმის ჯიშ მინეზოტა 13 ექსტრასთან ერთდროულად ან 2—3 დღით უფრო გვიან. ვეგეტაციის ხანგრძლიობა აღმოცენებიდან სრულ სიმწიფემდე უმეტესად 105—120 დღის ფარგლებში მერყეობს. ზოგიერთ წელს 130 დღესაც აღემატება.

სითბოს მოყვარული და გვალვის ამტანი ჰიბრიდია.

ყვავილობა-შემოსვლის პერიოდი შედარებით მოკლე აქვს და გვალვიან პირობებში ტაროები უფრო მშრალია, ვიდრე სხვა ჯიშებისა.

გამძლეა დაავადებათა მიმართ, ბუშტოვანი გულდაფშუტით თითქმის არ ავადდება. ცხინვალის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე მისი დაავადება 1 პროცენტს არ აღემატება, მაშინ, როდესაც მინეზოტა 13 ექსტრას დაავადებამ 6 პროცენტს მიაღწია. ასევე 1,0 პროცენტი იყო დაავადებული ბუშტოვანი გულდაფშუტით მცენარეები ასურეთის

ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე მაშინ, როდესაც იმავე პირობებში მინეზოტა 13 ექსტრა დაავადებული იყო 2,2 პროცენტით. ნაკლებად გამძლეა ბაქტერიოზის მიმართ — ახალციხის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე 12 პროცენტს მიაღწია, ცხინვალის ნაკვეთზე 10 პროცენტს და სხვა. გამძლეა ფუზარიოზის მიმართ.

ჰიბრიდი ვირ 42 სასოფლო-სამეურნეო კულტურების საქართველოს სახელმწიფო ჯიშთაგამოცდის ნაკვეთებზე გამოცდაში პირველად შეტანილი იყო 1950 წელს. გამოცდილია 13 ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე.

უხემოსავლიანია. ახალციხის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე ურწყავ პირობებში მისი მშრალი მარცვლის მოსავალი (14 პროცენტ ტენიანობამდე) საშუალოდ 11 წლის განმავლობაში ჰექტარზე 34,6 ცენტნერს უდრის, რაც იმავე პირობებში გამოცდილ ადგილობრივ ყვითელ კაჟოვანას მოსავალს 7,9 ცენტნერით, ხოლო ადგილობრივ თეთრ კაჟოვანას მოსავალს 4,6 ცენტნერით აღემატება. ხელაყრელ გარემო პირობებში ჰიბრიდ ვირ 42 მარცვლის მაქსიმალური მოსავალი მიღებული იყო 1956 წელს 58,3 და 1960 წელს 56,3 ცენტნერი ჰექტარზე, მაშინ, როდესაც ამავე წლებში ადგილობრივი ყვითელი კაჟოვანას მოსავალი ჰექტარზე შესაბამისად უდრიდა 40,6 და 32,9 ცენტნერს, ხოლო ადგილობრივი თეთრი კაჟოვანას — 45,3 და 40,2 ცენტნერს. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში (1957—1961 წწ.) ჰიბრიდ ვირ 42 მარცვლის საშუალო მოსავალმა ადგილობრივ ყვითელ კაჟოვანას მოსავალს ჰექტარზე 9,1 ცენტნერით გადააჭარბა.

ცხინვალის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე ურწყავ პირობებში ვირ 32 მარცვლის მოსავალმა საშუალოდ 10 წლის განმავლობაში ჰექტარზე 34,7 ცენტნერი შეადგინა, რაც გავრცელებული ჯიშის ადგილობრივი თეთრი კაჟოვანას მოსავალს 10 ცენტნერით. ხოლო უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში 13,5 ცენტნერით აღემატება.

აქ მაქსიმალური მოსავალი 47,5 ცენტნერი მიღებული იყო 1960 წელს, მაშინ, როდესაც ადგილობრივი ყვითელი კაჟოვანას მოსავალი 25,5 ცენტნერს უდრიდა. ჯიშ მინეზოტა 13 ექსტრას მარცვლის მოსავალი საშუალოდ 7 წლის განმავლობაში ჩამორჩება ჰიბრიდ ვირ 42 მოსავალს ჰექტარზე 7,3 ცენტნერით.

ქარელის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე ურწყავ პირობებში ჰიბრიდ ვირ 42 მარცვლის მოსავალი ჰექტარზე 4,4 და 4,6 ცენტნერით აღემატება მინეზოტა 13 ექტრას და ადგილობრივ თეთრ კაჟოვანას

მოსავალს. ამავე ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე, დიდ დანაყოფებზე გამოცდის დროს, ჰიბრიდი ვირ 42 მარცვლის მოსავალი, საშუალოდ ორი წლის განმავლობაში, აღნიშნული ჯიშების მოსავალს ჰექტარზე 7,6 ცენტნერით აღემატება.

ასურეთის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე ჰიბრიდ ვირ 42 მარცვლის 9 წლის საშუალო მოსავალი ჰექტარზე მინეზოტა 13 ექსტრას მოსავალს 7,4 ცენტნერით ჰარბი ბს, ხოლო უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში (1957—1961 წწ.) — 9,2 ცენტნერით. დიდ დანაყოფებზე გამოცდის შედეგად მისი მარცვლის სამი წლის საშუალო მოსავალი — 31,5 ცენტნერი, მინეზოტა 13 ექსტრას მოსავალს ჰექტარზე 7,0 ცენტნერით აღემატება.

წითელწყაროს ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე გამოცდილი 45 ჯიშიდან და ჰიბრიდიდან მარცვლის მოსავლიანობაში პირველ ადგილს ჰიბრიდი ვირ 42 იკავებს. მისი მოსავალი აქ წინათ გავრცელებული ჯიშის — მინეზოტა 13 ექსტრას მოსავალს 4,6—5,3 ცენტნერით აღემატება, ხოლო ამავე XV ზონის—შირაქის ველის და უკანამხარის ურწყავ პირობებში კაკრეთის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე კი 6,1—7,5 ცენტნერით.

თეთრი წყაროს ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე მისი მარცვლის მოსავალი ჰექტარზე მეტია ადგილობრივი თეთრი კაჟოვანას მოსავალზე 11,6 ცენტნერით, მინეზოტა 13 ექსტრას მოსავალზე — 8,6, ხოლო ჰიბრიდი კოლმეურნის მოსავალზე — 4,4 ცენტნერით.

ამ ჰიბრიდის უპირატესობა წინათ გავრცელებულ დარაიონებულ ადგილობრივ და სელექციურ ჯიშებთან შედარებით დადასტურებულია კოლმეურნეობებში ჩატარებული საწარმოო გამოცდებით. მაგალითად, ახალციხის რაიონის სოფ. ვალეს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში ჰიბრიდი ვირ 42 მარცვლის მოსავალი ადგილობრივ ყვითელ კაჟოვანას მოსავალს ჰექტარზე 10,7 ცენტნერით აღემატება; სოფელ ვლიაწმინდის კოლმეურნეობა „საბჭოთა საქართველოში“ — 6,7 ცენტნერით და სოფელ კლდის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში — 6,1 ცენტნერით, ჰიბრიდ ვირ 42 მარცვლის მოსავალი ჯიშ მინეზოტა 13 ექსტრას მოსავალს საშუალოდ ორი წლის განმავლობაში ჰექტარზე აღემატება ყოფილი ცხინვალის რაიონის სოფელ ხეთაგუროვის კოლმეურნეობაში 5,1 ცენტნერით და ზნაურის რაიონის სოფელ ნულის კოლმეურნეობა „განთიადში“ — 6,5 ცენტნერით, წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემოქედის კოლმეურნეობაში საშუალოდ 3 წლის განმავლობაში — 7,8 ცენტნერით, ხილნაღის რაიონის სოფელ ჭუგაანის, გურჯაანის რაიონის სოფელ

ბანიანის და სოფელ ყანდაურას კოლმეურნეობებში 6,3—8,0 ცენტრით და სხვა.

1958 წელს გვალვის პირობებში ხაშურის რაიონის სოფელ ზემო ოსიაურის კოლმეურნეობამ ჰიბრიდის ვირ 42 27,5 ჰექტარი ნათესი ფართობის თითოეულ ჰექტარზე 33,0 ცენტნერი მშრალი მარცვლის მოსავალი მიიღო მაშინ, როდესაც იმავე პირობებში ადგილობრივი თეთრი კაყოვანას ნათესიდან საშუალოდ ჰექტარზე მხოლოდ 22 ცენტნერი მარცვალი იყო მიღებული. სოფელ აგარების კოლმეურნეობაში 12 ჰექტარი ნათესიდან საშუალოდ ჰექტარზე მიღებული იყო ჰიბრიდ ვირ 42-ის 44 ცენტნერი მშრალი მარცვალი, ხოლო ადგილობრივი თეთრი კაყოვანას ნათესიდან იმავე პირობებში — 24,8 ცენტნერი. სოფელ შრომის და ქვემო ოსიაურის კოლმეურნეობებში ადგილობრივ თეთრ კაყოვანას მოსავალს ჰექტარზე 12—18,3 ცენტრით გადააჭარბა, ხოლო სოფელ ხცისის კოლმეურნეობაში — 7 ცენტრით.

ჰიბრიდი ვირ 42 უხვ მოსავალს იძლევა არა მარტო ურწყავ პირობებში, არამედ სარწყავშიც. მაგალითად, გორის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე მისი მარცვლის მოსავალმა ჰექტარზე 44,7 ცენტნერს მიაღწია, ხოლო საშუალოდ სამი წლის განმავლობაში 43,4 ცენტნერი შეადგინა, რაც ჯიშ სტერლინგის მოსავალს ჰექტარზე 2,5 ცენტრით აღემატება, ხოლო ჯიშების მინეზოტა 13 ექსტრას და ადგილობრივ თეთრ და ყვითელ კაყოვანას 2 წლის საშუალო მოსავალს 7,4—8,3 ცენტრით. მაგრამ აქ ჰიბრიდი ვირ 42 ადგილს უთმობს უფრო სავიანო და უხვმოსავლიან ჰიბრიდს კრასნოდარულ 5 და ჯიშს ქართულ კრუგს, რომელთაგან პირველს მარცვლის მოსავლით ჩამორჩება ჰექტარზე 7,6 ცენტრით, ხოლო მეორეს — 5,7 ცენტრით.

ჰიბრიდი ვირ 42 დარაიონებულია მესხეთის მთაგორიანი ზონისათვის (ზონა VI — ახალციხის რაიონის დაბლობი ურწყავი ნაწილი); სამხრეთ ოსეთის და ქართლის ურწყავი ზონისათვის (ზონა VIII — ზნაურის, ლენინგორის და მათი მოსაზღვრე გორის და ხაშურის რაიონების ურწყავი ნაწილი); თრიალეთის ურწყავი მთისპირა და მთატყეიანი ზონისათვის (ზონები XI—XII — ბოლნისის და თეთრი წყაროს რაიონის მთისპირა და მთატყეიანი ნაწილი); შირაქ-კახეთის ველის ურწყავი ზონისათვის (ზონა XV — სიღნაღის რაიონის, შირაქის ველი და უკანამხარე, გურჯაანის რაიონის უკანამხარე და მისი მოსაზღვრე დაბლობი — ურწყავი ნაწილი).

ამ ზონებში მან თითქმის მთლიანად შესცვალა წინათ დარაიონებული ჯიში მინეზოტა 13 ექსტრა. მას აგრეთვე ადგილს უთმობენ

უფრო დაბალმოსავლიანი ჯიშები — ადგილობრივი ყვითელი და თეთრი კაკოვანა.

ჰიბრიდი ვირ 42 ნათესი ფართობი თანდათანობით იზრდება. ის დათესილი იყო 1956 წელს — 290, 1957 წელს — 2400, 1958 წელს — 9310, 1959 წელს — 21600 და 1961 წელს — 29770 ჰექტარზე.

ეს ჰიბრიდი ფართოდ გავრცელდა საბჭოთა კავშირის მთელ რიგ ოლქებსა, მხარეებსა და რესპუბლიკებში.

ჰიბრიდი კოლექციური

კოლექციური ჯიშნაზოვანი ჰიბრიდია, სიმინდის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის მიერ მიღებული, მისი მდებარეობითი ფორმაა ჯიში მინეზოტა 13 ექსტრა, მამრობითი — თვითდამტვერილი ხაზი გ-380.

მცენარე საშუალო სიმაღლისაა, უმეტესად 150—200 სმ და ზოგჯერ კიდევ უფრო მაღალი იზრდება. ბარტყებს მცირე რაოდენობით ივითარებს. ფოთოლი ხშირად 16—17 აქვს, ქვედა ტარო მიმაგრებულია 50—70 სანტიმეტრის სიმაღლეზე. ჩაწოლისადმი საკმაოდ კარგი გამძლეობით ხასიათდება.

ტარო საშუალოდ 150—200 გ იწონის. ტაროს სიგრძე უმეტესად 16—18 სმ უდრის, დიამეტრი ტაროს შუა ნაწილში 40—45 მმ აღწევს. ტაროზე მარცვლის 12—16 მწკრივია. ნაქუჩი წითელია; ტაროს წვერო მარცვლებით საკმაოდ კარგად არის ამოვსებული. მარცვლის გამოსავალი 77—80 პროცენტს უდრის. ტაროზე მარცვალთა მწკრივები და მწკრივებში მარცვლები არ არის ისე მჭიდროდ განლაგებული. როგორც ამას ადგილი აქვს ჰიბრიდ ვირ 42 ტაროზე, ადვილად შრება.

მარცვალი მოყვითალო ფერისაა, თავზე მუქი შეფერვით, საჰიბრიდიზაციო ნაკვეთიდან მიღებული—კბილა, ხოლო შემდგომ თაობებში კაეა-კბილა ტიპის. ტაროს შუა ნაწილში მარცვლის ზედაპირზე ჩაბყლეტა და დანაოხება მეტად სუსტად არის გამოსახული. მარცვალი საკმაოდ მსხვილია, ოდნავ წაგრძელებული ფორმის. მისი სიგრძე საშუალოდ 10.1 მმ, სიგანე 8,3 მმ და სისქე 4,5 მმ უდრის, 1000 მარცვლის წონა საშუალოდ 240, ზოგჯერ კი 300 გრამს აღწევს.

საშუალო ვეგეტაციისაა, აღმოცენებიდან სრულ სიმწიფემდე 115—118 დღე ესაჭიროება. მინეზოტა 13 ექსტრასთან შედარებით 2—3 დღით უფრო ადრე შემოდის, ხოლო ჰიბრიდ ვირ 42-თან შედარებით — 3—4 დღით ადრე. გვალვას საკმაოდ კარგად უძლებს.

ბუშტოვანი გუდაფშუტისა და ფუზარიოზის მიმართ სუსტი და საშუალო გამძლეობა ახასიათებს.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჭიშთაგამოცდის სახელმწიფო კომისიის საქართველოს ჭიშთაგამოცდის ქსელში 1949 წლიდან იცდება. გამოცდილია 15 ნაკვეთზე.

მისი უხვმოსავლიანობა გამოვლინდა იმ ზონებში, სადაც დარაიონებული და გავრცელებული იყო ჭიში მინეზოტა 13 ექსტრა. წითელწყაროს ჭიშთაგამოცდის ნაკვეთზე საშუალოდ 8 წლის განმავლობაში ჰიბრიდ კოლექტიურიდან ჰექტარზე 23,9 ცენტნერი მშრალი მარცვლის მოსავალი იქნა მიღებული, ხოლო მინეზოტა 13 ექსტრადან — 20,2 ცენტნერი.

თუ ჰიბრიდ კოლექტიურიდან 1953 და 1954 წლებში ჰექტარზე მიღებული იყო 21,3 და 16,3 ცენტნერი, მინეზოტა 13 ექსტრას მოსავალი უდრიდა 17,9 და 7,9 ცენტნერს.

ჰიბრიდმა კოლექტიურმა მინეზოტა 13 ექსტრას კაჭრეთის ჭიშთაგამოცდის ნაკვეთზე საშუალოდ 3 წლის განმავლობაში ჰექტარზე 4,6 ცენტნერით გადაჭარბა მარცვლის მოსავლით. ასეთი უპირატესობის გამო ჰიბრიდი კოლექტიური დარაიონებული იყო შირაქის — კახეთის ველის ურწყავი ზონისათვის, მაგრამ შემდეგში ის შესცვალა უფრო უხვმოსავლიანმა ორმაგმა ჰიბრიდმა ვირ 42. ჰიბრიდი კოლექტიურის მოსავალმა თეთრი წყაროს ჭიშთაგამოცდის ნაკვეთზე საშუალოდ 11 წლის განმავლობაში ჰექტარზე 35,7 ცენტნერი შეადგინა, ხოლო მინეზოტა 13 ექსტრამ — 30,1 ცენტნერი. აღნიშნულის გამო ის დარაიონებული იყო თეთრი წყაროს ჭიშთაგამოცდის ნაკვეთის მომსახურების XII ზონისათვის, მაგრამ უკანასკნელ წლებში მას მოსავლიანობით, ისე, როგორც წითელწყაროში, გადააჭარბა ორმაგმა ჰიბრიდმა ვირ 42, რომლის მოსავალი მინეზოტა 13 ექსტრას მოსავალს ჰექტარზე 8,6 ცენტნერით აღემატება. აქ (ზონა XII) ჰიბრიდ ვირ 42-თან ერთად ჭერჯერობით დარაიონებულია ჰიბრიდი კოლექტიურიც და დარაიონებიდან ამოღებულია მინეზოტა 13 ექსტრა.

თიანეთის ჭიშთაგამოცდის ნაკვეთზე ჰიბრიდ კოლექტიურმა მარცვლის მოსავალმა საშუალოდ 8 წლის განმავლობაში ჰექტარზე 41,1 ცენტნერი შეადგინა, მაშინ, როდესაც მინეზოტა 13 ექსტრასაგან მიღებული იყო 37,2 ცენტნერი. აქ მარცვლის მოსავლიანობით

მას ადგილს უთმობენ ადგილობრივი თეთრი კაქოვანა და ჩრდილო-დაკოტური — დარაიონებული ღუშეთისა და თიანეთის რაიონების მთავორიანი ნაწილისათვის (ზონა XIII).

ჯიშთაგამოცდის დანარჩენ ნაკვეთებზე მას მოსავლიანობით გადაჭარბებს სხვა ჰიბრიდებმა და ჯიშებმა, რის გამოც ის ამოღებულ იქნა ჯიშთაგამოცდის გეგმიდან.

ჰიბრიდი კრასნოდარული 4

კრასნოდარული 4 ჯიშხაზოვანი ჰიბრიდია, მიღებული კრასნოდარის სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მიერ. მისი მდებრობითი ფორმაა ჯიში სტერლინგი, ხოლო მამრობითი — მარტივი ჰიბრიდი კრასნოდარული 3 (ვ 155 X ე 23).

მცენარე საკმაოდ მაღალია (160—240 სანტიმეტრის ფარგლებში მერყეობს). ბარტყებს მცირე რაოდენობით ივითარებს. მთავარ ღეროზე უმეტესად 17—19 ფოთლია. ქვედა ტარო მიმაგრებული აქვს მიწის ზედაპირთან 80—100 სმ სიმაღლეზე. ჩაწოლისაღმი გამძლეობა არ არის საკმარისი.

ტარო საკმაოდ დიდია, 180—200 გ იწონის, გრძელია — საშუალოდ 16—20 სმ და ზოგჯერ კიდევ უფრო მეტი. მსხვილია, დიამეტრი მის შუა ნაწილში 40—45 მმ-ია. ტაროზე მარცვლების მწკრივი 14—16, უმეტესად 16 აქვს. საჰიბრიდიზაციო ნაკვეთიდან მიღებული ტაროების ნაქუჩი თეთრია, ხოლო მეორე თაობაში — წითელი. იგი მარცვლის მაღალი გამოსავლიანობით ხასიათდება — 80—84 პროცენტს აღწევს.

მარცვალი კბილა ტიპისაა, პირველ თაობაში (საჰიბრიდიზაციო ნაკვეთიდან) თეთრი ზედაპირით და ღია ყვითელი ფერის გვერდებით, ხოლო მეორე თაობაში თეთრი და ყვითელი ფერის და წაგრძელებული ფორმისაა. საშუალო სიგრძე 11,77 მმ, სიგანე 8,68 მმ და სისქე 4,12 მმ უდრის. 1000 მარცვლის წონა 250—280 გრამის ფარგლებში მერყეობს.

საშუალოსაგვიანო ჰიბრიდია, აღმოცენებიდან სრულ სიმწიფემდე 125—130 დღე სჭირდება. ის საშუალოდ 6 დღით უფრო ადრე მწიფდება, ვიდრე ჰიბრიდი კრასნოდარული 5 და 12—16 დღით ადრე, ვიდრე ჯიში ქართული კრუგი.

საშუალოდ გამძლეა ბუშტოვანი გუდაფუშუტისა და სხვა სოკოვანი დაავადებებისადმი.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კულტურების სახელმწიფო ჯიშთაგამოცდის ნაკვეთებზე გამოცდაში შეტანილი იყო 1949 წელს გამოცდილია 12 ნაკვეთზე. დარაიონებული იყო შიდა ქართლის რაიონების და მისი მოსაზღვრე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სარწყავი პირობებისათვის, როგორც საშემოდგომო ხორბლის ერთ-ერთი საუკეთესო წინამორბედი საგვიანო ჯიშის ქართული კრუგის და საშუალოსაგვიანო ჯიშების სტერლინგის, ადგილობრივი თეთრი და ყვითელი კაჟოვანას შესაცვლელად და სამგორის ველის სარწყავი პირობებისათვის (სამგორის ველის სარწყავი სისტემის ფარგლებში).

გორის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე მისი მარცვლის საშუალო მოსავალი (ჰექტარზე 44,3 ცენტნერი) 5,5 ცენტნერით აღემატებოდა ჯიშის სტერლინგის მოსავალს, 11,7 ცენტნერით — ადგილობრივ თეთრ კაჟოვანას და 12,0 ცენტნერით ადგილობრივ ყვითელ კაჟოვანას, ხოლო ქართული კრუგის მოსავალს — მხოლოდ 0,8 ცენტნერით.

საგარეჯოს ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე საშუალოდ 9 წლის განმავლობაში ჰექტარზე 6,8 ცენტნერით უფრო მეტი მარცვლის მოსავალი მოგვცა, ვიდრე ჯიშმა მინეზოტა 13 ექსტრამ და 7,7 ცენტნერით მეტი ადგილობრივ თეთრ ნახევრადკბილასთან შედარებით.

ამ ჯიშთაგამოცდის ნაკვეთებზე შემდგომში გამოცდილი ორმაგი ხაზთაშორისი ჰიბრიდი კრასნოდარული 5 უფრო უხვმოსავლიანი აღმოჩნდა და რადგანაც მათ სავეგეტაციო პერიოდში და აგრეთვე სხვა თვისებებში დიდი სხვაობა არ არის, ჰიბრიდი კრასნოდარული 4 ამოღებულ იქნა დარაიონებიდან და მის ადგილს მთლიანად ჰიბრიდი კრასნოდარული 5 იკავებს.

სიმინდის ჯიშთაგამოცდის შედეგები თავთავიანი კულტურების ნაწვერალზე თესვის პირობებში

საქართველოს მთელ რიგ რაიონებში შესაძლებელია სიმინდის მეორე მოსავლის მიღება თავთავიანი და სხვა საადრეო კულტურების ნაწვერალზე. ეს დამტკიცებულია როგორც სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებების მონაცემებით, ისე საწარმოო პრაქტიკით.

ზაფხულში ნაწვერალზე ნათესი სიმინდის მცენარეთა ზრდა-განვითარების პირობები, სითბოს, განათების, წყლის რეჟიმის და ნიადაგში საკვებ ნივთიერებათა დაგროვების მხრივ განსხვავდება გაზაფხულზე ნათესი სიმინდის პირობებისაგან.

გაზაფხულზე ნათესი სიმინდის ვეგეტაციის დასაწყისიდან ჰაერის ტემპერატურა თანდათანობით მატულობს, მაშინ, როდესაც ნაწვერალზე თესვის დროს ჰაერის ტემპერატურა მაღალია, მაქსიმუმს უახლოვდება და შემდეგ კი კლებულობს; გაზაფხულზე ნათესი სიმინდის ვეგეტაციის დასაწყისში დღის ხანგრძლიობა დაახლოებით 12,5 საათს უდრის, ის შემდგომში მატულობს — აღწევს 15,0 საათს და მცენარეთა განვითარების ბოლო ხანებში კი კლებულობს. ნაწვერალზე ნათესი სიმინდი კი პირველად ვითარდება ხანგრძლივი განათების პირობებში, როდესაც დღის ხანგრძლიობა მაქსიმუმს აღწევს, ხოლო შემდეგ კი კლებულობს;

ზამთრისა და გაზაფხულის პერიოდში მოსული ნალექების დაგროვების შედეგად გაზაფხულზე ნათესი სიმინდი ტენით, ძირითადად, უზრუნველყოფილია, მაშინ, როდესაც თავთავიანი კულტურების აღების პერიოდში ნიადაგი რაიონთა უმეტესობაში, სადაც ზაფხული გვალვიანია, გამომშრალია და ცხელი. ცხადია, ასეთი სხვაობის დროს ნიადაგში საკვებ ნივთიერებათა დაგროვებაც სხვადასხვაგვარად მიმდინარეობს.

უზვი მოსავლის მისაღებად სიმინდის მოთხოვნილება გარემო პირობებისადმი მაქსიმალურად უნდა იქნეს დაკმაყოფილებული.

გარემო პირობებისადმი მოთხოვნილება სხვადასხვაა მცენარის ზრდა-განვითარების სხვადასხვა პერიოდში.

დადგენილია, რომ სიმინდის ვეგეტაცია წყდება, როდესაც ჰაერის საშუალოდღეღამური ტემპერატურა 10° -ზე ნაკლებია და აღმატება 38° , ამიტომ მის აქტიურ ტემპერატურათა ჯამში შედის ყველა საშუალოდღეღამური ტემპერატურა 10° -ზე ზევით.

გ. ტ. სელიანინოვი, თავის გამოკვლევათა საფუძველზე დაასკვნის, რომ როდესაც ტემპერატურა 10° უახლოვდება, სიმინდის მცენარეთა ზრდა-განვითარება მეტად შეფერხებულია და ამის შედეგად მცირდება მოსავალი; სიმინდის მომწიფება ძალზე გვიანდება, როდესაც ტემპერატურა 15° -ზე ნაკლებია, ხოლო როდესაც 12° -ზე ნაკლებია ტარობები სრულიად არ მწიფდება. სიმინდისათვის ოპტიმალურ ტემპერატურად მიღებულია ქეჩიჩოების გამოღებამდე $18-20^{\circ}$, ქეჩიჩოების გამოღებისა და ყვავილობის პერიოდში — $20-22^{\circ}$ და დამწიფების პერიოდში — $22-23^{\circ}$.

სიმინდის ზრდა-განვითარებისათვის ოპტიმალურ პირობად ითვლება, როდესაც ნიადაგში ტენიანობა მინდვრული წყალტევადობის $75-80$ პროცენტს აღმატება; ხოლო ასეთის შემცირება დასაშვებია 70% -მდე, სანამ ქეჩიჩოების გამოღება დაიწყებოდეს.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ, თუ გაზაფხულზე ნათესი სიმინდის მცენარეთა მოთხოვნილება გარემო პირობებისადმი საფუძვლიანად არის შესწავლილი, ზაფხულში ნაწვერალზე ნათესი სიმინდის მცენარეთა მოთხოვნილებაზე მეტად მცირე მასალები მოავეპოვება.

განსხვავებულ გარემო პირობებს მოითხოვს როგორც სხვადასხვა კულტურა, ისე აგრეთვე კულტურის ფარგლებში სხვადასხვა ჯიში. მეტად დიდი განსხვავებაა საქართველოში გავრცელებულ სიმინდის ჯიშებს შორის. არის ძლიერ საგვიანო და საგვიანო ჯიშები. რომელთა სავეგეტაციო პერიოდი აღმოცენებიდან სრულ სიმწიფემდე $140-150$ დღემდე აღწევს; არის საადრეო ჯიშები, რომლებიც $90-110$ დღეში მწიფდება და მათ შორის უარდაშვალეო საშუალო-საგვიანო, საშუალო და საშუალოსაადრეო ვეგეტაციის მქონე ჯიშები.

საქართველოს მრავალფეროვან აგროკლიმატურ პირობებში ადგილი აქვს ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულ ზონებს და

ათოგული მათგანისათვის ჯიშების შერჩევას როგორც გაზაფხულზე, ისე ნაწვერალზე თესვისათვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა. ჯიშების შერჩევის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მათი სამეურნეო დანიშნულება — მოსავალი გამოყენებული იქნება მარცვლად, სასილოსედ, თუ მწვანე საკვებად.

იმისათვის, რომ ნაწვერალზე დასათესად შერჩეული ყოფილიყო სიმინდის საუკეთესო ჯიშები სხვადასხვა ზონებისათვის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშთაგამოცდის ნაკვეთებზე ჩატარებული იყო ცდები, სადაც გამოცდაში მონაწილეობდნენ როგორც გავრცელებული ადგილობრივი და სელექციური, ისე ახალი ჯიშები და ჰიბრიდები.

ნაწვერალზე თესვის პირობებში სიმინდის ჯიშები გამოცდილია ლაგოდენის, თელავის, სიღნაღის, საგარეჯოს, მარნეულის, კასპის, გორისა და წყალტუბოს (ყოფილი ქუთაისის) ჯიშთაგამოცდის ნაკვეთებზე. აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობ ზოლში, სადაც შესაძლებელია სანაწვერალო კულტურების თესვა, თავთავიანი კულტურებიდან, ძირითადად, საშემოდგომო ხორბალია გავრცელებული, საშემოდგომო ქერს უმნიშვნელო ფართობი უკავია.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თავთავიანი კულტურების შემოსვლისა და მინდვრის გათავისუფლების ვადებს.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების სახელმწიფო ჯიშთაგამოცდის ნაკვეთების მონაცემების თანახმად საშემოდგომო ხორბლის სრული სიმწიფის ფაზები მერყეობს შემდეგ ვადებში: ლაგოდენში — 17—30.VI, სიღნაღში (ალაზნის ველზე) — 21—29.VI, თელავში — 28.VI—10.VII, საგარეჯოში (სამგორის ველზე) — 15—29.VII, მარნეულში — 28.VI—9.VII, გორში — 18—22.VII და კასპში — 12—20.VII, ხოლო საშემოდგომო ქერისა კი — ლაგოდენში — 3—14.VI, სიღნაღში — 11—15.VI და მარნეულში — 17—23.VI.

სიმწიფის თარიღად აღებულია ის დღე, როდესაც მცენარეთა 75 პროცენტი და მეტი იყო სრული სიმწიფის ფაზაში. ცხადია, მოსავლის კომბაინით აღება (ერთ ფაზაში) უკეთეს შემთხვევაში აღნიშნული რიცხვიდან 2—3 დღის შემდეგ იქნება შესაძლებელი, როდესაც მცენარეთა, დაახლოებით 100 პროცენტი იქნება სრულ სიმწიფეში.

ჯიშთაგამოცდის ნაკვეთებზე სიმინდის თესვა წარმოებდა უმეტესად, გავრცელებული თავთავიანი კულტურების — საშემოდგომო

ხორბლის ნაწვერალზე, ზოგჯერ კი საშემოდგომო ქერის შემდეგ, იქ, სადაც ამის საშუალება იყო. წინამორბედი კულტურის მოსავლის აღებისა და ფართობის ნარჩენებისაგან გაწმენდისთანავე ხვნა წარმოებდა წინმხვნელიანი გუთნით 18—22 სმ სიღრმეზე თანმიყოლებული ფარცხვით, უმეტესად დისკოებიანი ფარცხვით. ითვისებოდა იმავე ან მეორე დღესვე.

სარწყავ პირობებში — მარნეულის, გორის, კასპის, სიღნაღისა და საგარეჯოს ჯიშთაგამოცდის ნაკვეთებზე თესვისთანავე ტარდებოდა რწყვა. სიმინდი ითვისებოდა კვადრატულ-ბუდობრივი წესით (70×70 სმ) და თითოეულ ბუდნაში რჩებოდა ორი მცენარე. ნათესის შემდგომი დამუშავება წარმოებდა აგროწესების თანახმად. მოსავალი აღებული უნდა ყოფილიყო მარცვლის სრული სიმწიფის პერიოდში, ხოლო იმ შემთხვევაში თუ სიმინდი შემოდგომით ვერ მოასწრებდა სრულად მომწიფებას — სასილოსედ, ან მწვანე საკვებად. მიღებული მოსავალი თითოეულ ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე ცალკე ჯიშებისა და ჰიბრიდების მიხედვით წარმოდგენილია 1 ცხრილში.

როგორც მონაცემებიდან ჩანს, სიმინდის მარცვლის მოსავალი სრული სიმწიფის ფაზაში ნაწვერალზე თესვის პირობებში მიღებულია მხოლოდ ლაგოდებისა და სიღნაღის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთებზე, პირველზე ურწყავ; ხოლო მეორეზე სარწყავ პირობებში. დანარჩენ ნაკვეთებზე აღრიცხულია მწვანე მასის მოსავალი. ლაგოდების ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე 7 წლის განმავლობაში (1955—1961 წწ.) ნაწვერალზე სიმინდის მარცვლის მოსავალი მიღებულია 5 წელს, მწვანე მასის მოსავალი — 1956 წელს, ხოლო 1961 წლის 21 ოქტომბერს, როდესაც საადრეო და საშუალო ვეგეტაციის ჰიბრიდები რძისებრი სიმწიფის ფაზაში იყვნენ, ნათესები დაილუპა ძლიერი სეტყვისაგან.

სიღნაღის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე 5 წლის განმავლობაში მარცვლის მოსავალი მიღებულია 4 წელს, მწვანე მასის მოსავალი — ერთ წელს. სანაწვერალო სიმინდის სავარაუდო სავეგეტაციო პერიოდში აქტიურ ტემპერატურათა ჯამი და ნალექების რაოდენობა ცალკე ჯიშთაგამოცდის ნაკვეთების მიხედვით წარმოდგენილია მე-2 ცხრილში.

ლაგოდების ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე ზღვის დონიდან 520 მ სიმაღლეზე და მისი მომსახურების ზონაში, თავთავიანი კულტუ-

რების ნაწვერალზე თესვა უმეტეს შემთხვევაში შესაძლებელია ივნისის მესამე დეკადაში და სრული აღმონაცენის მიღება — ივლისის პირველ რიცხვებში.

სიმინდი ოქტომბრის ბოლომდე სრულ სიმწიფეს აღწევს და მარცვლის მოსავალს საკმაო რაოდენობით იძლევა. მაგალითად, 1960 წელს, როდესაც თესვა ჩატარებული იყო 25 ივნისს და სრული აღმონაცენი აღრაცხული იყო პირველ ივლისს, ხოლო სრული სიმწიფე — 18 ოქტომბერს, ჰექტარზე მარცვლის მოსავალმა ჯიშების მიხედვით 27,6-დან 36,8 ცენტნერამდე მიაღწია; 1955 წელს კი, როდესაც სიმინდი დაითესა პირველ ივლისს და აღმონაცენი მიღებული იყო 8 დღეში, სრულ სიმწიფეს 5 ოქტომბერს მიაღწია და ჰექტარზე 31,4—39,6 ცენტნერი მარცვლის მოსავალი იქნა მიღებული. როგორც 1960, ისე 1955 წელს სიმინდის მცენარეებს კარგი პირობები ჰქონდათ ზრდა-განვითარების ყველა პერიოდში და განსაკუთრებით კარტიკულ პერიოდში, როდესაც საშუალო ტემპერატურა 21,0—22,6° უდრიდა, ხოლო ნალექები — 86,7—214 მილიმეტრს. მარცვლის გავსებისა და სიმწიფის პერიოდში — სექტემბერსა და ოქტომბრის პირველ ნახევარში მკინარეები უზრუნველყოფილი აღმოჩნდნენ ტენით და სითბოთი. 1956 წელს ნალექების რაოდენობა ყველა პერიოდში საკმაოდ იყო, მაგრამ სითბო ქეჩიჩოების გამოღებიდან რძისებრ სიმწიფემდე არ აღმოჩნდა საკმარისი — 15 გრადუსს უდრიდა, ნაცვლად 19,7—22,3 გრადუსისა 1955—1960 წლებში.

ძირითადად ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მცენარეებმა გაახანგრძლივეს ვეგეტაცია და 15 ოქტომბრისათვის რძისებრი სიმწიფის ფაზამდე მიაღწიეს მხოლოდ საადრეო და საშუალო ვეგეტაციის ჯიშებმა და ჰიბრიდებმა, მაშინ, როდესაც საგვიანო ჯიში აჯამეთის თეთრი რძისებრ სიმწიფემდე არ იყო მისული.

სიმინდის სრული აღმონაცენის დროულად მიღებისათვის აქ ურწყავ პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ნიადაგში ტენის რაოდენობას. 1961 წელს, იშვიათი გვალვების გამო, თავთავიანი კულტურები ჩვეულებრივზე ერთი კვირით — ათი დღით უფრო ადრე იქნა აღებული და სანაწვერალო სიმინდიც ჩვეულებრივზე ადრე დაითესა. ნიადაგში ტენი არ იყო საკმარისი, აღმოცენებას და აგვიანდა და მეტად მეჩხერი აღმონაცენის გამო ჯიშთაგამოცდის ნაკვეთი იძულებული იყო 3 ივლისს მეორეჯერ ჩატარებინა თესვა. შემდეგში წვიმების შედეგად, სიმინდის სრული აღმონაცენი მიღე-

ბული იყო მხოლოდ მეთორმეტე დღეს — 14 ივლისს. დაგვიანებით აღმოცენებული მცენარეების განვითარების მეორე ნახევარი შედარებით უფრო დაბალი ტემპერატურით ხასიათდებოდა და ვეგეტაცია გახანგრძლივდა, ქეჩიჩოების ყვავილობიდან რძისებრ სიმწიფემდე 43 დღე დასჭირდა, ნაცვლად 23—30 დღისა სხვა წლებში, და რძისებრ სიმწიფეს მხოლოდ 12—15 ოქტომბერს მიაღწია. 21 ოქტომბერს მოსული სეტყვის გამო მცენარეები ძლიერ დაზიანდა, ფოთლები თითქმის მთლიანად გაეცალა, ღეროები დაიმტვრა და მოსავალი — მწვანე მასა აღებული იყო რძისებრ სიმწიფის ფაზაში მცირე რაოდენობით — 129—201 ც ჰექტარზე. რადგანაც სეტყვისაგან ჭიშები მეტნაკლები სიძლიერით იყო დაზიანებული, მათი ერთმანეთთან შედარება შეუძლებელი გახდა და ცდა დაღუპულად ჩაითვალა.

გამოცდილი ჭიშებიდან და ჰიბრიდებიდან აქ მარცვლის მოსავლიანობით პირველ ადგილს იკავებენ საშუალო ვეგეტაციის ჰიბრიდი ვირ 42 და საშუალოსაგვიანო ჰიბრიდი კრასნოდარული 4, რომელთა შორის განსხვავება საშუალოდ 0,9 ცენტნერს შეადგენს, რაც ცდომილების ფარგლებშია. შემდეგ ადგილს იკავებს ჭიში მ. ნეზოტა 13 ექსტრა, რომელიც ჰიბრიდ ვირ 42 ჰექტარზე მხოლოდ 1,6 ცენტნერით ჩამორჩება. საგვიანო ჭიშის აჯამეთის თეთრის, და ცხადია საგვიანო ადგილობრივ თეთრ ნახევრადკბილას ნაწვერალზე თესვა მარცვლის მოსავლის მისაღებად არ არის დასაშვები, რადგან ვერ ასწრებენ გვიან შემოდგომაზე შემოსვლას, ხოლო ზოგჯერ, ხელსაყრელ პირობებში, როდესაც სრულ სიმწიფემდე აღწევენ, მარცვლის მცირე მოსავალს იძლევიან. ლაგოდეხის ჭიშთაგამოცდის ნაკვეთის მომსახურების ზონაში სიმინდი პირველ რიგში ქერის ნაწვერალზე უნდა დაითესოს, რომელიც 12—15 დღით და ზოგჯერ კიდევ უფრო ადრე ათავისუფლებს მიწდვრებს, ვიდრე საშემოდგომო ხორბალი და იქ, სადაც არის მორწყვის საშუალება, სანაწვერალო სიმინდი დათესვისთანავე უნდა მოირწყოს, რაც დააჩქარებს სრული აღმონაცენის მიღებას, შემდგომ განვითარებას და უზრუნველყოფს მარცვლის უხვი მოსავლის დროულად მიღებას.

სიღნაღის ჭიშთაგამოცდის ნაკვეთზე, ზღვის დონიდან 296 მ სიმაღლეზე, ალაზნის ველის სარწყავ პირობებში უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში (1958—1961) ნაწვერალზე საშუალოდ ჰექტარზე 16—20,7 ცენტნერი სიმინდის მარცვლის მოსავალია მიღებული. ლა-

გოდების ჯიშთაგამოცდის ნაკვეთთან შედარებით, აქ ტენი შინიმა-
ლური რაოდენობითა და მორწყვის გარეშე, გარდა იშვიათი გამო-
ნაკლისისა, შეუძლებელია მარცვლის მოსავლის მიღება. ნალექების
რაოდენობა აქ პირველ ივლისიდან 15 ოქტომბრამდე საშუალოდ
6 წლის განმავლობაში (1956—1961 წწ.) 198 მმ უდრის, ნაცვლად
333 მმ-ისა ლაგოდებში.

ჰაერის ტემპერატურის მხრივ მათ შორის განსხვავება მცირეა.
ექტიურ ტემპერატურათა ჯამი პირველი ივლისიდან 15 ოქტომბრამ-
დე საშუალოდ 6 წლის განმავლობაში ლაგოდების მეტეოროლოგი-
ური სადგურის მონაცემების თანახმად 2228° უდრის, ხოლო ალაზ-
ნის მეტსადგურის მონაცემებით კი (ალაზნის ველისათვის) 2260°.

სიღნაღის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე გამოცდილი ჯიშებიდან და
ჰიბრიდებიდან მარცვლის მოსავლიანობით პირველ ადგილს, საშუ-
ალოდ 4 წლის განმავლობაში, ჰიბრიდი კრასნოდარული 4 იკავებს,
რომელიც ვირ 42-თან შედარებით ჰექტარზე 4,2 ცენტნერით უფრო
მეტ მოსავალს იძლევა. მეორე ადგილს ჰიბრიდები ვირ 42 და ვირ
25 იკავებენ (16,5—16,9 ც/ჰა), ხოლო ჯიში მინეზოტა 13 ექსტრა
მათ მხოლოდ ერთი ცენტნერით ჩამორჩება. 1961 წელს ჰიბრიდმა
კრასნოდარულმა 5 მარცვლის მოსავლით პირველი ადგილი დაიკა-
ვა — ჰიბრიდს ვირ 42 ჰექტარზე 6,2 ცენტნერით გადააჭარბა.

ჰიბრიდი კრასნოდარული 5, აღნიშნულ ჰიბრიდებთან და მინე-
ზოტა 13 ექსტრასთან შედარებით, უფრო სავიანოა და ერთი წლის
მონაცემებით არ შეიძლება მის უპირატესობაზე ლაპარაკი. ამიტომ
გრძელდება მისი გამოცდა. გამოცდაში მონაწილე სავიანო ჯიშის
აჯამეთის თეთრის მარცვლის მოსავალი საშუალოდ 6,9 ცენტნერს
უდრის, მაშინ, როდესაც ჰიბრიდების ვირ 42 და ვირ 25 მოსავალმა
იმავე წლებში 16,5 — 16,9 ცენტნერი შეადგინა. ოთხი
წლიდან აჯამეთის თეთრის მარცვლის მოსავალი მხოლოდ ორ წელს
იყო მიღებული. ამიტომ ალაზნის ველის სარწყავ პირობებში ნაწვე-
რალზე მისი თესვა არ არის მიზანშეწონილი. მწვანე მასის მოსავ-
ლით აჯამეთის თეთრი პირველ ადგილს იკავებს, მაგრამ ტარობისა
და მშრალი ნივთიერების მოსავლით ჩამორჩება სხვა ჯიშებსა და
ჰიბრიდებს. მაგალითად, 1956 წელს აჯამეთის თეთრის მწვანე მასამ
ჰექტარზე 311 ცენტნერი შეადგინა, მათ შორის ტარობი 54 ცენტ-
ნერი, მშრალი ნივთიერება კი მთელ მასაში 53,0 ცენტნერი იყო, მა-
შინ, როდესაც ჯიშ მინეზოტა 13 ექსტრას მოსავალი შესაბამისად

უდრიდა: 211; 81,3 და 56,4 ცენტნერს. აჯამეთის თეთრი ჩამორჩა მინეზოტა 13 ექსტრას ჰექტარზე ტაროების მოსავლით — 27,3 ცენტნერით და მშრალი ნივთიერების — 3,4 ცენტნერით. ხოლო ჰიბრად კრასნოდარულ 4 მშრალი ნივთიერების — 7,1 ცენტნერით.

აჯამეთის თეთრი ყუათიანობით რომ არც ჩამორჩებოდას ჰიბრიდს კრასნოდარულ 4 და ჯიშს მინეზოტა 13 ექსტრას, მისი თესვა მაინც არ შეიძლება გამართლებულ იქნას. რადგან მისი 100 ცენტნერით უფრო მეტი საერთო მწვანე მასის აღება, გადაზიდვა, დამუშავება და დასილოსება დამატებით ხარჯებს მოითხოვს და აძვირებს პროდუქციის ღირებულებას. ამის გამო, სიმინდის ისეთი საგვიანო ჯიშების, როგორც არის აჯამეთის თეთრი და ადგილობრივი თეთრი ნახევრადკბილა, ნაწვერალზე თესვა არც სიღნაღის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთის მომსახურების ზონაში არის დასაშვები.

პროფ. შ. ჭანიშვილს თელავის რაიონის მდ. ალაზნის მარცხენა მხარის დაბლობში და გურჯაანის და თელავის რაიონების მარჯვენა მხარის დაბლობის და მთისპირა ზოლში სანაწვერალო კულტურების თესვა დასაშვებად მიაჩნია მხოლოდ მორწყვის პირობებში, რადგან აქ თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება შედარებით გვიან ხდება და ხანგრძლივი გვალვები იცის, მიუხედავად ამისა. თელავის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე სოფელ გულგულაში. ზღვის დონიდან 562 მეტრის სიმაღლეზე, სიმინდის ჯიშების გამოცდა ჩატარებული იყო საშემოდგომო ხორბლის ნაწვერალზე ურწყავ პირობებში. სადაც გამოცდაში შეტანილი იყო გვალვის გამძლე ახალი ჰიბრიდი ვირ 42. აქ ხორბლის მოსავლის აღება ივლისის პირველ დეკადაში იწყება და უმეტესად ივლისის მეორე ნახევარში მთავრდება. ეს პერიოდი ჰაერის მაღალი ტემპერატურით და ნალექების უმნიშვნელო რაოდენობით ხასიათდება. ნაწვერალზე ნათესი სიმინდის აღმონაცენის მიღება თითქმის მთლიანად ნიადაგში ტენის რაოდენობაზეა დამოკიდებული.

1956 წელს საშემოდგომო ხორბლის მოსავალი აღებული იყო 10 ივლისს, ძლიერი გვალვის პირობებში. ივლისში (13-დან 31-მდე) მოსავლის აღებისა და ნაკვეთის გაწმენდის შემდეგ ნალექები არ მოსულა, თუ არ ჩავთვლით 7,1 მმ. რომელიც სამ დღეზე განაწილდა. სიმინდი დაითესა 24 ივლისს მშრალ ნიადაგში. გვალვა აგვისტოშიც გაგრძელდა და 24 რიცხვში მოსულმა ნალექებმა — 28 მმ რაოდენობით, მაშინ როდესაც ჰაერის საშუალო ტემპერატურა 23,8° უდრიდა, ხოლო მაქსიმალური 35° აღწევდა, ვერ უზარუნველყო თესლის

აღმოცენება. სრული აღმონაცენი მიღებული იყო მხოლოდ 9 სექტემბერს, მას შემდეგ, რაც 4 სექტემბერს 59 მმ ნალექი მოვიდა. ამგვარად, თესვიდან (რაც დაგვიანდა) სრული აღმონაცენის მიღებამდე 48 დღე გავიდა. მცენარეთა ზრდა-განვითარებისათვის არც შემდეგ იყო ხელსაყრელი პირობები. სექტემბრის მესამე დეკადაში ჰაერის ტემპერატურა მკვეთრად დაეცა. ის (საშუალო-დღელამური ტემპერატურა (უდრიდა: 24 სექტემბერს 10,0°, 25-ში—10,6, 26-ში—6,6° და 27-ში — 9,1°, საშუალო დეკადურმა კი 11,4° შეადგინა. ცხადია, ასეთ პირობებში შეუძლებელი გახდა არა თუ მარცვლის, არამედ მწვანე მასის საშუალო მოსავლის მიღებაც კი. გვალვების გამო 1957 და 1960 წლებში სრული აღმონაცენი მიღებული იყო დათესვიდან მე-13 დღეს, ხოლო 1961 წელს კი, როდესაც თესვის დღესვე 27 ივლისს მოვიდა 30 მმ ნალექი — მე-6 დღეს. გარდა იმისა, რომ აქ თავთავიანი კულტურები შედარებით გვიან ათავისუფლებენ მიწის დონიდან და თესვის პერიოდი უმეტესად გვალვიანია, ოქტომბრის პირველი დეკადიდან ჰაერის ტემპერატურა იმდენად ეცემა, რომ მცენარეები სწყვეტენ ვეგეტაციას.

ჰაერის საშუალო დეკადური ტემპერატურა უდრიდა: 1956 წლის ოქტომბრის მეორე დეკადაში 9,6°, მესამეში — 9,4°, 1957 წელს შესაბამისად 8,8° და 12,9°; 1958 წელს — 12,4° და 9,8° და 1959 წელს კი პირველ დეკადაში 10,3°, მეორეში — 8,8° და მესამეში — 11,3°. თუ აღმოცენების საშუალო თარიღად 20 ივლისს ავიღებთ, რაც იზვიათია, ხოლო ვეგეტაციის დასასრულად კი 15 ოქტომბერს, სავეგეტაციო პერიოდი (აღმოცენებიდან) გამოდის მხოლოდ 87 დღე. თელავის მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემებით ამ პერიოდში აქტიურ ტემპერატურათა ჯამი (10°-ზე ზევით) 1466—1726 ფარგლებში მერყეობს. ხოლო საშუალოდ 6 წლის განმავლობაში კი (1956—1961 წწ.) 1673° უდრის. ნალექების რაოდენობა თელავში ამ პერიოდში 187 მმ შეადგენს, ხოლო ლაგოდეხში — 333 მმ. ნაწვერალზე ნათესი სიმინდი ურწყავ პირობებში არც ერთხელ არ მისულა მარცვლის სრულ სიმწიფემდე, 1958 წელს მხოლოდ მინეზოტა 13 ექსტრამ და ჰიბრიდმა ვირ 42 შიადწია რძისებრ სიმწიფეს, ხოლო დანარჩენ 5 წელს კი (6 წლიდან) აღნიშნული იყო ქეჩიჩოებისა ან ტაროს ყვავილობა.

მწვანე მასის მოსავალი მეტად მცირეა. ის ჯიშების მიხედვით საშუალოდ ჰექტარზე 76—101 ცენტნერის ფარგლებში მერყეობს, ხოლო ცალკე წლების მიხედვით 23—30-დან 136—205 ცენტნერამ-

დე. როგორც მწვანე მასის, აგრეთვე მშრალი ნივთიერებისა და საკვები ერთეულების მოსავლიანობის მხრივ პირველ ადგილს საკვიანო ჭიში ქართული კრუგი იკავებს, ხოლო ჰიბრიდი კრასნოდარული 4 ჩამორჩება ქართულ კრუგს მწვანე მასის მოსავლიანობით ჰექტარზე 9 ცენტნერით, მშრალი ნივთიერებისა — 3,1 და საკვები ერთეულების — 1,6 ცენტნერით. აქ შედარებით უფრო მოკლე ვეგეტაციის ჭიში მინეზოტა 13 ექსტრა და ჰიბრიდი ვირ 42 მწვანე მასის მოსავლიანობით ჩამორჩნენ საკვიანო ჭიშს ქართულ კრუგს საშუალოდ ჰექტარზე 25 ცენტნერით. ამ პირობებში როგორც საკვიანო, ისე საშუალო ვეგეტაციის ჭიშები ასწრებენ მხოლოდ მწვანე მასის განვითარებას და ამიტომ თელავის ჭიშთაგამოცდის ნაკვეთის მომსახურების ზონაში, ურწყავ პირობებში, ნაწვერალზე ნათესი სიმინდის მწვანე მასის მოსავლის მისაღებად უპირატესობა საკვიანო ჭიშს ქართულ კრუგს უნდა მიენიჭოს. სიმინდი აქ უნდა დაითესოს პირველ რიგში საშემოდგომო ქერის ნაწვერალზე, რომელიც მინდვრებს საშემოდგომო ხორბალთან შედარებით 10—12 დღით უფრო ადრე ათავისუფლებს და სადაც შეიძლება მორწყვა თესვისთანავე.

სამგორის ველის სარწყავ პირობებში საგარეჯოს ჭიშთაგამოცდის ნაკვეთზე სოფელ სართიჭალაში ზღვის დონიდან 725 მეტრის სიმაღლეზე, სიმინდი ითესებოდა საშემოდგომო ხორბლის ნაწვერალზე, უმეტესად ივლისის მეორე-მესამე დეკადაში. აქ საშემოდგომო ხორბალი სრული სიმწიფის ფაზამდე აღწევს საშუალოდ 15-დან 29 ივლისამდე. ხსენებულ ნაკვეთზე ხორბლის ნაწვერალზე სიმინდი დაითესა 1958 წლის 19 ივლისს, 1960 წლის 24 ივლისს, 1957 წლის 31 ივლისს, ხოლო 1961 წელს 9 ივლისს. როდესაც ძლიერი გვალვების შედეგად თავთავიანი კულტურებიდან მინდვრები შედარებით ადრე გათავისუფლდა. დანარჩენ წლებში კი — აგვისტოს პირველ რიცხვებში. მარცვლის მოსავალი არც ერთ წელს არ ყოფილა მიღებული. მწვანე მასის მოსავალი კი მხოლოდ 3 წელს იყო მიღებული, ისიც მეტად მცირე რაოდენობით — 20—26 ცენტნერი ჰექტარზე. ნაწვერალზე ნათესი სიმინდის მცენარეთა ზრდა-განვითარება წყდება უმეტესად ოქტომბრის მეორე დეკადის დასაწყისისათვის. ჰაერის ტემპერატურა საშუალოდ ოქტომბრის მეორე დეკადაში 1956 წელს უდრიდა 9,6°, 1957 წელს — 7,3°, 1959 წელს — 8,6° და 1961 წელს — 11,8°, ხოლო 1958 და 1960 წლებში შესაბამისად 13,0° და 14,8°, თუ აღმოცენების ვადად ავიღებთ საშუალოდ პირველ აგვისტოს, ხოლო ვეგეტაციის დასასრულად კი 15 ოქტომ-

ბერს, სავეგეტაციო პერიოდი 77 დღეს შეადგენს და აქტიურ ტემპერატურათა ჯამი ამ პერიოდში საშუალოდ 6 წლის განმავლობაში (1956—1961 წწ.) 1441° უდრის (1271—1610 ფარგლებში მერყეობს), ხოლო ნალექების რაოდენობა კი — 101 მმ (70—149 მმ). ცხადია, სანაწევრალო სიმინდის თესვა სამგორის ველზე, თუკი აგვისტოს დაწყებამდე არ მოესწრება სრული აღმონაცენის მიღება, არ შეიძლება მიზანშეწონილად ჩაითვალოს. აქ ჯიშთაგამოცდის არსებული მასალების საფუძველზე ლაპარაკი რომელიმე ჯიშის ან ჰიბრიდის უპირატესობაზე არ შეიძლება.

ქვემო ქართლის დაბლობ ზოლში საშემოდგომო ხორბლის ნაწვერალზე სიმინდის ჯიშების გამოცდა ჩატარებული იყო მარნეულის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე, სოფელ ქურთლიარში ილიჩის სახელობის კოლმეურნეობის ტერიტორიაზე, ზღვის დონიდან 350 მ სიმაღლეზე. აქ საშემოდგომო ხორბლის მოსავლის აღება უმეტესად წარმოებს ივლისის პირველ ნახევარში. სიმინდი ნაწვერალზე დათესილი იყო ივლისის მეორე ნახევარში (16—25-მდე), გარდა 1959 და 1960 წლებისა, როდესაც თესვა ჩატარდა შესაბამისად 12 და 7 ივლისს. მოსავლის აღება ხდებოდა ოქტომბრის მეორე-მესამე დეკადაში (15—26 ოქტომბერს), გარდა 1956 წლისა, როდესაც ასეთი აღებულ იქნა 5 ოქტომბერს. მარცვლის მოსავალი არც ერთ წელს არ ყოფილა მიღებული. რძისებრი სიმწიფის ფაზამდე მიაღწია გამოცდაში მონაწილე ყველა ჯიშმა და ჰიბრიდმა, გარდა ქართული კრუგისა, მხოლოდ 1960 და 1961 წელს, დანარჩენ წლებში კი აღნიშნული იყო ტაროს სრული ყვავილობა. მწვანე მასის მოსავალი საშუალოდ 6 წლის განმავლობაში, ჯიშების მიხედვით, პექტარზე 92—123 ცენტნერის ფარგლებში მერყეობს. პირველ აღვილს ჯიში ქართული კრუგი იკავებს როგორც მწვანე მასის (123 ც/ჰა), ისე მშრალი ნივთიერებისა და საკვები ერთეულების მხრივ (18,1).

მარნეულის მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემების თანახმად, აქტიურ ტემპერატურათა ჯამი პირველი ივლისიდან 15 ოქტომბრამდე საშუალოდ 6 წლის განმავლობაში (1956—1961 წწ.) 2207°, ხოლო 10 ივლისიდან კი — 1979° უდრის. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ზაფხულში ნათესი სიმინდის მცენარეთა ზრდა-განვითარების პირველი ნახევარი მაღალი ტემპერატურის პირობებში დაჩქარებით მიმდინარეობს, აქ მარცვლის მოსავლის მიღება შესაძლებელია საადრეო და საშუალო ვეგეტაციის მქონე ჯიშებისაგან. ამას ნათლად ადასტურებს პროფ. შ. ჭანიშვილის მიერ გარდაბანში მემინდვრეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ტერიტორიაზე

1942—1948 წლებში ჩატარებული ცდები. მინეზოტა 13 ექსტრას მარცვლის მოსავალი მიღებული იყო 5 წლიდან 4 წლის განმავლობაში 4.65—11,9 ცენტნერამდე, მაშინ, როდესაც მოსავალი აღებული იყო 29—30 ოქტომბერს და 15 ნოემბერს. საგვიანო ჯიშმა ქართულმა კრუგმა 1942 და 1946 წლებში სრული სიმწიფის ფაზამდე ვერ მიაღწია და მისი მწვანე მასის მოსავალი აღებული იყო შესაბამისად 26 ოქტომბერს და 2 ნოემბერს. პროფ. ი.ლომოუჭისა და დოც. ა. ჯაფარიძის მიერ გარდაბანში 1943—1944 წწ. ჩატარებული ცდების შედეგად მინეზოტა 13 მარცვლის მოსავალი მიღებული იყო ჰექტარზე 5 ივლისში ნათესიდან — 12 ცენტნერი, ხოლო 25 ივლისში ნათესიდან — 5,2 ცენტნერი; საგვიანო ჯიშ ქართული კრუგიდან მიღებულმა მარცვალმა კი შეადგინა შესაბამისად 11,3 და 1.7 ცენტნერი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებულ ზონაში ხშირად საშუალოდეკადური ტემპერატურა ოქტომბრის მეორე დეკადაში 10°-ზე უფრო ნაკლებია — 1956 წელს ის (საშუალოდეკადური) უდრიდა 9,4°, 1957 წელს — 9,9° და 1959 წელს — 8,1°, ხოლო 1958 წელს — 12,8°, 1960 წელს 14,3 და 1961 წელს—12,2°. 1956 წლის სექტემბრის 26-დან 5 დღის განმავლობაში ჰაერის საშუალო ტემპერატურამ 10,3° შეადგინა, ოქტომბრის 16—20 რიცხვამდე კი— 6,5°. 1959 წელს ოქტომბრის პირველ დეკადაში აცივდა; საშუალოდეკადური ტემპერატურა უდრიდა 10,3°, 4 ოქტომბერს მინიმალური ტემპერატურა უდრიდა — 0,1°, 15 ოქტომბერს — 3,6°, 16-ს — 3,5° და 17-ს — 2,4°. ცხადია, ასეთ პირობებში სიმინდის მცენარეთა ზრდა-განვითარება წყდება. ამგვარად, ქვემო ქართლის დაბლობი ზონის სარწყავ პირობებში ისე როგორც სხვა ზონებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ნაწვერალზე, პირველ რიგში, ქერის ნაწვერალზე დაუგვიანებლივ თესვას, თესვისთანავე მორწყვას და, ცხადია, აგროკომპლექსის მთლიანად დაცვას; ხოლო ჯიშებიდან კი ჯერჯერობით გამოცდის მასალების საფუძველზე უპირატესობა უნდა მიენიჭოს ქართულ კრუგს.

საშემოდგომო ხორბლის ნაწვერალზე სიმინდის ჯიშები და ჰიბრიდები აგრეთვე გამოცდილი იყო შიდა ქართლის გორის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე, ზღვის დონიდან 600 მეტრის სიმაღლეზე, და კასპის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე ზღვის დონიდან 566 მეტრის სიმაღლეზე, სარწყავ პირობებში. ამ ზონაში საშემოდგომო ხორბლის სრული სიმწიფის ვადა ტირიფონის ველზე მერყეობს უმეტესად 18—22 ივლისამდე, ხოლო კასპში — მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირ-

ზე 12—17 ივლისამდე. მოსავლის აღებისა და ნაკვეთის გაწმენდის შემდეგ ნაწვერალზე სიმინდის თესვა შესაძლებელია ივლისის მეორე დეკადის ბოლოს და უმეტესად მესამე დეკადაში.

შემოდგომაზე სიმინდის მცენარეთა ვეგეტაცია გაჭიანურებულია და შედარებით ადრე წყდება. ხსენებულ ზონაში სანაწვერალო სიმინდის ყვავილობა-მომწიფების პერიოდში ჰაერის ტემპერატურის საშუალოდეკადური მონაცემები წარმოდგენილია მე-3 ცხრილში.

როგორც მონაცემებიდან ჩანს, სიმინდის მცენარეები ყვავილობა-დამწიფების პერიოდში საჭირო სითბოს რაოდენობით გორის და კასპის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთებზე და მათი მომსახურების ზონაში არ არიან საკმაოდ უზრუნველყოფილი, ჰაერის საშუალო ტემპერატურა 15°-ზე ნაკლებია, მაშინ, როდესაც ასეთი ტემპერატურის პირობებში, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სიმინდის მომწიფება ძალიან იგვიანებს და 12° დროს ტაროები სრულიად არ მწიფდება; ოპტიმალურ სითბოდ კი მომწიფების პერიოდში 22—23° ითვლება. აქტიური ტემპერატურა ზოგჯერ ოქტომბრის პირველ და მეორე დეკადაშიც არის, მაგრამ ის უმეტესად არ შეიძლება ეფექტურ ტემპერატურად ჩაითვალოს. მაგალითად, 1957 წლის ოქტომბრის მეორე დეკადაში მუხრან-საგურამოს ველზე ჰაერის საშუალო (დეკადური) ტემპერატურა 10,6° უდრიდა, რაც აქტიურ ტემპერატურად ითვლება, მაგრამ ამ დეკადაში, მუხრანის მეტსადგურის მონაცემებით ტემპერატურა ნიადაგის ზედაპირზე უდრიდა 11 რიცხვში 2,3°, 12-ში — 1,2°, 13-ში — 2,0°, 14-ში — 3,0°, 15-ში — 2,6° და 16-ში — 0,2°. ასეთ პირობებში, ცხადია, მცენარეთა ზრდა-განვითარება შეწყდა. 1956 წელს ადრე აცივდა; სექტემბრის მესამე დეკადაში ჰაერის საშუალო ტემპერატურა უდრიდა გორში 11,0 და კასპში 10,5°, მაგრამ ჰაერის მინიმალური ტემპერატურა იყო კასპში 26 რიცხვში 0,8°, 27-ში — 0,4° და 28-ში — 1,3°, ხოლო გორში შესაბამისად — 3,6°, 3,0° და 4,2°. აქ, მიუხედავად იმისა, რომ საერთოდ აქტიურ ტემპერატურათა ჯამი სანაწვერალო სიმინდისათვის არ არის საკმარისი, სავსებით გამართლებულად ითვლება მეცნიერთა დასკვნა იმის შესახებ, რომ ხშირად ირღვევა პირდაპირი დამოკიდებულება მცენარეთა ზრდა-განვითარებასა და აქტიურ ტემპერატურათა ჯამს შორის, რადგან ჰაერის საშუალო დღეღამური ტემპერატურის გამოანგარიშების დროს არ არის გამოვლინებული ის არააქტიური დაბალი ტემ-

პერატურა, რომელიც აჩერებს მცენარეთა ზრდას და აგრეთვე მალ-
ლი მავნე ტემპერატურა. არ ჩანს მკაცრი ვვალეებით (ნიადაგის სიმ-
შრალით და ქარშოშინათი) გამოწვეული მცენარეთა ზრდის შეჩე-
რება და სხვა (სელიანინოვი, მაქსიმოვი, ლისენკო, კელენჯერიძე). ამ
ზონაში სანაწვერალო სიმინდის ვეგეტაციის დასასრულად უმეტე-
სად ოქტომბრის პირველი დეკადა ითვლება.

სიმინდის სრული აღმონაცენის თარიღად თუ 20 ივლისს ავი-
ლებთ, ხოლო ვეგეტაციის დასასრულად 15 ოქტომბერს, სავეგეტა-
ციო პერიოდის ხანგრძლიობა (აღმოცენებიდან) 87 დღეს შეადგენს,
ხოლო აქტიურ ტემპერატურათა ჯამი საშუალოდ 6 წლის განმავლო-
ბაში (1956—1961) გორის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე 1648° უდრის,
კასპის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე — 1611°; ხოლო პირველ აგ-
ვისტოდან 15 ოქტომბრამდე კი შესაბამისად — 1376° და 1356°. მო-
საველის აღება მცენარეთა ვეგეტაციის შეწყვეტისა და ხშირად წა-
ყინვების შემდეგ წარმოებდა. წაყინვებს ადგილი ჰქონდა 1956 წლის
18 ოქტომბერს ($-1,4^{\circ}$ — $-3,2^{\circ}$), 1957 წლის 13—14 ოქტომბერს
($-1,5^{\circ}$ — $-2,0^{\circ}$), 1959 წლის 9 ოქტომბერს ($-1,6^{\circ}$ — $-2,6^{\circ}$) და ა. შ. ჯიშ-
თაგამოცდის ნაკვეთებზე მოსაველის აღების ვადები წლების მიხედ-
ვით წარმოდგენილია მე-4 ცხრილში.

გორის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე 1959 წელს მოსავალი აღე-
ბული იყო ნაადრევად, 26 სექტემბერს — ქეჩიჩოების ყვავილობის
ფაზაში, რადგან ჰაერის ტემპერატურა მეტად დაეცა; ის ნიადაგის
ზედაპირზე 23 სექტემბერს $4,5^{\circ}$, 24 სექტემბერს $1,0^{\circ}$ და 25 სექტემ-
ბერს $2,3^{\circ}$ უდრიდა. ჯიშთაგამოცდის ნაკვეთის სპეციალისტთა მიერ
აღნიშნული იყო წაყინვა; ფოთლების ბოლოები გაიყინა და იმისა-
თვის, რომ მწვანე მასა არ დაკარგულიყო, იძულებული იყვნენ ვადა-
ზე აღრე აეღოთ მოსავალი. სხვა წლებში კი მოსაველის აღება
წარმოებდა, ძირითადად, ოქტომბრის მეორე ნახევარში.

მიუხედავად იმისა, რომ შემოდგომაზე სანაწვერალო სიმინდის
მოსაველის აღება არ ყოფილა დაჩქარებული, მცენარეების განვითა-
რებამ რძისებრი სიმწიფის ფაზამდეც კი ვერ მიაღწია, გარდა ერთი
შემთხვევისა, რასაც ადგილი ჰქონდა კასპის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთ-
ზე 1957 წელს. აქ რძისებრი სიმწიფემდე მხოლოდ საადრეო ჰიბრიდ-
მა ვირ 25 მიაღწია, ხოლო სხვა ჯიშებზე და ჰიბრიდებზე აღნიშნუ-
ლი იყო რძისებრი სიმწიფის დაწყების ფაზა. უმეტესად კი მცენარე-
ები ქეჩიჩოების გამოღებისა და ზოგჯერ ყვავილობის ფაზამდე აღ-
წევდნენ.

დოკ. ნ. ი. ჩხენკელს თავის შრომაში „სიმინდის ორი მოსავლის მიღება აღმოსავლეთ საქართველოში“ (სას.-სამ. ინსტიტუტის შრომები, ტ. X—XLVI—1957 წ.) აღნიშნული აქვს, რომ მუხრანის სასწავლო-საკვლევ მეურნეობაში 15 ივლისს დათესილი სიმინდის ჯიშის მინეზოტა 13 ექსტრას მცენარეებმა 1955 წელს 15 ოქტომბრისათვის მხოლოდ რძისებრი სიმწიფის ფაზის დასაწყისამდე მიაღწია, 1956 წელს 16 ივლისს ნათესში 15 ოქტომბრისათვის რძისებრი სიმწიფის ფაზაც კი არ იყო აღნიშნული, ხოლო საგვიანო ჯიშის ქართული კრუგის მცენარეებს ამ ვადისათვის ტაროც კი არ ჰქონდა გამოტანილი, ქეჩიჩოების გამოტანა აღნიშნული აქვს 4 ოქტომბერს. ცხადია, ასეთ პირობებში სიმინდის მარცვლის მოსავლის მიღება შეუძლებელია ისეთი ჯიშიდანაც კი, როგორცაა მინეზოტა 13 ექსტრა.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ კასპის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე (სოფელ ქვემოგომში) მცენარეთა ზრდა-განვითარებისათვის უკეთესი პირობები აღმოჩნდა, ვიდრე ამას ადგილი ჰქონდა გორის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე (ტირიფონის ველზე სოფელ ხელთუბანში).

გორის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე მცენარეთა სიმაღლე წლების მიხედვით 60—97 სმ ფარგლებში მერყეობდა, მათ შორის ყველაზე საადრეო ჰიბრიდის ვირ 25—60—86 სმ და საგვიანო ჯიშის ქართული კრუგისა — 71—97 სმ, ხოლო კასპის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე 85—170 სმ, მათ შორის საადრეო ჰიბრიდების ვირ 25—85—155 სმ და ქართული კრუგის 88—170 სმ ფარგლებში. გორის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე მცენარეები ზოგჯერ ქეჩიჩოების გამოღების ფაზამდე ვერ ვითარდებოდნენ, მაშინ, როდესაც კასპის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე ტაროს ყვავილობამდეც კი აღწევდნენ.

განსხვავებაა მწვანე მასის მოსავალშიც. გორის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე მწვანე მასის მოსავალი საშუალოდ 6 წლის განმავლობაში ჰექტარზე 76—80 ცენტნერის, ხოლო კასპის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე 108—117 ცენტნერის ფარგლებში მერყეობს. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ორივე ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე მწვანე მასის მოსავლის მიხედვით ჯიშებს შორის არ არის დიდი განსხვავება.

საგვიანო ჯიშები ქართული კრუგი და სტერლინგი მწვანე მასის მოსავალს შედარებით უფრო მეტი რაოდენობით იძლევიან, მაგრამ მშრალი ნივთიერებისა და საკვები ერთეულების მხრივ, ისინი თითქმის უთანაბრდებიან უფრო მოკლე ვეგეტაციის პერიოდის მქონე

ჯიშებს და ჰიბრიდებს, ან ჩამორჩებიან მათ მცირე რაოდენობით, რაც არ არის მხედველობაში მისაღები.

საადრეო ჰიბრიდი ვირ 25, რომელიც თითქმის ერთი თვით ადრე შემოდის, ვიდრე ჯიში ქართული კრუგი, ჩამორჩა უკანასკნელს (საშუალოდ 5 წლის განმავლობაში) მწვანე მასის მოსავლით ჰექტარზე 20 ცენტნერით, მშრალი ნივთიერების მოსავლით — 3,1 ცენტნერით და საკვები ერთეულებით — 2,1 ცენტნერით. ის აგრეთვე ჩამორჩა (იმავე წლებში) ჯიშ სტერლინგს შესაბამისად 16, 0,9 და 0,7 ცენტნერით, ხოლო ჰიბრიდ ვირ 42—11, 3,7 და 2,9 ცენტნერით. ამიტომ ამ ცდების შედეგები არავითარ საფუძველს არ იძლევა იმისათვის, რომ უპირატესობა საადრეო ჯიშებსა და ჰიბრიდებს მიეცეთ.

გორის რაიონის სოფელ სკრის კოლმეურნეობაში პროფ. ი. ლომოურის და პ. გვარამაძის მიერ 1940 წლის 13 ივლისს ნათესი სიმინდის ოთხი სხვადასხვა ვეგეტაციის მქონე ჯიშებიდან ვერც ერთმა ვერ მიაღწია სრულ სიმწიფეს, მათ შორის ისეთმა საადრეო ჯიშმაც კი, როგორცაა ჩრდილოდაკოტური. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საშემოდგომო ხორბალი სრულ სიმწიფეში უმეტესად ივლისის მეორე ნახევარში შედის და სანაწვერალო სიმინდის 13—20 ივლისამდე თესვა მხოლოდ იშვიათ წლებში და ისიც მცირე ფართობზე თუ მოხერხდება, მაგრამ როგორც აღნიშნული ცდითაც დასტურდება, მარცვლის სრულ სიმწიფემდე ყველაზე საადრეო ჯიშებიც კი ვერ აღწევენ.

შიდა ქართლის რაიონების დაბლობ სარწყავ ზოლში ხორბლის ნაწვერალზე ივლისის მეორე ნახევარში ნათესი სიმინდიდან მოსავლის მიღება სრული სიმწიფის ან ჰყინტი ტაროს ფაზაში არ არის გარანტირებული. აქ, სიმინდი პირველ რიგში უნდა დაითესოს ქერის ნაწვერალზე, არა უგვიანეს ივლისის პირველი რიცხვებისა, დაუყოვნებლივ მოირწყოს და სათანადოდ დამუშავდეს.

პროფ. შ. ჰანიშვილი გორის, ქარელის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რაიონების დაბლობი ნაწილისათვის (ზღვის დონიდან 600—800 მეტრამდე) სანაწვერალო კულტურებიდან ურჩევს უმეტესად სიდერატებისა და საკვები კულტურების თესვას. ხოლო მცირე ფართობზე დასაშვებად მიაჩნია მოკლე ვეგეტაციის მქონე სასურსათო კულტურების (საადრეო კარტოფილის, ლობიოსა და ფეტვის) ნაწვერალზე თესვა.

ლაგოდების ჯიშთაგამოცდის ნაკვეთის მომსახურების ზონის რაიონების კოლმეურნეობებში სანაწვერალო სიმინდის მარცვლის მოსავალს საკმაოდ დიდი რაოდენობით ღებულობენ. 1955 წელს ყვარლის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში ნაწვერალზე ნათესი სიმინდის ჯიშის მინეზოტა 13 ექსტრას 60 ჰექტარი ფართობის საშუალოდ თითოეულ ჰექტარზე 21,8 ცენტნერი მშრალი მარცვლის მოსავალი იყო მიღებული, ამავე რაიონის კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში“ — 36, 6 ცენტნერი; სოფელ კალინოვკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში — 25,2 ცენტნერი, პირველმა ბრიგადამ კი 14,4 ჰექტარი ფართობის თითოეულ ჰექტარზე 29,4 ცენტნერი მარცვლის მოსავალი მიიღო; სოფელ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძში“ 1954 წელს 50 ჰექტარიდან საშუალოდ ჰექტარზე 22,8 ცენტნერი და 1955 წელს 150 ჰექტარიდან — 31,8 ცენტნერი მარცვლის მოსავალი იყო მიღებული, ხოლო 1959 წელს 300 ჰექტარიდან 30 ჰექტარზე სრული სიმწიფის ფაზაში საშუალოდ ჰექტარზე მიღებული იყო 23 ცენტნერი მარცვალი, 220 ჰექტარზე — კუინტი ტაროს სტადიაში სასილოსედ, ხოლო 50 ჰექტარზე ნათესი გამოყენებულ იქნა მწვანე საკვებად; სოფელ ცოდნის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში 1955 წელს 39 ჰექტარი ფართობის თითოეულ ჰექტარზე 52 ცენტნერი მშრალი მარცვლის მოსავალი იყო მიღებული და სხვა. 1955 წელს ყოფ. ლაგოდების რაიონის კოლმეურნეობებში სანაწვერალო სიმინდი დათესილი იყო 4116 ჰექტარზე და ყვარლის რაიონში — 2005 ჰექტარზე.

სიღნაღის რაიონის სოფელ ძველი ანაგის კოლმეურნეობაში 1959 წელს 178 ჰექტარი სანაწვერალო სიმინდის ნათესებიდან მშრალ მარცვალზე გადაყვანით საშუალოდ ჰექტარზე 12,4 ცენტნერია მიღებული; გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში 50 ჰექტარიდან მარცვლის მოსავალმა საშუალოდ ჰექტარზე 24,6 ცენტნერი შეადგინა, ხოლო ამავე კოლმეურნეობის ბრიგადამ (ბრიგადირი დ. მღებრიშვილი) 30 ჰექტარ ფართობის თითოეულ ჰექტარზე 30 ცენტნერი მშრალი მარცვალი მიიღო.

ვ. მირიანაშვილი და ა. ზაქარიაძე თავის შრომაში „მინდვრის დედოფალი“ სავსებით სამართლიანად მიუთითებენ სანაწვერალო სიმინდისადმი იმ უყურადღებობაზე, რასაც ჯერ კიდევ ადგილი აქვს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. 1960 წელს რეს-

პუბლიკაში სანაწვერალო სიმინდის 35 ათასი ჰექტარი ნათესიდან მარცვლის მოსავალი აღებული იყო მხოლოდ 485 ჰექტარიდან და თითოეულ ჰექტარზე მიღებული იყო 19,4 ცენტნერი; ჭყინტი ტაროს სტადიაში მოსავალი აღებული იყო 852 ჰექტარიდან, მწვანე მასა — 18 ათას ჰექტარიდან და საშუალოდ ჰექტარზე მიღებული იყო მხოლოდ 88 ცენტნერი მწვანე მასა, ხოლო დანარჩენ ფართობზე ნათესი გამოყენებულ იქნა გასაძოვებლად.

სანაწვერალო სიმინდს თუ 1953—1954 წლებში რესპუბლიკაში მეტად უმნიშვნელო ფართობი, რამოდენიმე ასეული ჰექტარი ეკავა. 1956 წელს დათესილი იყო 24,2 ათას ჰექტარზე, 1957 წელს — 26,3 ათას, 1958—1959 წწ. — 31,9 ათას ჰექტარზე, 1960 წელს — 35,0 ათას ჰექტარს მიაღწია, ხოლო 1961 წელს — გვალვიანი ზაფხულის პირობებში დათესილი იყო 32,6 ათას ჰექტარზე.

მაღალმთიან ზონაში სიმინდის ჯიშთაგამოცდის შესახებ

სიმინდის ფართოდ გავრცელებასთან დაკავშირებით სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშთაგამოცდის სახელმწიფო კომისიის საქართველოს ინსპექტურის წინაშე დაისვა საკითხი, გამონახულიყო ჯიშები თეთრი წყაროს (ყოფილ წალკის) და ახალქალაქის რაიონების მაღალმთიანი ზონისათვის. ამ რაიონებში მოკლე სავეგეტაციო პერიოდისა და მკაცრი კლიმატური პირობების გამო, წინათ სიმინდი, გარდა იშვიათი გამონაკლისისა, როდესაც მას ერთეული ჰექტარები ეკავა, არ ითესებოდა.

სიმინდის ჯიშები და ჰიბრიდებიც გამოიცადა ახალქალაქის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე სოფელ დილისკას კოლმეურნეობაში ჭავახეთის ზეგანზე, ზღვის დონიდან 1725 მეტრ სიმაღლეზე 1954 წლიდან და წალკის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე სოფელ ჭინისის კოლმეურნეობაში, ზღვის დონიდან 1670 მეტრ სიმაღლეზე 1955 წლიდან. გამოცდაში შეტანილი იყო უმეტესად ყველაზე უფრო საადრეო, საშუალოსაადრეო და საშუალოსაგვიანო ჯიშები და ჰიბრიდები. გამოცდები ტარდებოდა როგორც სრული სიმწიკის მქონე მარცვლის, ისე სასილოსე და მწვანე მასის მოსავლის მიზნად.

ახალქალაქის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე 6 წლის განმავლობაში (1954—1959 წწ.) მარცვლის მოსავალი მიღებული იყო მხოლოდ ორ წელს: 1955 წელს საადრეო ჯიში ჩრდილოდაკოტურიდან ჰექ-

ტარზე გადაანგარიშებით — 7,8 ცენტნერი, ციმბირის 3-დან — 11,3 ცენტნერი, ადგილობრივი თეთრი კაუოვანიდან (ახალციხის რაიონი) — 7,0 ცენტნერი და 1957 წელს ჩრდილოდაკოტურიდან — 26,4 ცენტნერი და ჰიბრიდი ბუკოვინის 2-დან — 23,7 ცენტნერი. გამოცდაში მონაწილე დანარჩენი ჯიშებიდან ვერც ერთმა ვერ მოასწრო შემოდგომაზე ყინვების დაწყებამდე სრული ან ჰყინტი ტაროს სიმწიფის სტადიამდე მიღწევა. წალკის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე 7 წლის განმავლობაში (1955—1961) მარცვლის მოსავალი მიღებული იყო 1957 წელს მხოლოდ ერთი საადრეო ჰიბრიდი ბუკოვინის 2-დან ჰექტარზე გადაანგარიშებით 10,4 ცენტნერი. უნდა აღინიშნოს, რომ მარცვლის მოსავალი არ იყო სრულფასოვანი, აღებული იყო შემოდგომაზე ყინვების დაწყებისთანავე სანთლისებრ სიმწიფეში — სრული სიმწიფის დასაწყისში, მარცვალს ჰქონდა დიდი ტენიანობა (გაყინვამდე) და იყო ჯიშისათვის დამახასიათებელი სიმსხოზე უფრო წვრილი.

სასილოსედ აღებულ მწვანე მასის მოსავალს, უმეტესად ჰყინტი ტაროს ფაზაში, ახალქალაქის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე, თუ არ ჩავთვლით ორ წელს (1954 და 1956), როდესაც ნაადრევი, მოულოდნელი ყინვებისაგან (სექტემბერში) მოსავალი მთლიანად დაიღუპა, საშუალოდ ოთხი წლის განმავლობაში ჰექტარზე გადაანგარიშებით მიღებულია: ადგილობრივი თეთრი კაუოვანასაგან — 156 ცენტნერი, მინეზოტა 13 ექსტრასაგან — 166 ცენტნერი, ჰიბრიდ კოლექტიურისაგან — 157 ცენტნერი და სტერლინგისაგან — 188 ცენტნერი, ხოლო თუ მთელი მიღებული მოსავლის ჯამს გავყოფთ 6-ზე (ანუ გამოცდის წელთა რაოდენობაზე), საშუალო მოსავალი ჰექტარზე შეადგენს შესაბამისად 104, 126, 111 და 105 ცენტნერს. საადრეო ჯიშ ჩრდილოდაკოტურისაგან, რომელიც მხოლოდ 1959 წელს იცდებოდა სასილოსედ, მიღებული იყო 257 ცენტნერი სასილოსე მასა, ხოლო ჯიშ აჯამეთის თეთრისაგან, რომელიც გამოცდაში მხოლოდ 1955 წელს მონაწილეობდა — 142 ცენტნერი.

სასილოსე მასის 6—4 წლის მოსავლის მიხედვით პირველ ადგილს იკავებს ჯიში სტერლინგი, რომლის მოსავალი სტანდარტად აღებული ადგილობრივი თეთრი კაუოვანას მოსავალს ჰექტარზე 32—33 ცენტნერით და საკვები ერთეულების მიხედვით — 3,5 ცენტნერით აღემატება. მეორე ადგილს იკავებს მინეზოტა 13 ექსტრა, რომლის სასილოსე მასა ადგილობრივ თეთრ კაუოვანას მოსავალს

ჰექტარზე 10 ცენტნერით აღმატება, ხოლო მშრალი ნივთიერებისა და საკვები ერთეულების მიხედვით კი უთანაბრდება მას (0.4—0.2, ცენტნერი).

ახალქალაქის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე 1956—1959 წლებში სიმინდის ჯიშების გამოცდა აგრეთვე ტარდებოდა მწვანე საკვებად, როდესაც მოსავლის აღება წარმოებდა ქეჩიჩოების გამოღების ფაზაში. ოთხი წლის მონაცემებით მწვანე მასის მოსავლით პირველ ადგილს იკავებს აჯამეთის თეთრი, რომლის საშუალო მოსავალმა ჰექტარზე 198 ცენტნერი შეადგინა და ამ ცდაში სტანდარტად აღებული სტერლინგის მოსავალს 5 ცენტნერით გადააჭარბა, ხოლო თუ არ ჩავთვლით 1956 წელს, როდესაც აჯამეთის თეთრის მოსავალი დაიღუპა — გაიყინა ქეჩიჩოების გამოღებამდე (ანუ მოსავლის აღებისათვის დაწესებულ ფაზამდე) და მის საწი წლის საშუალო მოსავალს ჰექტარზე 258 ცენტნერს შევადარებთ ჯიშ სტერლინგის შესაბამისი საში წლის მოსავალს 193 ცენტნერს, აჯამეთის თეთრის მოსავალი კიდევ უფრო მეტად — ჰექტარზე 46 ცენტნერით აღმატება სტერლინგის მოსავალს. ამ ცდაში მონაწილე სხვა ჯიშები (და ჰიბრიდები) მწვანე მასის მოსავლიანობით ჩამორჩებიან როგორც აჯამეთის თეთრს. ისე ჯიშ სტერლინგსაც. ჯიშთაგამოცდის ნაკვეთის მონაცემების თანახმად, როცა ქეჩიჩოების გამოღების ფაზაში, მწვანე მასის მოსავალი აღმატება ჰყინტი ტაროს ფაზაში სასილოსედ აღებულ მოსავალს, აიხსნება იმ გარემოებით, რომ ნაადრევი ყინვების გამო (რაც ჰყინტი ტაროს ფაზის მოლოდინში ყოველწლიურად უსწრებდა სასილოსე მოსავლის აღებას), დანაკარგებს ჰქონდა ადგილი (ფოთლები იფშენებოდა), მაგრამ რადგან ასეთი თითქმის თანაბარი ხარისხის იყო ყველა ჯიშებზე გამოსახული, ცდის შედეგები არ იქნა დაწუნებული და ჯიშების შედარება დასაშვებად იქნა მიჩნეული.

წალკის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე უარესი შედეგია მიღებული. აქ საკვებად აღებული მწვანე მასის მოსავალი და აგრეთვე სასილოსე მასა უფრო მცირეა, ვიდრე ახალქალაქის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე — ჰექტარზე 81—100 ცენტნერი.

რით აიხსნება ის გარემოება, რომ ახალქალაქის და წალკის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთებზე როგორც ყველაზე საადრეო, ისე საგვიანო ჯიშებიდან არ არის მიღებული მარცვლის მოსავალი, გარდა გამოჩაყლისისა და რომ სასილოსე მასაც მეტად მცირეა, ისიც დაბალი ხარისხისაა? ამ კითხვაზე პასუხი რომ გავცეთ, საჭიროა დავადგინოთ

სიმიინდის ზრდა-განვითარებისათვის საჭირო ფაქტორებიდან რომელია აქ მინიმუმში და ვერ აკმაყოფილებს საადრეო ჯიშების მოთხოვნილებასაც კი.

სიმიინდის გავრცელების საზღვრების განმსაზღვრელ ძირითად ფაქტორებად სითბო და ტენი ითვლება. სელიანინოვის მიხედვით. სიმიინდის საადრეო ჯიშებისათვის საჭირო აქტიურ ტემპერატურათა ჯამი (10° ზევით) $2100—2300^{\circ}$ უდრის. პროფ. ი. ნ. ლომოურის მიხედვით იქ. სადაც სავეგეტაციო პერიოდში აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 2000° არ აღემატება, შესაძლებელია სიმიინდის მხოლოდ ყველაზე საადრეო ჯიშების მოყვანა. ახალქალაქის პირობებში აქტიურ ტემპერატურათა ჯამი საშუალოდ 2016° უდრის და თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ყველა სხვა ფაქტორები (სინათლე, ტენი, საკვები ნივთიერებანი და სხვ.) აქ საკმაო რაოდენობით არის, მაშინ საგსებით შესაძლებელი უნდა იყოს სიმიინდის საადრეო ჯიშების მოყვანა.

აქ მიწდრები თოვლისაგან უმეტესად აპრილში თავისუფლდებიან. ამ დროს ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა $4,8^{\circ}$ უდრის და, ცხადია, სიმიინდის თესვა დაუშვებელია. თესვა აქ შესაძლებელია მხოლოდ მაისის მეორე დეკადიდან. მაისში ჰაერის მრავალწლიური საშუალო ტემპერატურა $9,1^{\circ}—11,3^{\circ}$, ხოლო საშუალო დეკადური $6,8^{\circ}—13,5^{\circ}$ ფარგლებში მერყეობს. ახალქალაქის მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემები ჰაერის ტემპერატურის შესახებ მაისში დეკადების მიხედვით 5 წლის განმავლობაში (1950—1954 წწ.) წარმოდგენილია მე-5 ცხრილში.

საერთოდ მიღებულია, რომ სიმიინდის ვაზაფხულზე თესვის პერიოდში ნიადაგის ტემპერატურა უახლოვდება ჰაერის ტემპერატურას, $1,0—1,5^{\circ}$ -ით ჩამორჩება ან აღემატება მას, რაც დამოკიდებულია ადგილმდებარეობასა და ნიადაგის სახესხვაობაზე. ყაბარდოს სადგურის მონაცემებით ის $1,2—1,5^{\circ}$ ჩამორჩება.

ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის მეტეოროლოგიის კათედრის დაკვირვებამ საშუალოდ ათი წლის განმავლობაში უჩვენა, რომ ნიადაგის ზედაპირის ტემპერატურა $0,8$ გრადუსით აღემატება ჰაერის ტემპერატურას, ნიადაგის ტემპერატურა ჰაერის ტემპერატურას ჩამორჩება 5 სმ სიღრმეზე $0,2$ გრადუსით და 10 სმ სიღრმეზე კი — $1,2$ გრადუსით.

ამერიკელ რ. გ. შოუს მოჰყავს ნიუხოლის ცნობები იმის შესახებ, რომ ნიადაგის ტემპერატურა ძალზე უახლოვდება ჰაერის ტემპერატურას. ნიადაგი ვერ აგროვებს სითბოს (თესვის პერიოდში) დიდი რაოდენობით, ინტენსიური იზოლაციის პერიოდში შეუძლია ძლიერ გათბეს, მაგრამ წვიმიან ამინდში სითბოს ადვილად კარგავს და ტემპერატურა თესლის ჩათესვის სიღრმეზე თითქმის უთანასწორდება ჰაერის ტემპერატურას.

დადგენილია, რომ სიმინდის თესლის გაღვივებისა და აღმოცენებისათვის საჭიროა ნიადაგში 10 სმ სიღრმეზე მინიმალური ტემპერატურა — 8—10 გრადუსი (ფ. გაბერლანდტი, ი. იაკუშკინი — სამხრეთისათვის, სტეფანოვი და სხვ.). ნ. დროზდოვი დაასკვნის, რომ სსრკ-ში გავრცელებული ჯიშების თესლი, მაშინ, როდესაც ნიადაგის ტენიანობა და აერაცია ოპტიმალურია, ხოლო სითბო კი 10 გრადუსი, ნელი ტემპით ღივდება და აღმონაცენს იძლევა მე-20, 29-ე დღეს, 15 გრადუსის დროს მე-12 დღეს და 20 გრადუსის დროს კი თესვიდან მე-5—6 დღეს. კისნერი აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების რაიონთა უმეტესობაში სიმინდის თესვა იწყება მაშინ, როდესაც ჰაერის ტემპერატურა 12,2—14,0 გრადუსია, ხოლო უოლესი და ბრესმანი კი სიმინდის მასობრივი თესვის პერიოდად სთვლიან აშშ-ში 16,1° საშუალო ტემპერატურას, ხოლო აიოვას შტატში კი — 15,5°.

სსრკ-ის საცდელი სადგურები სიმინდის თესვის ოპტიმალურ ვადად თვლიან: ყუბანისათვის — 11—14°, კამიშინის რაიონისათვის — 13°, კუბიშევის ოლქისათვის — 14—15°, ყაბარდოს ავტონომიური რესპუბლიკისათვის — 12,2—12,5°, ბაშკირეთისათვის — 14,9° და სხვა. ექვსი წლის განმავლობაში ახალქალაქის ჯიშთავამოცდის ნაკვეთზე არ ყოფილა შემთხვევა, რომ სიმინდის თესვა შესაძლებელი ყოფილიყო 11 მაისამდე.

1958 წლის 11 მაისში ნათესებმა სრული აღმონაცენი მოგვცა მხოლოდ 7 ივნისს, ე. ი. თესვიდან 27 დღის შემდეგ. თესლმა გაღვივება და აღმოცენება დაიწყო ივნისის დასაწყისში, როდესაც ჰაერის ტემპერატურამ საგრძნობლად მოიმატა და 12°-მდე მიაღწია. 1954 წელს 13 მაისში დათესილი 23-ე დღეს აღმოცენდა, ხოლო 1956 წელს 5 ივნისში ნათესმა სრული აღმონაცენი მოგვცა მე-12 დღეს. ამგვარად, ახალქალაქის ზეგანის პირობებში სიმინდის თესვის ვადად შეიძლება აღებულ იქნას მაისის მეორე ნახევარი.

სიმიინდის მცენარეთა ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის არც აღმოცენების შემდეგ არის სითბო საჭირო რაოდენობით. თუ როგორ არის მცენარეები უზრუნველყოფილი სითბოთი და ტენით ზრდა-განვითარების ცალკე პერიოდში, ნათელ წარმოდგენას იძლევა მე-6 ცხრილის მონაცემები.

როგორც ცხრილში აღნიშნული ფენოლოგიური დაკვირვებებიდან ჩანს, მაისის მეორე და მესამე დეკადაში ჩატარებული თესვიდან აღმოცენებამდე მეტად დიდი დროა საჭირო—(18—27 დღე), რაც ჰაერისა და ნიადაგის შედარებით დაბალი ტემპერატურით აიხსნება, რადგან აქ კარვად დამუშავებული, ტენით უნზრუნველყოფილი მალაშთაიანი ზონის შავმაწა ნიადაგში თესლის გაღივებისა და აღმოცენებისათვის საჭირო სხვა ფაქტორების ნაკლებობაზე ეჭვის მიტანაც შეუძლებელია. სიმიინდის მცენარეთა ზრდა-განვითარება კლიმატური პირობებიდან ყველაზე უფრო მეტად დამოკიდებულია ჰაერის ტემპერატურაზე.

ახალქალაქის ჭიშთაგამოცდის ნაკვეთის მონაცემებით, აღმოცენებიდან ქეჩეჩოების ყვავილობამდე ჰაერის საშუალო ტემპერატურა 15,0—16,1 გრადუსს უდრის, რაც მინიმალურად ითვლება და, ძირითადად, ამით აიხსნება ამ პერიოდის გახანგრძლივება 73—84 დღემდე — 5—17 ივნისიდან, უმეტესად 16—29 აგვისტომდე, ხოლო 1956 წელს კი 8 სექტემბრამდე ისეთი ჭიშებისათვის, როგორც არის ადგილობრივი თეთრი კაჟოვანა (ახალციხე) და მინეზოტა 13 ექსტრა.

ვ. ი. ბალიურამ ნემჩინოვკაში (მოსკოვის ოლქის კუნცოვის რაიონი) სამი წლის დაკვირვების შედეგად დაადგინა სიმიინდის მცენარეთა აღმოცენებიდან ქეჩეჩოების ყვავილობამდე პერიოდის ხანგრძლიობის დამოკიდებულება ჰაერის ტემპერატურაზე. ეს პერიოდი ჭიშ ვორონეჟის 80-სათვის, როდესაც ჰაერის საშუალო ტემპერატურა უდრიდა 17,3 გრადუსს შეადგენდა 65 დღეს და როდესაც 18.8 გრადუსს უდრიდა — 59 დღეს. მინეზოტა 13 ექსტრასათვის აღმოცენებიდან ქეჩეჩოების გამოლებამდე, როდესაც ჰაერის საშუალო ტემპერატურა 18,9 გრადუსი იყო 48 დღეს უდრიდა, 17,6 გრადუსის დროს — 64 დღეს, ხოლო 16,9 გრადუსის პირობებში კი — 73 დღეს.

სიმიინდის მცენარეთა მიწისზედა ნაწილის ინტენსიური განვითარებისათვის ნიადაგის ოპტიმალურ ტემპერატურად ითვლება 20 გრადუსი, ხოლო შემდგომ პერიოდში 28 გრადუსამდე (ს. ანდრეენკო, ფ. კუპერმანი).

რუდენკოს მიხედვით ჰაერის ოპტიმალურ ტემპერატურად ითვლება ქეჩეჩოების გამოღების პერიოდამდე 18—20°. ქეჩეჩოების გამოღებისა და ყვავილობისათვის—20—22 გრადუსი. ხოლო დამწიფებისათვის — 22—23 გრადუსი. აიოვას შტატში სიმინდისათვის იდეალურ პირობად ითვლება მაისში (სიმინდი ითესება მაისის პირველ დეკადაში) ჰაერის საშუალო ტემპერატურა — 15,5° და ნალექი—100 მმ, ივნისში შესაბამისად — 21,0° და 125 მმ, ივლისში — 23,0° და 100 მმ, აგვისტოში — 22,2° და 90 მმ, სექტემბერში — 17,7° და 95 მმ, ოქტომბერში — 11,1° და 57 მმ (უოლესი და ბრესმანი).

რ. შოუს დასკვნით, სიმინდი სითბოს მოყვარული მცენარეა და იმ რაიონებში, სადაც ზაფხულის სამ თვეში ჰაერის საშუალო ტემპერატურა 19,0 გრადუსზე ან ღამის საშუალო ტემპერატურა 12,8 გრადუსზე ნაკლებია, სიმინდის მოყვანა შეუძლებელია. ახალქალაქში ზაფხულის სამ თვეში ჰაერის საშუალო ტემპერატურა უდრის 15,3° (ივნისში — 13,2°, ივლისში — 15,9°, აგვისტოში — 16,7°), ხოლო წალკაში — 14,8° (ივნისში — 13,2°, ივლისში — 15,8°, აგვისტოში — 15,4°). მართალია, კრიტიკულ პერიოდში (ქეჩეჩოების ყვავილობამდე 10 დღით ადრე და ყვავილობიდან 20 დღის შემდეგ — 30 დღის განმავლობაში), რაც აგვისტოზე მოდის, ნალექების რაოდენობა მცირეა, მაგრამ წინა პერიოდში, აღმოცენებიდან ქეჩეჩოების ყვავილობამდე, ნალექები თითქმის საკმარის რაოდენობითაა — 93—156 მმ ფარგლებში მერყეობს და მცენარეთა არანორმალური კანკითარება ნიადაგში და ჰაერში ტენის ნაკლებობას არ შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა მიეკუთვნოს.

კლიმატოლოგები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ რადიაციულ ბალანსს, როგორც კლიმატის წარმომშობ ძირითად ფაქტორს. დოც. კელენჯერიძის დასკვნით, ახალქალაქში (ბაკურიანში, აბასთუმანში და სხვ.) რადიაციული ბალანსი საკმაოდ დიდია, მიუხედავად იმისა, რომ ის (ახალქალაქი) ზღვის დონიდან დიდ სიმაღლეზე მდებარეობს. მაგრამ, როგორც სიმინდის ჯიშთაგამოცდის შედეგებიდან ირკვევა, ვერც ეს ფაქტორი უზრუნველყოფს სიმინდის ნორმალურ ზრდა-განვითარებისათვის საჭირო პირობებს. აქ გარდა იმისა, რომ საშუალო ტემპერატურათა ჯამი ცალკე პერიოდების მიხედვით დაბალია, არაიშვიათად ზაფხულის განმავლობაშიც კი ადგილი აქვს ჰაერის ტემპერატურის მნიშვნელოვნად დაცემას. მაგალითად, ახალქალაქის მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემებით, 1956 წლის ივნისის მესამე დეკადაში ჰაერის საშუალო დღეღამური

ტემპერატურა იყო: 26 რიცხვში 10,5°, 27-ში 10,0° და 28-ში 10,4°, ხოლო მინიმალური ტემპერატურა შესაბამისად: 7,2, 1,7 და 2,2°.

1957 წელს ივლისის პირველ დეკადაში ჰაერის საშუალო ტემპერატურა მხოლოდ 12,7° უდრიდა, მინიმალური კი იყო: 4 რიცხვში 3,9°, 5-ში 2,5°, 6-ში 4,0°, 9-ში 2,5° და 10-ში 3,8°. საშუალო დღეღამური ტემპერატურა დაეცა 3-ში 8,3° და 4-ში 8,8°.

არც 1958 წლის ივლისის პირველ დეკადაში იყო უკეთესი პირობები; ჰაერის საშუალო ტემპერატურა 12,8 გრადუსს უდრიდა და დაბალ ტემპერატურას მეორე დეკადის დასაწყისშიც ჰქონდა ადგილი: 10 ივლისს მინიმალური იყო 0,6°, მაქსიმალური 10,0°, ხოლო საშუალოდღეღამური 4,6°; 11 ივლისს შესაბამისად — 4,0, 13,0 და 7,1°. ხოლო 12-ში კი 6,1, 15,0 და 9,2°, 1956 წელს აგვისტოს მეორე დეკადაში ჰაერის საშუალო ტემპერატურამ მხოლოდ 14,7° შეადგინა, ხოლო საშუალო მინიმალურმა 6,1°, მაშინ, როდესაც პირველ დეკადაში იყო შესაბამისად 18,6 და 11,4°. მინიმალური ტემპერატურა 2,7° აღრიცხული იყო 12 აგვისტოს და 2,5° კი 16-ში.

1959 წელს თუ აგვისტოს მესამე დეკადაში ჰაერის საშუალო ტემპერატურა 14,1° უდრიდა, ის სექტემბრის პირველ რიცხვიდან მკვეთრად დაეცა, პირველ დეკადაში უდრიდა 8,6°. მეორეში 9,1° და მესამეში კი 6,8°. ჰაერის მინიმალური ტემპერატურა სექტემბრის 7-ში 0,2°, 10-ში 0,6°, 20-ში 0,2° და 28-ში 3,8° იყო. ასე, რომ სექტემბერში სიმინდის მცენარეთა ვეგეტაციას ადგილი არ ჰქონია. მეტეოროლოგიური სადგურის მრავალწლიანი მონაცემების თანახმად, ზაფხულის განმავლობაში ადგილი აქვს წაყინვებს, ჰაერის ტემპერატურის მინიმუმი აღნიშნულია ივნისში — 3,0, ივლისში — 2,0 და აგვისტოში — 0,0 გრადუსი. გაზაფხულზე ყინვების ნაადრევად შეწყვეტის თარიღად დადგენილია 22 აპრილი, ნაგვიანებად — 10 ივნისი, ხოლო საშუალო თარიღად — 19 მაისი. შემოდგომაზე ყინვების დაწყების საშუალო თარიღად დადგენილია 19 სექტემბერი (ნაადრევი 4 ივლისი, ნაგვიანები 2 ნოემბერი). 1954 წელს სიმინდის მცენარეები, რომელთა რძისებრი სიმწიფის ფაზა აღნიშნული იყო 28 სექტემბერს, 3 ოქტომბერს, გაიყინა 4 ოქტომბერს მინუს 8 გრადუსზე. 1955 წელს ყინვები დაიწყო 10 ოქტომბერს, როდესაც მცენარე ცვალებადი სიმწიფის ფაზამდე არც კი იყო მისული.

1956 წელს ცდა, რომელიც ტარდებოდა მოსავლის ჰყინტი ტაროს ფაზაში სასილოსედ ასაღებად. ყინვისაგან დაიღუპა 18 სექტემბერს. ქეჩიჩოების ყვავილობიდან (8 სექტემბერი) ათი დღის შემდეგ.

1957 წელს შედარებით უფრო ხელსაყრელი პირობები იყო. პაერის ტემპერატურის დაცემა დაიწყო სექტემბრის მეორე ნახევრიდან, ხოლო 11 ოქტომბრიდან ხუთი დღის განმავლობაში 4.2° იყო. ყველაზე საადრეო ჯიშ ჩრდილოდაკოტურიდან და ჰიბრიდ ბუკოვინის 2-დან მიღებული იყო მარცვლის მოსავალი, ხოლო დანარჩენი უფრო საგვიანო ჯიშები: ადგილობრივი თეთრი კაჟოვანა. სტერლინგი და ჰიბრიდი კოლექტიური გაიყინა ჰყინტი ტაროს სტადიაში. 1958 წელს წაყინვები დაიწყო 18—19 სექტემბერს რძისებრ სიმწიფის ფაზამდე, მცენარეები გაიყინა, ფოთლები გაყვითლდა და გასმა. ჯიშთაგამოცდის ნაკვეთის მუშაკთა აზრით, თითქმის ერთი დღე-ღამის განმავლობაში რძისებრი სიმწიფის დასაწყისიდან. „მიალწია“. სრულ სიმწიფეს. 1959 წელს კი, ისე როგორც წინა წელს, მცენარეებმა ვერ მიალწია რძისებრ სიმწიფეს — ქეჩიჩოების ყვავილობიდან (30 აგვისტო) მერვე დღეს. — 7 სექტემბერს გაიყინა.

აქტიურ ტემპერატურათა ჯამი ივნისის პირველი დეკადიდან ოქტომბრის პირველი დეკადის ბოლომდე უდრიდა 1954 წელს 1841, 1955 წელს — 1764, 1956 წელს — 1520, 1957 წელს — 1905, 1958 წელს — 1565 და 1959 წელს 1375 გრადუსს.

ახალქალაქის პირობებში უფრო მეტად მეორდება ისეთი წლები, როდესაც აქტიურ ტემპერატურათა ჯამი $1600—2000^{\circ}$ ფარგლებში მერყეობს, რაც შემთხვევათა 50 პროცენტს უახლოვდება, ხოლო $2000—2200^{\circ}$ დაახლოებით 23—25 პროცენტს უდრის, დანარჩენ შემთხვევებში კი ადგილი აქვს ისეთ წლებს, როდესაც აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 1600° უფრო ნაკლებია ან 2200° აღემატება. აქტიური ტემპერატურა ხშირად მინიმუმს (10°) უახლოვდება და, ცხადია, ეფექტურობა მეტად უმნიშვნელოა. აქ, წლების მიხედვით, ადგილობრივ თეთრ კაჟოვანას მცენარეების სიმაღლე 92—160 სმ-ია, ჩრდილოდაკოტურის — 85—136 სმ, ციმბირის 3—101—167 სმ, აჯამეთის თეთრის — 123—177 სმ, ჰიბრიდ ბუკოვინის 2—76—87 სმ და ჰიბრიდი კოლექტიურის 95—166 სმ. აქ მცენარეებს მოკლე მუხლთაშორისები უვითარდებათ.

წალკის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე სიმინდის თესვის თვე—მაისი უფრო მეტად წვიმიანი დღეებით ხასიათდება (122 მმ, ნაცვლად 78 მმ-სა ახალქალაქში), რაც ხშირად ხელს უშლის დროულად თესვას. მაისიდან სექტემბრამდე ნალექების რაოდენობა (5 თვის განმავლობაში) 406 მმ უდრის, რაც 80 მმ-ით მეტია ახალქალაქში მოსულ ნალექების რაოდენობაზე. სითბო კი წალკაში აგვისტოსა და სექტემბერში უფრო ნაკლებია, ვიდრე ახალქალაქში — 15,4 და 11,8°, ნაცვლად 16,7 და 12,7°-სა. აქ გაზაფხულზე უკანასკნელი ყინვების საშუალო თარიღად დადგენილია 9 მაისი. ხოლო შემოდგომაზე პირველი ყინვების თარიღად 8 ოქტომბერი, ხოლო ნაადრევ ყინვებს, ისე როგორც ახალქალაქში, ადგილი აქვს გაცილებით ადრე — სექტემბერში. სხვა მაჩვენებლების მხრივ განსხვავება უმნიშვნელოა.

ახალქალაქის და წალკის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთების წინაშე დასახული იყო ამოცანა, დაედგინათ სამოქმედო ზონაში სიმინდის მარცვლის. სასილოსე და საკვებად მწვანე მასის მოსავლის მიღების შესაძლებლობა და, რაც მთავარია, შეერჩიათ სათანადო ჯიშები.

როგორც აღვნიშნეთ, სრულ სიმწიფეში საღი მარცვლის მოსავლის მიღება შეუძლებელია, ძირითადად, მოკლე სავეგეტაციო პერიოდის, აქტიურ ტემპერატურათა ჯამის (10°-ზე ზევით) მცირე რაოდენობისა და ზაფხულის განმავლობაში ჰაერის ტემპერატურის მკვეთრი რყევადობის გამო. რაც ხშირად მინიმუმამდე ეცემა.

არსებული ჯიშებიდან მხოლოდ გამოჩაყლის შემთხვევაში შეიძლება ყველაზე უფრო საადრეო ჯიშების — ჩრდილოდაკოტურის, ციმბირის 3 და ჰიბრიდ ბუკოვინის 2-საგან მარცვლის მიღება მცირე რაოდენობით და ისიც დაბალი ხარისხისა. საშუალო საგვიანო ჯიშებიდან (ჰიბრიდებიდან), როგორცაა ადგილობრივი თეთრი კაჟოვანა (ახალციხიდან), ჰიბრიდი კოლექტიური, მინეზოტა 13 ექსტრა და სტერლინგი, მარცვლის მოსავლის მიღება ახალქალაქის და წალკის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთებზე და მათი მომსახურების ზონებში შეუძლებლად უნდა ჩაითვალოს. აქ მარცვლის მოსავლის მისაღებად უნდა გამოინახოს ისეთი ულტრა საადრეო ჯიშები ან ჰიბრიდები, რომლებიც აღმონაცენს მოგვეცემენ შედარებით უფრო დაბალი ტემპერატურის პირობებში და მცენარეები წაყინვებისადმი (როგორც გაზაფხულზე, ისე შემოდგომაზე და ზაფხულშიც) მაქსიმალურ გამძლეობას გამოიჩინენ. აკად. იაკუშკინი, ამერიკული ლიტერატურის ცნობებით, მიუთითებს ისეთ ჯიშებზე, რომელთა თესვა ღვივდება არა თუ 8°-ზე, არამედ 7°-ზეც კი. ჩვენში, მუხნედავად ჩა-

შების დიდი მრავალფეროვნებისა, ჯერჯერობით ასეთი ჯიში ნახული არ არისო. იგი მიუთითებს აგრეთვე კ. ა. ტიმირიაზევის სახ. სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში უკანასკნელ წლებში ჩატარებული ცდების შედეგებზე, როდესაც 6 საათით 4°-ზე გაჩერებული მრავალი ჯიშის თესლის წამონაზარდებიდან უმეტესობა სავსებით საკმაოდ გამძლენი აღმოჩნდნენ და გადაიტანეს აღნიშნული ტემპერატურა. ამას ადასტურებს ამავე აკადემიის ასპირანტ წიკლაურის მიერ აღწერილი ცდები, როცა სიმინდის აღმონაცენმა თავისუფლად გაუძლო წაყინვას (-3°), და ალტარის მხარის საწარმოო პრაქტიკა, სადაც 1955 წ. აღრე გაზაფხულზე — აპრილის ბოლოს და მაისის დასაწყისში დათესილი სიმინდიდან მიღებული იყო კარგი მოსავალი.

თუ აკად. იაკუშკინი ეთანხმებოდა წინათ სამხრეთის პრაქტიკაში მიღებულ დებულებას, რომ სიმინდი უნდა დაითესოს ნიადაგში 10 სმ სიღრმეზე 10° ტემპერატურის დროს, უკანასკნელ ხანებში მან ასეთი შეცდომად მიიჩნია.

ხოლმურტმა და ბერლისონმა დაადგინეს, რომ სიმინდის ზოგიერთი თვითდამტვერილი ხაზი იღუპება ჰაერის ტემპერატურის 7,2—10°-მდე რამდენიმე საათით დაცემის შემთხვევაში, ბევრი იღუპება თანმიმდევრობით — რამდენიმეჯერ ცივი ღამეების 0,5—7,2°-მდე ტემპერატურით. ამავე დროს არის ისეთი ხაზებიც, რომლებიც კარგად უძლებენ 2,2—0,0°.

აკად. იაკუშკინის მიხედვით, აგვისტოს ბოლოს მაცევიარში — 5°-ზე მოთავსებული სიმინდის მცენარეს 15 საათის შემდეგ ფოთლები სავსებით მწვანე შერჩა.

ყოველივე ეს იმაზე მიგვითითებს, რომ სიცვიეებისა და წაყინვებისადმი გამძლე სიმინდის ჯიშების გამოყვანის შესაძლებლობა არ შეიძლება უიმედოდ ჩაითვალოს.

ამგვარად, როდესაც სასელექციო სადგურებისა და საცდელ-სამეცნიერო დაწესებულებათა მიერ გამოჩნებული იქნება ახალქალაქის და წალკის რაიონების ზემოთ აღნიშნული გარემო პირობებისათვის შესაფერისი ჯიშები ან ჰიბრიდები, რომლებიც შემოდგომით, ყინვების დაწყებამდე, მიაღწევენ მარცვლის სიმწიფის ფაზამდე, უნდა ჩატარდეს მათი გამოცდა, იმათგან უკეთესები დარაიონდეს და დინერგოს წარმოებაში მოსავლის როგორც სავსებით მწიფე მარცვლის, ისე ჭყინტი ტაროს საწარმისებრი სიმწიფის ფაზაში სასილოსედ ასა-

ლებად. ქეჩიჩოების გამოღების ფაზაში სიმინდის მოსავლის მწვანე საკვებად აღებისათვის უკეთეს შედეგს იძლევა საშუალოსაგვიანო და საგვიანო ჯიშები

ახალაქალაქის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე 3—4 წლის ცდების შედეგად მწვანე მასის მოსავალი ჯიშების მიხედვით საშუალოდ ჰექტარზე 129—198 ცენტნერის ფარგლებში მერყეობს. საადრეო—ჩრდილო-დაკოტური და ადგილობრივი თეთრი კაჟოვანა, საშუალო საგვიანო—მინეზოტა 13 ექსტრა და ჰიბრიდი ვირ 42 მწვანე მასის მოსავლიანობით ჩამორჩებიან ჯიშ სტერლინგს ჰექტარზე 12—23 ცენტნერამდე, ხოლო მეტად საგვიანო ჯიში აჯამეთის თეთრი, მიუხედავად იმისა, რომ 1956 წელს ვერ მიაღწია ქეჩიჩოების გამოღებამდე და მოსავალი დაიდუპა, საშუალოდ 4 წლის განმავლობაში (1956—1959 წწ.) მწვანე მასას ჰექტარზე 5 ცენტნერით უფრო მეტს იძლევა. ვიდრე სხვა ჯიშები და მეტმოსავლიანი ჯიში სტერლინგი, თუმცა მშრალი ნივთიერების და საკვები ერთეულების მხრივ მათ შორის განსხვავება თითქმის არ არის. უნდა აღინიშნოს, რომ სიმინდის თესვა ქეჩიჩოების გამოღების ფაზაში მწვანე საკვებად გამოყენებისათვის სრულებით არ არის ხელსაყრელი. ამ ფაზაში სიმინდის მცენარეებს შეუძლიათ მოგვცენ მშრალ ნივთიერებათა მოსავალი 50 პროცენტი და კიდევ უფრო ნაკლები რაოდენობით იმ მოსავლიდან, რის მოცემაც შეუძლიათ მათ სანთლისებრი ან ჰყინტი ტაროს სიმწიფის. სტადიაში აღების დროს.

სიმინდის ჰიბრიდების პირველი და მეორე თაობის თესვის უსახავა

დადგენილია, რომ სიმინდის ჰიბრიდული თესლის თესვის დროს ჰეტეროზის ძალა (მცენარეთა ძლიერი და ჩქარი განვითარების, დიდი ცხოველმყოფელობისა და პროდუქტიულობის უნარი) მაქსიმალურად მაშინ გამოვლინდება, როდესაც გამოყენებულ იქნება პირველი თაობის თესლი. მეორე თაობის თესლი უფრო ნაკლებ მოსავალს იძლევა, ვიდრე პირველი თაობისა, მაგრამ ზოგჯერ უფრო მეტს. ვიდრე ის ჯიში, რომლის შესაცვლელადაც დარაიონებულია მოცემული ჰიბრიდი. იმის დასადგენად, თუ რამდენად ნაკლებია მე-

ორე თაობის ჰიბრიდული თესლის ნათესის მოსავალი პირველ თაობასთან შედარებით, ჯიშთაგამოცდის ნაკვეთებზე სხვა ჰიბრიდებთან ერთად გამოიკადა დარაიონებული ჰიბრიდის ვირ 42 როგორც პირველი, ისე მეორე თაობის თესლი, შედეგები მოცემულია მე-7 ცხრილში.

როგორც ცხრილში წარმოდგენილი ჯიშთაგამოცდის შედეგებიდან ჩანს, ჰიბრიდ ვირ 42 პირველი თაობის თესლის ნათესი, როგორც წესი, მისი დარაიონების ზონებში ყოველთვის უფრო მეტ მოსავალს იძლევა, ვიდრე მეორე თაობისა. სხვაობა, ძირითადად, პექტარზე 3,1—3,9 ცენტნერის ფარგლებში მერყეობს, ხოლო კაჟრეთის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე მან 8,5 ცენტნერს მიაღწია. სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშთაგამოცდის სახელმწიფო კომისიის მონაცემებით, ორმაგი ხაზთაშორისი ჰიბრიდის ვირ 42 პირველი თაობის თესლიდან საშუალოდ პექტარზე 52,0 ცენტნერი მარცვლის მოსავალი იქნა მიღებული, ხოლო მეორე თაობის თესლიდან — 43,2 ცენტნერი (მ. გ. პრუცკოვა და რ. მ. ბლიახეროვა, 1961).

ჰიბრიდი ვირ 42 დარაიონებულია, ძირითადად, მინეზოტა 13 ექსტრას შესაცვლელად, რომელთან შედარებით მისი პირველი თაობის თესლის ნათესი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პექტარზე საშუალოდ 5,3—9,3 ცენტნერამდე მეტ მოსავალს იძლევა, ხოლო მეორე თაობის თესლის ნათესის მოსავალი კი, მართალია, ჩამორჩება პირველი თაობის თესლის ნათესის მოსავალს, მაგრამ მინეზოტა 13 ექსტრას მოსავალს პექტარზე 0,8—3,4 ცენტნერით აღემატება.

აქედან, ცხადია, სიმინდის უხვი მოსავლის მისაღებად ჰიბრიდი ვირ 42 და აგრეთვე სხვა ჰიბრიდები მათი დარაიონების ზონებში დათესილი უნდა იქნან მხოლოდ პირველი თაობის ჰიბრიდული თესლით. იმ უკიდურეს შემთხვევაში, თუ ჰიბრიდის ვირ 42 პირველი თაობის თესლი არ გვექნება საკმაო რაოდენობით და დაისმება საკითხი — რომელი თესლი გამოვიყენოთ დასათესად მინეზოტა 13 ექსტრასი, თუ ჰიბრიდ ვირ 42 მეორე თაობისა, არჩევანი უკანასკნელზე უნდა შევაჩეროთ.

შავი ზღვის სანაპირო ზოლში ერთ წელიწადში სიმიწდის ორი მოსავლის
მიღებისათვის ჯიშების შერჩების შესახებ

საქართველოში შავი ზღვის სანაპირო სუბტროპიკულ ზოლში, სადაც სავეგეტაციო პერიოდი 5—6 თვეს გრძელდება, ჰაერის აქტიური ტემპერატურათა ჯამი 4000° აღემატება (4200—4700°) და ნალექების მაქსიმალურ რაოდენობას აქვს ადგილი (1400—2420 მმ), შეიძლება ნასიმინდარზე ერთ წელიწადში ორი მოსავლის მიღება.

ამის დასამტკიცებლად და შესაფერისი საუკეთესო ჯიშების გამოვლინების მიზნით, 1955—1958 წლებში ჩატარდა ცდები სასოფლო-სამეურნეო კულტურების ზუგდიდისა და აბაშის სახელმწიფო ჯიშთაგამოცდის ნაკვეთებზე.

ზუგდიდის სახელმწიფო ჯიშთაგამოცდის ნაკვეთი მოთავსებულია შავი ზღვის სანაპირო სუბტროპიკულ ტენიან და ჰარბტენიან ზონაში ზუგდიდის რაიონის სოფელ დარჩელის გაზეთ „კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის ტერიტორიაზე, ზღვის დონიდან 9 მეტრის სიმაღლეზე, სადაც აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 4237° უდრის, ხოლო ნალექების წლიური რაოდენობა 1500 მმ აღემატება, სავეგეტაციო პერიოდში (აპრილი-ოქტომბერი) კი 937 მილიმეტრს აღწევს. ცდები ტარდებოდა მდელის კორდიან არაკარბონატულ-ალუვიურ მსუბუქ თიხნარ ნიადაგზე.

აბაშის სახელმწიფო ჯიშთაგამოცდის ნაკვეთი მოთავსებულია სუბტროპიკულ ტენიან ზონაში, ყოფილ აბაშის რაიონის სოფელ ნორიოს კოლმეურნეობის ფართობზე, ზღვის დონიდან 50 მეტრ სიმაღლეზე. აქ აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 4300° (4311—4381°) აღემატება, ნალექების წლიური რაოდენობა — 1484 მმ, ხოლო სავეგეტაციო პერიოდში — 767 მმ. ცდები წარმოებდა მდელის კორდიან ალუვიურ-კარბონატულ, საშუალო თიხნარ, სუსტად გამოსახული მიწალებიან ნიადაგზე.

ჯიშთაგამოცდის ორივე ნაკვეთზე გამოცდაში ჰონაწილეობდა სხვადასხვა სავეგეტაციო პერიოდის მქონე სიმინდის სამი ჯიში: საგვიანო აბაშური ყვითელი, საშუალოსაგვიანო სტერლინგი და საადრეო ადგილობრივი ყვითელი კაჟოვანა (საჩხერის რაიონიდან).

ორივე ნაკვეთისათვის მიღებული იყო ცდების შემდეგი სქემა:

I. გაზაფხულის ნათესი	II. ზაფხულის ნათესი
პირველი მოსავალი	მეორე მოსავალი
მოსავლის აღება მარცვლის სრულ სიმწიფეში	მოსავლის აღება სისილოსედ ჭყინტი ტაროს სტადიაში
მოსავლის აღება სასილოსედ ჭყინტი ტაროს სტადიაში	მოსავლის აღება მარცვლის სრულ სიმწიფეში მოსავლის აღება სასილოსედ ჭყინტი ტაროს სტადიაში

ცდები ტარდებოდა ოთხ განმეორებად, თითოეული დანაყოფი-სათვის სააღრიცხვო ფართობი 100 კვ. მეტრის უდრიდა.

ნიადაგის ძირითადი ხვნა ტარდებოდა ადრე გაზაფხულზე — თებერვალში, მარტში, ისე როგორც ამას ადგილი აქვს შავი ზღვის სანაპიროს სუბტროპიკული ზონის კოლმეურნეობებში.

გაზაფხულზე ითესებოდა პირველი შესაძლებლობისთანავე, რაც შეიძლება ადრე, ხოლო იმავე ფართობზე მეორე თესვა კი — ზაფხულში პირველი მოსავლის აღებიდან არა უგვიანეს მეორე დღისა. გაზაფხულზე სიმინდი ითესებოდა კვადრატულ-ბუდობრივი წესით. გამოხშირვის დროს ბუდნაში რჩებოდა ორ-ორი სალი მცენარე. ნათესის კულტივაცია გათოხნით ხდებოდა სამჯერ, ზოგიერთ წელს — ოთხჯერ. მცენარეთა გამოკვების მიზნით მინერალური სასუქები შეჰქონდათ მეორე კულტივაცია-გათოხნის წინ — ჰექტარზე 90 კილოგრამი აზოტიანი და 60 კილოგრამი ფოსფორიანი სასუქი — მოქმედი ნივთიერების ანგარიშით. მოსავლის აღება წარმოებდა ზუსტად დადგენილ ვადებში — მარცვლის სრულ სიმწიფეში, ხოლო სასილოსე კი — ჭყინტი ტაროს ფაზაში.

მეორე მოსავლის მისაღებად ნიადაგი იხვნებოდა პირველი მოსავლის აღებისთანავე 18—20 სმ სიღრმეზე და თანმიყოლებით იფარცხებოდა. სიმინდის მოსავალი ცალკე წლებისა და ვარიანტების მიხედვით წარმოდგენილია მე-8—9 ცხრილებში.

როგორც მოსალოდნელი იყო, გაზაფხულზე ნათესი სიმინდის სხვადასხვა სავეგეტაციო პერიოდის მქონე ჯიშებიდან უფრო მეტი მოსავალი მიღებულია ყველაზე უფრო საგვიანო ჯიშის — აბაშური

ყვითელისაგან, რომელსაც საშუალოსაგვიანო ჯიში სტერლინგი საშუალოდ 4 წლის განმავლობაში ჩამორჩა ზუგდიდის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე მარცვლის საჰექტარო მოსავლიანობით — 27,1 ცენტნერით, სასილოსე მწვანე მასის მოსავლით — 163,0 ცენტნერით, ხოლო საადრეო ჯიში ადგილობრივი ყვითელი კაჟოვანა (საჩხერის რაიონი) ჩამორჩა მარცვლის მოსავლით 32,4 და სასილოსე მასის მოსავლით 219,6 ცენტნერით. ასევე აბაშის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე აბაშურ ყვითელს ჩამორჩა მარცვლის მოსავლით ჯიში სტერლინგი 26,2 და ადგილობრივი ყვითელი კაჟოვანა 38,8 ცენტნერით, ხოლო სასილოსე მწვანე მასის მოსავლით შესაბამისად — 81,7 და 177,3 ცენტნერით.

მაგრამ მთავარი იყო, დაგვედგინა, გაზაფხულზე თესვის პირობებში რომელი ჯიში რამდენად ადრე შემოდის, რა საშუალებას იძლევა მეორე მოსავლის მიღებისა და ორი მოსავლით რომელი იკავებს პირველ ადგილს.

აბაშის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე მიღებული შედეგების მიხედვით, მეორე მოსავლის მიღება როგორც მარცვლის, ისე მწვანე მასისა სულ მცირე რაოდენობითაც კი შეუძლებელია, ხოლო ზუგდიდის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე შესაძლებელია მიღებულ იქნას მხოლოდ მწვანე მასის მოსავალი, ისიც მეტად უმნიშვნელო რაოდენობით — ჰექტარზე 16,9 ცენტნერამდე. იქ, სადაც გათვალისწინებული იყო გაზაფხულზე ნათესიდან მოსავლის სასილოსედ ჰყინტი ტაროს, ხოლო მეორე ნათესიდან — მარცვლის სრული სიმწიფის სტადიაში აღება (ვარიანტი II) 1957 წელს ეს ვარიანტი ამოღებულ იქნა ცდიდან, რადგან წინა ორ წელს (1955 და 1956) მეორედ ნათესში მცენარეებმა მარცვლის არა თუ სრული, არამედ რძისებრი სიმწიფის ფაზამდეც კი ვერ მიაღწია.

პირველ ვარიანტში, როცა სიმინდის პირველი მოსავალი აღებული იყო მარცვლის სრული სიმწიფის ფაზაში, ხოლო მეორე — მწვანე მასად, მართალია, საადრეო ჯიშმა ადგილობრივმა ყვითელმა კაჟოვანამ ჰექტარზე საშუალოდ 12,2 ცენტნერი მწვანე მასის მოსავალი მოგვცა, რაც 7,3 ცენტნერით მეტია, ვიდრე საგვიანო ჯიშის აბაშური ყვითელის მოსავალი, მაგრამ ის გაზაფხულზე ნათესის მარცვლის მოსავლით ჩამორჩა აბაშურ ყვითელს ჰექტარზე

32,4 ცენტნერთ, სტერლინგმაც უფრო მეტი რაოდენობით მოგვცა მწვანე მასის მოსავალი მეორედ ნათესიდან (+5;9 ც), მაგრამ ისიც ჩამორჩა გაზაფხულზე ნათეს აბაშურ ყვითელს ჰექტარზე 27.1 ცენტნერი მარცვლის მოსავლით. მესამე ვარიანტში, როცა გაზაფხულს და ზაფხულის ნათესიდან მოსავლის აღება წარმოებდა სასილოსედ (მწვანე მასად), როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გაზაფხულზე ნათესიდან სასილოსე მასის მოსავლით (ჭყინტი ტაროს სტადიაში) პირველი ადგილი დაიკავა აბაშურმა ყვითელმა, რომელსაც ჩამორჩნენ სტერლინგი 163 და ადგილობრივი ყვითელი კაუოვანა 219,6 ცენტნერთ, ხოლო მეორედ ნათესიდან, როცა მცენარე ვერ აღწევს რძისებრ სიმწიფემდეც კი, ჯიშებს შორის მოსავალში განსხვავება მეტად უმნიშვნელოა (0,5—1,8 ც). საყურადღებოა ის გარემოება, რომ საგვიანო ჯიშის აბაშური ყვითელის და უფრო საადრეო ჯიშების მწვანე მასის მოსავალი (მეორე) თითქმის თანაბარია.

რით აიხსნება ის, რომ ზუგდიდის და აბაშის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთებზე, ნასიმინდარზე. იმავე წელს სიმინდის მარცვლის მეორე მოსავალი არ არის მიღებული, ხოლო მწვანე მასის მეორე მოსავალი კი მიღებულია მეტად უმნიშვნელო რაოდენობით და ისიც მხოლოდ ზუგდიდის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე? იმისათვის, რომ სავიგეტაციო პერიოდი მთლიანად ყოფილიყო გამოყენებული, საჭირო იყო პირველ რიგში თავის დროზე დათესვა—გაზაფხულზე პირველი შესაძლებლობისთანავე და ზაფხულში კი სიმინდის პირველი მოსავლის აღების დღესვე, ან არა უგვიანეს 1—2 დღისა მოსავლის აღებიდან. თესვის ვადები ზუგდიდის და აბაშის ჯიშთაგამოცდის ნაკვეთებზე წარმოდგენილია მე-10—11 ცხრილებში.

